პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 ოქტომბერი ოთხშაბათი 2013
№238 (14 154) ფასი 80 თეთრი

## სავალალო რეალობა

# რატომ არ ჩამოდიან ფეხბურთელები ნაკრებში?



2

ალექსანდრე ამისულაშვილმა (№5) საფრანგეთთან ითამაშა — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

## ცვლილებები ნაკრებში

# ქეცბაიამ ებრალიძე გამოიძახა



3

ავთანდილ ებრალიძე სანაკრებო დებიუტის მოლოდინში

# ცქიტიშვილი არაბეთში, ათუაშვილი ქუვეითში

ფაჩულია ვარაუდობს, რომ ვარჯიშს ოქტომბრის ბოლოს დაიწყებს




ნიკა ცქიტიშვილი

12

## მჭედლიძემ ემპოლისთან კონტრაქტი გააგრძელა

# პარმა?



3

ლევან მჭედლიძე (№19)

ფაქტები და კითხვები



გიორგი ილურიძე (ბურთით)

# ვინ უნდა მიირთვას თაფლი და შოკოლადი?

**Short Memory ინგლისური ფრაზაა და „მოკლე მეხსიერებას" ნიშნავს. ამ დაძაბულ ცხოვრებაში კვების რაციონი თაფლითა და შოკოლადით თუ არ გააძლიერე, არ უნდა გაგიკვირდეთ, მეხსიერებამ თუ გიმტყუნათ...**

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შეკრებაზეა და მიჯრით ორი მატჩისთვის ემზადება, ორივე შესარჩევი ეტაპისაა - 10 ოქტომბერს ჰოლანდიასთან, 14-ში შოტლანდიასთან. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრე ჩივაძემ** ამ მატჩებისთვის გამოძახებულთა სია რომ გამოამზეურა, მასში სპლიტის „ჰაიდუკის" შემტევი **გიორგი ილურიძეც** ფიგურირებდა. ფეხბურთის ფედერაციის საიტზე, გამოძახებულ ფეხბურთელთა სიის გარდა, კიდევ ასეთი რამ ეწერა - **„ალექსანდრე ჩივაძემ სპლიტის „ჰაიდუკის" შემტევი გიორგი ილურიძეც გამოიძახა, თუმცა, ტრავმის გამო, ილურიძე ჩამოსვლას ვერ ახერხებს".**

რომ ჩავეძიეთ, ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა გვითხრა - ინფორმაცია მივიღეთ, რომ ილურიძე გამაყუჩებელი ნემსებით თამაშობს ხორვატიის ჩემპიონატშიო.

„ლელო" თავად ილურიძესაც დაუკავშირდა. მისგან ასეთი განმარტება მივიღეთ: **„დღეს ექიმთან ვიყავი. სისხლჩაქცევები მაქვს, ორი დღეა არ მივარჯიშია. „კუსტოსიასთან" სათასო შეხვედრაც გამოვტოვე და შემდეგ ტურშიც, 5 ოქტომბერს, „სპლიტის" წინააღმდეგ ვითამაშებ თუ არა, ესეც საეჭვოა".**

5 ოქტომბერს ილურიძე „სპლიტთან" სასტარტო შემადგენლობაში იყო და 72-ე წუთზე შეცვალეს. 7 ოქტომბერს ჩივაძემ პრესკონფერენცია გამართა და ასეთი რამ თქვა:

**„რაც შეეხება გიორგი ილურიძეს, ორი დღის წინ მან თავის გუნდში ითამაშა. დღეს დავუკავშირდებით და თუ არანაირი პრობლემა არ არის, მასაც გამოვიძახებთ".**

გუშინ ერთხელაც დავინტერესდით ილურიძის თემით და ფეხბურთის ფედერაციიდან ასეთი ამბავი გავიგეთ - ილურიძე სამუშაო ვიზის აღებას აპირებს ხორვატიაში, ამიტომ 10 ოქტომბრის მატჩისთვის ვერა და, 14 ოქტომბრის თამაშისთვის იქნება ახალგაზრდულ ნაკრებშიო.

თუ სამუშაო ვიზა იყო დაბრკოლება ნაკრებში ჩამოსასვლელად, მაშინ თავიდანვე რატომ არ აცნობა ილურიძემ ამის შესახებ ფედერაციას? ხოლო თუ სამუშაო ვიზა არ აქვს, მაშინ როგორღა თამაშობს „ჰაიდუკში"?

საკითხავია ისიც, ასეთ დროს ვინ უნდა მიირთვას ბევრი თაფლი და შოკოლადი - ფეხბურთელმა, მწვრთნელმა თუ გულშემატკივარმა?

გუშინ ცნობილი გახდა ისიც, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული **თორნიკე ოქრიაშვილი** 10 ოქტომბერს ჰოლანდიასთან ვერ ითამაშებს. ოქრიაშვილი ამბობს, რომ ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და ჯერ გადაწყვეტილი არ არის, 15 ოქტომბერს ეროვნულ ნაკრებს ესპანეთთან ბოლო საკვალიფიკაციო მატჩში დაეხმარება თუ ვერაო, გვითხრეს ფედერაციის პრესსამსახურში.

ეროვნული ნაკრების შეკრებაზე არ იქნება რუსული „კრილია სოვეტოვის" მცველი **ალექსანდრე ამისულაშვილი.** ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის განმარტებით, ამისულაშვილი ტრავმის გამო ვერ გაემგზავრება ესპანეთში.

ამისულაშვილმა 5 ოქტომბერს რუსული პრემიერლიგის მატჩში შეუცვლელად ითამაშა მოსკოვის „ლოკომოტივის" წინააღმდეგ. ცხადია, ეს ყველაფერი იმას არ ამტკიცებს, რომ ამისულაშვილი სალსალამათია და ნაკრებში არ ჩამოდის, თუმცა ნებისმიერ მსგავს შემთხვევაში ნაკრების ექიმი ალბათ ვალდებული უნდა იყოს, ჩაერთოს საქმეში, მოინახულოს ფეხბურთელი და დასვას დიაგნოზი. ეს მხოლოდ ჟურნალისტური აზრია და ზოგადად, მასმედია ვერავის დაავალდებულებს, რომ ექიმი ფეხბურთელთან მიავლინოს. იმასაც ვერ დავიჩემებთ - ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელი რომ იტყვის, ტრავმის გამო ვერ ჩამოვდივარო, მაინც ჩამოვიდეს და ნაკრების ექიმთანაც გაიაროს კონსულტაცია. ჟურნალისტს ასეთ დროს მხოლოდ კითხვის დასმა შეუძლია: **როგორ უნდა დარწმუნდეს ნაკრების მწვრთნელი, რომ ფეხბურთელი მართლა ტრავმირებულია?**

ჩივაძე არ დაძაბავს ვითარებას, საქვეყნოდ აუგს არ იტყვის თავისი გუნდის ფეხბურთელებზე, ოღონდაც, საქმეს არც ის წაადგება, თუ ამით ფეხბურთელები ბოროტად ისარგებლებენ.

ესეც უნდა ითქვას - ეროვნული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელისთვის არ არის კომფორტული და სასიამოვნო, რომ ეროვნული გუნდიდან ახალგაზრდულში (დროებით მაინც) დაბრუნდეს, მიუხედავად იმისა, რომ მეტოქე ჰოლანდიაა...

საქართველოს ნაკრები ნამეტანი რთული თემაა, თაფლი და შოკოლადი კი მართლა აუცილებელი ამხანაგი უნდა იყოს მთელ ამ დავიდარაბაში.

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

# გელა სანაია: იმ ასაკში არ ვარ, რომელიმე გუნდი დავიწუნო

**ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, გელა სანაიას უკვე გარკვეული სამწვრთნელო გამოცდილება დაუგროვდა: უმაღლესი ლიგის გუნდებშიც (თბილისის „ლოკომოტივი", „სამტრედია") უმუშავია და პირველ ლიგაშიც (ხობის „კოლხეთი", „ჭიათურა"). ამ ზაფხულს გელა სანაია რუსთავის „მეტალურგის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა: ახალგაზრდა სპეციალისტი უმაღლეს ლიგას ორწელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა. „მეტალურგს" სეზონი ურიგოდ არ დაუწყია, თუმცა გარკვეულ მიზეზთა გამო გუნდს არასტაბილურობაც დასჩემდა და გასვლით მატჩებში წაგებებსაც მოუხშირა...**

**„მეტალურგის" მთავარ მწვრთნელს გელა სანაიას გუშინ რუსთავში, „ფოლადის" სტადიონზე შევხვდით და ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" დიდი ანგარიშით წაგების (2:5) მიზეზების გარდა, სხვა საკითხებზეც ვესაუბრეთ.**

**- თქვენი ბოლო სამუშაო ადგილი პირველი ლიგის გუნდი „ჭიათურა" იყო და გვაინტერესებს, „მეტალურგში" როგორ აღმოჩნდით?**

- ვიცოდი, რომ „მეტალურგში" სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა, როგორც გუნდში, ასევე კლუბში; კლუბის ახალი დირექტორი ზაზა დოლიძე დამიკავშირდა, შევხვდით ერთმანეთს, აზრები გავცვალეთ და მიღებულ შემოთავაზებასაც დავთანხმდი.

**- ზაზა დოლიძესთან მანამდეც გქონდათ ურთიერთობა?**

- არა, ერთმანეთი ამ მოლაპარაკებების დროს გავიცანით და მინდა ვთქვა, რომ ძალიან ბევრი საერთო ხედვა აღმოგვაჩნდა გუნდის განვითარებასთან დაკავშირებით.

კონკრეტულ შემოთავაზებას ელოდებიან. ჩემი აზრით, კაცმა თუ მწვრთნელობა აირჩია, მუშაობა არსად უნდა ითაკილოს და ამას გარდა, არც ისეთ ასაკში ვარ, ესა თუ ის გუნდი დავიწუნო. თანაც, მიმაჩნია, რომ უმოქმედობით გარკვეული რეგრესიც მექნებოდა: იმავე ხობსა თუ ჭიათურაში მუშაობისას სამწვრთნელო პრაქტიკის ნაკლებობაც არ მქონია და, პარალელურად პროლიცენზიაც ავიღე.

**- „მეტალურგს" დავუბრუნდეთ, სადაც ახალი სეზონის დაწყების წინ უამრავი ახალი ფეხბურთელი ჩაირიცხა: ყველა თქვენი მოთხოვნით შეირჩა?**

- ყველა ჩემი არჩევანი იყო.

**- მაშინ, რატომ არის, რომ ზოგიერთ მათგანს თამაში ძალზე იშვიათად**



გელა სანაია — ნინო გელაშვილის ფოტო

**- უმაღლესი ლიგის გუნდები ადრეც გაგიწვრთნიათ, მაგრამ იმავე „ლოკომოტივსა" თუ „სამტრედიას" ბევრად უფრო მოკრძალებული მიზნები ჰქონდა, ვიდრე - ამბიციურ „მეტალურგს"...**

- გეთანხმებით, „ლოკომოტივშიც" და „სამტრედიაშიც" ერთადერთი მიზანი გვქონდა: უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება; რუსთავში კი ბევრად განსხვავებული მიზნები თუ მოთხოვნებია, მაგრამ, ვფიქრობ, შემწევს იმის ძალა, რომ საკუთარი შესაძლებლობები ასეთ ამბიციურ გუნდში გამოვავლინო. თანაც, ოდესმე ხომ უნდა დამდგარიყო ისეთი მომენტი, უმაღლესი ლიგის ამბიციური გუნდის გაწვრთნას რომ შემომთავაზებდნენ?

**- ისე, პირველ ლიგაში მუშაობის პერიოდშიც, ალბათ, გარკვეულ გამოცდილებას შეიძენდით.**

- არ მივეკუთვნები იმ მწვრთნელთა კატეგორიას, სახლში რომ სხედან და

**უწევს, მაგალითად, ბექა ტულუშს, გიორგი ვასაძეს კი ჩემპიონატში არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია...**

- საერთოდ, ახალწვეულის მიყვანა არ ნიშნავს ძირითადში მოხვედრის ასპროცენტიან გარანტიას და ასეა „მეტალურგშიც". ჩვენ ახალ გუნდს ვაშენებთ და მის მთავარ წინა პირობად ძირითად შემადგენლობაში კონკურენციის გაზრდა მესახება. ეგ კი არა, არ არის გამორიცხული, ვინმე კიდევ დავიმატოთ.

**- კონკრეტული გვარებიც დაგვასახელეთ...**

- სხვისი რა მოგახსენოთ, მაგრამ ბექა ტულუში საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეულია თავისი ნიჭით; თუმცა, ამ მართლაც არაორდინარულ ფორვარდს წინასასეზონო შეკრებაც გაუცდა, მერე ტრავმა მიიღო და ამას სარეაბილიტაციო პერიოდიც დაემატა. თუმცა, ნელ-ნელა იბრუნებს ოპტიმალურ ფორმას და რამდენიმე მატჩში შეცვლაზეც შემოვიდა. იმავეს თქმა შემიძლია ვასაძეზეც, რომელიც თასის შეხვედრებში ვათამაშეთ და ის ფაქტი, რომ ჩემპიონატში ძირითადში ვერ მოხვდა, სულაც არ ნიშნავს, რომ ცუდი ფეხბურთელია.

**- თასის თამაშები ახსენეთ, სადაც „მეტალურგი" ასე ვთქვათ, შერეული შემადგენლობით ასპარეზობდა; თუმცა, როტაციას ჩემპიონატის შეხვედრებშიც მიმართავთ ხოლმე და, ალბათ, ბევრს გაუკვირდა ის ფაქტი, რომ „სპარტაკთან" მოგებული მატჩის შემდეგ, „ვიტ ჯორჯიას" წინააღმდეგ ძირითადში 7 ახალი ფეხბურთელი გამოიყვანეთ.**

- და მერე ვინ თქვა, რომ ეს როტაცია იყო? „სპარტაკთან" შეხვედრაში სამი იძულებითი ცვლილების გაკეთებამ მოგვიწია და სამივე შეცვლილი ფეხბურთელი (კაკუბავა, ქავთარაძე, ბერიაშვილი) „ვიტ ჯორჯიასთან" ტრავმის გამო ვერ გვეხმარებოდა; ამას დაემატა ლევან კორღალიძის მიერ ვარჯიშზე მიღებული ტრავმა და დავით კირკიტაძის დისკვალიფიკაცია, ხოლო გიორგი გავაშელიშვილი ჯერ კიდევ მკურნალობის კურსს გადის.

**- ანუ, „ვიტ ჯორჯიასთან" დიდი ანგარიშით წაგების უმთავრესი მიზეზი არაოპტიმალური შემადგენლობა იყო?**

- თავის მართლებას და რაიმე გასამართლებელი მიზეზების ძებნას არ დავიწყებ: შედეგზე მე ვარ პასუხისმგებელი! ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ისეთი ამბიციური გუნდი, როგორიც „მეტალურგია", ერთ მატჩში ხუთ გოლს არ უნდა უშვებდეს... არადა, „ვიტ ჯორჯიას" სათამაშო სტილი კარგად გვქონდა გაანალიზებული, მაგრამ მაინც ვერაფერი დავუპირისპირეთ.

**- ამ მატჩში „მეტალურგი" 0:3-ს აგებდა, მერე თქვენმა გუნდმა ანგარიში შეამცირა, მაგრამ გათანაბრების ნაცვლად საკუთარ კარში კიდევ ორი მიიღო...**

- კიდევ ვიმეორებ: პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩში 2:3-ზე გოგა ფიფიას ხელსაყრელი მომენტი შეექმნა და ეს გოლი რომ გასულიყო, შესაძლოა, მატჩი სულ სხვა სცენარით წარმართულიყო. შესაძლოა, ვინმეს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ, არ გამოვრიცხავ, რომ მცხეთაში მარცხი წინა ორი მოგებული საშინაო მატჩის „გამოძახილიც" ყოფილიყო.

**- „სპარტაკთან" და „ზუგდიდთან" მინიმალური სხვაობით მოგებებს გულისხმობთ?**

- ჰო, ცოტა უცნაური სიტუაციაა: „სპარტაკთან" და „ზუგდიდთან" ჩემი გუნდის თამაშის ხარისხი ნამდვილად არ მომეწონა, მაგრამ ამ ორ შეხვედრაში 6 ქულა ავიღეთ; არადა, „გურიასთან" სტუმრად წავაგეთ, მაგრამ, გულახდილად გეტყვით, რომ მთელ თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით, გუნდის თამაშითაც კმაყოფილი ვიყავი, მაგრამ... სამი გოლი გავუშვით და წავაგეთ!

**- გულახდილად გვიპასუხეთ - იმავე „ვიტ ჯორჯიასთან" მარცხის მერე წნეხის ქვეშ ხომ არ ხართ?**

- შედეგი, რა თქმა უნდა, არავის ესიამოვნებოდა, მაგრამ ეს არ არის კატასტროფა: მჯერა, რომ სწორი ანალიზით სიტუაციას უახლოეს მატჩებში გამოვასწორებთ. ამ სანაკრებო პაუზასაც ნაყოფიერად გამოვიყენებთ და მერწმუნეთ, დღევანდელი „მეტალურგი" ნამდვილად სწორ გზაზე დგას. რა თქმა უნდა, ახალი გუნდის „მშენებლობის" პროცესი ურთულესი საქმეა და ამას 2-3 თვე არ ეყოფა, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ყველაფერს რეალურად ვუცქერ და რაც დავისახეთ კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად, იმ გეგმით გავაგრძელებთ მუშაობას. მით უფრო, რომ კლუბის დირექტორ ზაზა დოლიძისგან სრულ მხარდაჭერას ვგრძნობ, მაგრამ თუ უახლოეს ტურებში „მეტალურგმა" სასურველი შედეგი ვერ უჩვენა, საკუთარი სურვილით დავწერ განცხადებას და პოსტს დავტოვებ...

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ნაკრები

# ორი დაემატა, ორიც გამოაკლდა

ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ ის ნაბიჯი გადადგა, რაც ლოგიკური იყო - **თემურ ქეცბაიამ** საესპანეთო შეკრებაზე **ავთანდილ ებრალიძე** გამოიძახა.

„ესპანეთში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე, საქართველოს ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. ყველაზე საინტერესო ამბავი ისაა, რომ „ჯვაროსნებში“ დებიუტანტი გამოჩნდა - პორტუგალიური „ჟილ ვისენტეს“ 22 წლის შემტევი ავთანდილ ებრალიძე. ახალგაზრდა ქართველი პორტუგალიაში მშობლებთან ერთად ცხოვრობს. მისი პირველი პორტუგალიური გუნდი „ლაგუშ დე ესპერანსა“ იყო. შემდეგ ის „ხეტაფეს“ ახალგაზრდულ გუნდში, მერე კი „ჟუვენტუდ ევორასა“ და „ოლივეირენსეში“ თამაშობდა. ამჟამად კი „ჟილ ვისენტეს“ ღირსებას იცავს“, - ვკითხულობთ ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის განცხადებაში.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილება მართლაც ლოგიკურია, რადგან პორტუგალიის პრიმეირა ლიგის გუნდში ქართველი რომ თამაშობს და თან ძირითად შემადგენლობაშიც ხვდება, მისი იგნორირება არ გამოვა. შესაძლოა, ებრალიძემ ამჯერად თავი ვერ გამოიჩინოს, მაგრამ ასეთ მოთამაშეზე თვალის დახუჭვა გაუმართლებელი იქნება. 22 წლის შემტევი „ჟილ ვისენტეში“ აგვისტოს ბოლოს ჩაირიცხა და სექტემბერში 4 შეხვედრა ჩაატარა, აქედან 3 - ძირითადში.

ფედერაციის პრესსამსახურმა სხვა ცვლილებების შესახებაც გვამცნო. ერთ-ერთზე უკვე წაიკითხავდით სხვა მასალაში - ტრავმის გამო ესპანეთში ვერ გაემგზავრება „კრილია სოვეტოვის“ კაპიტანი **ალექსანდრე ამისულაშვილი**. მწვრთნელის გადაწყვეტილებით, სიაში აღარც გორის „დილას“ ნახევარმცველი **ირაკლი მაისურაძეა**. სამაგიეროდ, ალბასეტეში წამსვლელებს იმავე „დილის“ მცველი **ალექსანდრე კვახაძე** დაემატა.

საქართველოს ნაკრები და დელეგაციის ნაწილი ესპანეთში დღეს გაემგზავრება. ლეგიონერების ძირითადი ბირთვი პირდაპირ ალბასეტეში ჩავა და 11 ოქტომბრისთვის ყველა ფეხბურთელი ქეცბაიას განკარგულებაში იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**



ავთანდილ ებრალიძე

ლეგიონერი

## მჭედლიძე და ემპოლი გრძელდება, მაგრამ პარმა?

„ემპოლის“ ოფიციალური საიტის ცნობით, 23 წლის **ლევან მჭედლიძემ** კლუბთან ახალი კონტრაქტი 2015 წლის ზაფხულამდე გააფორმა. ცნობა მოულოდნელია, რადგან რამდენიმე თვის წინ გაიჟღერა, რომ ლევანი თითქმის შეუთანხმდა სერია A-ს ბინადარ „პარმას“, რომ მომავალი სეზონიდან იქ გადავიდოდა.

ეს სიახლე „ემპოლის“ მწვრთნელმა **მაურიციო სარიმ** „მოდენასთან“ მატჩის პერიპეტიებზე საუბრისას ამცნო მედიას:

„ჩვენ ლევანის შესაძლებლობების გვჯერა. ვიცით, რომ ის გააგრძელებს ზრდას და გახდება უმაღლესი დონის ფორვარდი“. „პიანეტა ემპოლის“ ცნობით, მიუხედავად „ემპოლისთან“ ახალი კონტრაქტის გაფორმებისა, „პარმაში“ მჭედლიძის ტრანსფერი სამომავლოდ სულაც არ არის გამორიცხული.

„ემპოლი“ 17 ქულით მე-2 ადგილზეა სერია B-ში, ეს კი პირდაპირ იძლევა ელიტაში დასაბრუნებელ საგზურს. ლევანმა ამ სეზონში 5-ჯერ მოირგო „ემპოლის“ მაისურა (ხუთივეჯერ - შეცვლაზე), გოლი კი ჯერ არ გაუტანია.

მჭედლიძემ „ემპოლისთან“ პირველი ხელშეკრულება 2007 წლის ივლისში გააფორმა. 2008-10 წლებში მან იჯარით „პალერმოში“ ითამაშა და „იუვენტუსთან“ მატჩში **ჯანლუიჯი ბუფონს** გოლიც გაუტანა. მის იტალიურ კარიერაში 84 თამაშზე სულ 6 გოლი მოდის. შეგახსენებთ, რომ „ემპოლიში“ კიდევ ერთი ქართველი ფორვარდი **ირაკლი შეყილაძე** ირიცხება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დინამო



მალხაზ ჟვანიასა და მისი სამწვრთნელო შტაბის პრეზენტაცია

## ახალი მწვრთნელები

მოგეხსენებათ, ამ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში თბილისის „დინამოს“ საკლუბო სტრუქტურაში რამდენიმე საკადრო ცვლილება მოხდა. გუშინ, „დინამოს“ ვიტალი დარასელიას სახელობის საფეხბურთო აკადემიაში კლუბის ახალდანიშნულმა დირექტორმა **მამუკა მახათაძემ** „დინამო 2“-ისა და დუბლშემადგენლობის ახალი სამწვრთნელო შტაბი წარადგინა.

პირველ ლიგაში მოასპარეზე „დინამო 2“-ის მთავარი მწვრთნელი **მალხაზ ჟვანია** იქნება. „მერანის“ აწ უკვე ყოფილ თავკაცს ახალ პოსტზეც ის ასისტენტები ეყოლებიან, რომლებიც მარტვილურ კლუბში ეხმარებოდნენ - საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი ფეხბურთელი **გივი დიდავა** და მეკარეების მწვრთნელი - **ლევან აბაშიძე**.

მათ გარდა, „დინამო 2“-ის სამწვრთნელო შტაბში იქნება ახალგაზრდა სპეციალისტი და „დინამოს“ ყოფილი ფეხბურთელი **რამაზ სვანაძეც**, რომელიც ბოლო ორი სეზონის განმავლობაში „ვიტ ჯორჯიას“ მეორე მწვრთნელად მუშაობდა.

დუბლშემადგენლობის მთავარი მწვრთნელი კი თბილისის „დინამოსა“ და საქართველოს ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი **კახა გოგიჩაიშვილი** იქნება, რომელსაც ახლო წარსულში ცნობილი ფეხბურთელები - **სულიკო დავითაშვილი** და **ზურაბ ქვაჩახია** დაეხმარებიან. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ დავითაშვილი და ქვაჩახია აქამდე „დინამოს“ საფეხბურთო აკადემიაში იყვნენ დასაქმებულები.

**გია გაგოშიძე**

ფოტო: fcdinamo.ge

ინტერვიუ

წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ბევრისთვის უცნაური გადაწყვეტილება მიიღო - გამოცდილი ფეხბურთელების ნაცვლად გუნდში მთლიანად ახალგაზრდები მიიწვია და ასევე ახალგაზრდა ესპანელ მწვრთნელ ჟერარდ სარაგოსას ჩააბარა. გია გეგუჩაძის დროინდელი გუნდიდან „ტორპედოში მხოლოდ 7-8 ფეხბურთელი დარჩა, მათგან ერთ-ერთი - 21 წლის ცენტრალური ნახევარმცველი გიორგი კუხიანიძე გახლავთ. „კუხი“, როგორც მას თანაგუნდელები ეძახიან, თავისი ტექნიკური არსენალით, პასის კულტურითა და არაორდინარული თამაშით ქუთაისური გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურაა. მიმდინარე ჩემპიონატში „ტორპედო“ წარმატებით რომ თამაშობს, დიდი წვლილი კუხიანიძესაც მიუძღვის. ის თანაგუნდელებს პასებით ამარაგებს, ამავე დროს, არც თავად ერიდება კარში დარტყმებს და საგოლე ალღოც არ ღალატობს. გასულ ტურში „ტორპედომ“ მარტვილის „მერანი“ 3:0 რომ დაამარცხა, მესამე გოლის ავტორად სწორედ კუხიანიძე მოგვევლინა (ეს მისი მეორე გოლია მიმდინარე პირველობაზე). ის ქუთაისური საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და ადგილობრივი გულშემატკივრების მხრიდან განსაკუთრებული სიყვარულითაც სარგებლობს...

### გიორგი კუხიანიძე

# ტორპედოს ძალა გუნდურ თამაშშია

## კუხიანიძე გულდაწყვეტილია, რომ კარგი სტარტის მიუხედავად, ტორპედოს სტადიონი თითქმის ცარიელია

**- მოდით, საუბარი მარტვილის „მერანთან“ მატჩით დავიწყოთ. „მერანი“ მებრძოლი გუნდია, მასთან თამაში ყველას უჭირს და „ტორპედოსგან“ ასეთ იოლ მოგებას არავინ ელოდა...**

- „მერანი“ ჩვენთვის მუდამ უხერხული მეტოქე იყო, მასთან თამაში ძალიან გვიჭირდა. მართალი ხართ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ასე იოლად გავიმარჯვებდით, მაგრამ მწვრთნელის მიერ სწორად შერჩეულმა ტაქტიკამ და ბიჭების მონდომებამ სასურველი შედეგი გამოიღო. ჟერარდ სარაგოსამ დაგვავალა, რომ პრესინგით თავიდანვე მეტოქის ნახევარზე გადაგვეტანა თამაში, რაც მარტვილელთათვის მოულოდნელი იქნებოდა. ამ გეგმის მიზანი იყო, რომ მატჩის ბედი პირველივე ტაიმში გადაგვეწყვიტა. ვფიქრობ, მწვრთნელის დავალებას თავი კარგად გავართვით და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. რაც შეეხება ჩემს გოლს, ეს ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციის შედეგი იყო - კაპანაძემ საჯარიმოსთან კარგი გადაცემა გამიკეთა და მეც ბურთი ერთი შეხებით გავიტანე.

**- სეზონი ძალიან კარგად დაიწყეთ, 8 ტურის შემდეგ „ტორპედო“ ჩემპიონატში ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია. არადა, ზაფხულში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, ამას გამოუსწორებელი ოპტიმისტიც ვერ წარმოიდგენდა. თქვენთვისაც მოულოდნელი ხომ არ არის ესოდენ კარგი სტარტი?**

- რა დასამალია და, სეზონის დაწყებამდე „ტორპედოს პერსპექტივების არც სპეციალისტებს სჯეროდათ და არც ქუთაისელ გულშემატკივრებს. ახალგაზრდა ფეხბურთელებს უნდობლად უყურებდნენ, ჩემპიონატი არ იყო დაწყებული და უკვე ბოლო ადგილისთვის განწირულებად გვთვლიდნენ. ასეთი დამოკიდებულება ფეხბურთელებზეც



მერანს მესამე გოლი გიორგი კუხიანიძემ გაუტანა

დამთრგუნველად მოქმედებს, მაგრამ ჩვენი მთავარი მწვრთნელი კარგი ფსიქოლოგიც გამოდგა - გვარწმუნებდა, რომ „ტორპედოს წარმატებით თამაში შეეძლო. თავისი შემართებით სარაგოსამ მშვენიერი მაგალითი მოგვცა. ჯერჯერობით კარგად მივდივართ და ყველაფერს გავაკეთებთ მოწინავე პოზიციების შესანარჩუნებლად.

**- რა მიგაჩნიათ „ტორპედოს“ ძლიერ მხარედ და აქვს თუ არა გუნდს იმის რესურსი, რომ კიდევ უფრო მოუმატოს და ჩემპიონობისთვის იბრძოლოს?**

- ჯერ მხოლოდ რვა ტურია გასული და შედეგებზე საუბარი ნაადრევია. მაგრამ ფეხბურთის თამაში რომ შეგვიძლია, ეს ნაწილობრივ უკვე გამოჩნდა. ახალი შექმნილი გუნდია და ჯერ ყველაფერი წინ გვაქვს. რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს თუ არ ჩავთვლით, „ტორპედო“ თითქმის სულ ბავშვებითაა დაკომპლექტებული. მომავალს იმედის თვალით შევყურებთ, ზამთარში შეკრება გვექნება და, შესაძლოა, რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც დავიმატოთ. საერთოდაც, რა შემადგენლობაც უნდა ჰყავდეს, ახალგაზრდები თუ გამოცდილები, „ტორპედოს“ მიზანი ყოველთვის მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა იქნება. იმედი მაქვს, წლეულს ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლებთ.

**- თანაგუნდელებზე რას იტყვით, ყველაზე მეტად ვის გვერდით გიადვილდებათ და გსიამოვნებთ თამაში?**

- ჩემი მხრიდან რომელიმე თანაგუნდელის გამოყოფა არაკორექტული იქნება. „ტორპედოს“ მთავარი ძალა გუნდურ თამაშშია. რა თქმა უნდა, არიან ფეხბურთელები, რომლებთანაც უფრო შეთამაშებული ვარ და მათთან თამაში მსიამოვნებს კიდეც, მაგრამ დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. მთავარი ის არის, რომ მთლიანად გუნდმა ითამაშოს კარგად და ტემპი არ დავკარგოთ.

**- გუნდი შედეგიანად თამაშობს, სტადიონზე კი გულშემატკივრების ნაკლებობაა. ამას რით ახსნით?**

- „ტორპედო“ პირველ რიგში საკუთარი ქალაქისა და გულშემატკივრებისთვის თამაშობს და გულდასაწყვეტია, რომ ხალხი სტადიონზე აღარ დადის. არადა, დღევანდელი გუნდი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, კარგ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. წესით, ასეთი ფეხბურთი მაყურებელსაც უნდა მოსწონდეს. იმედი მაქვს, გულშემატკივარი სტადიონზე დაბრუნდება და ქუთაისური არენა მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც შეივსება. ჩვენ მათ თავდადებასა და კარგ შედეგს ვპირდებით!

**- თქვენს ტექნიკურობას ყველა უსვამს ხაზს, მაგრამ ფიზიკურ კონდიციებს გიწუნებენ. თავად რას იტყვით საკუთარ სუსტ და ძლიერ მხარეებზე?**

- ბავშვობიდან მოყოლებული, თითქმის ყველა მწვრთნელი ფიზიკურ სისუსტეზე მიმითითებდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელიწადია საკუთარ თავზე ინტენსიურად ვმუშაობ, მწვრთნელიც მეხმარება. ამ კომპონენტში აუცილებლად უნდა მოვუმატო, თორემ თანამედროვე ფეხბურთში კარგი ფიზიკური მომზადების გარეშე არაფერი გამოვა.

**- უკვე ხომ არ გაქვთ რომელიმე ძლიერ ლიგაში თამაშის სურვილი, თუ ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი?**

- ყველა ფეხბურთელის ოცნებაა ძლიერ საფეხბურთო ლიგაში თამაში და გამონაკლისი არც მე ვარ, თუმცა ჯერ საქართველოში უნდა დავამტკიცო, რომ მაღალ დონეზე თამაში შემიძლია. თანაც, „ტორპედოსთან“ კიდევ სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და ვეცდები, ჩემს მშობლიურ გუნდთან ერთად დასახულ მიზნებს მივაღწიო.

**- ბოლოს ნაკრებზეც მინდა გკითხოთ. მას მერე, რაც 17-წლამდელთა ნაკრებში იყავით, სხვა ასაკობრივ გუნდებში აღარ გამოჩენილხართ. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

- ასაკით ახალგაზრდულ ნაკრებში მინდა თამაში, მაგრამ... რა გითხრათ, სამწუხაროდ, შანსი ჯერ არ მომცემია.

**დავით კოხრეიძე**

ქუთაისიდან

უცხოელები საქართველოში

# ყოფილი ნალჩიკელები ლანჩხუთსა და რუსთავში

**ბოლო ორი კვირის განმავლობაში, საქართველოში რუსეთის პირველლიგელი ნალჩიკის „სპარტაკის" ორი ყოფილი ფეხბურთელი ჩამოვიდა. პირველის შესახებ უკვე ცნობილია და ამაზე ვწერდით კიდეც - რომან პოკორამ „გურიას" მთავარი მწვრთნელის პოსტზე დანიშვნისთანავე უკრაინელი ცენტრალური მცველი ვიტალი შუმეიკო მიიწვია.**

**შუმეიკო წლების განმავლობაში თამაშობდა ნალჩიკის „სპარტაკში" და ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც ბევრჯერ მოხვედრილა. ერთი ხანობა, ის საუკეთესო მცველის ნომინაციაშიც ერთ-ერთი მოწინავე გახლდათ. აქედან გამომდინარე, საქართველოში მისი გამოჩენა გარკვეულწილად მოულოდნელიც იყო. რატომ ჩამოვიდა ჩვენს ქვეყანაში? ამის შესახებ ჩვენი მოკლე ინტერვიუდან შეიტყობთ.**

**- 2012 წლის მაისამდე მოსკოვის „ტორპედოში" თამაშობდით და გუნდის კაპიტანიც იყავით. რატომ დატოვეთ გუნდი?**

- „ტორპედო" ცნობილი კლუბი კი არის და, შესაძლოა, აქედან ამ ნაბიჯის ახსნა გაგიჭირდეთ, მაგრამ რეალურად, კლუბს ფინანსური პრობლემები ჰქონდა, მისი ძველი დიდებისგან არაფერი დარჩა. რომ არ წამოვსულიყავი, სხვა გზაც არ მრჩებოდა. კლუბს ფეხბურთელების დავალიანება დაუგროვდა და კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გავწყვიტეთ.

**- თქვენი მაშინდელი ინტერვიუ წავიკითხე ერთ-ერთ რუსულ ინტერნეტ-გამოცემაში, სადაც ამბობდით - რუსეთის პირველ ლიგაში ღირსეულ კლუბს მოვნახავო. დღეს ლანჩხუთის „გურიაში" ხართ...**

- კარიერაში ჩავარდნა ყველა ფეხბურთელს აქვს. მეც ასე მომივიდა, რუსეთში ვერაფერი მოვძებნე და უგუნდოდ დავრჩი. ამ დროს დამიკავშირდა „გურიას" მწვრთნელი რომან პოკორა, რომელიც პატარობიდან მიცნობს და საქართველოში თამაში შემომთავაზა.

**- როგორც მან გვითხრა, ნალჩიკის „სპარტაკში" გაუწევია თქვენთვის რეკომენდაცია...**

- ასე იყო. მას ყოველთვის ვემადლიერებოდი...

**- ალბათ, ვერ წარმოიდგენდით, რომ მორიგ რეკომენდაციას პოკორა საქართველოშიც გაგიწევდათ...**

- (იცინის) გეთანხმებით, მაგრამ ასეთია ფეხბურთელის ბედი და სპორტის ეს სახეობა ამითაც არის საინტერესო.

**- იყო დრო, რუსეთის პრემიერლიგაში ალეკო ამისულაშვილის, დავით სირაძის, ლევან გვაზავასა და გოგიტა გოგუას თანაგუნდელი იყავით...**

- მაშინ ნალჩიკის „სპარტაკი" ძლიერი გუნდი იყო და ბევრი ლიდერიც გაგვიმწარებია. სხვათა შორის, ქართველებთან ვმეგობრობდი, კარგი ბიჭები არიან.

**- ახლა თავისუფალი აგენტი ხართ?**

- დიახ, „ტორპედოსთან" კონტრაქტი გავწყვიტე.

**- მაშინ, „გურიაში" თამაშს დღემდე რატომ ვერ ახერხებთ?**

- გათავისუფლების ფურცელს ველოდები, თორემ სხვა მხრივ პრობლემა არ არის. სავარაუდოდ, მომდევნო ტურში უნდა ვითამაშო.

■ ■ ■

საქართველოში კარიერის გაგრძელებას ნალჩიკის „სპარტაკის" კიდევ ერთი მოთამაშე იმედოვნებს - ახალგაზრდა **ჟანტის მამიშევი,** რომელიც შემთხვევით თბილისის „დინამოს" საფეხბურთო აკადემიაში ვნახეთ:

- მოხდა ისე, რომ საქართველოში მომიწვიეს. რუსეთში დუბლებში ყოფნას ისევ საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოსვლა სჯობია და ამიტომაც ჩამოვედი.

**- სად თამაშობდით?**

- ნალჩიკის „სპარტაკის" დუბლშემადგენლობაში, მაგრამ ეს მაშინ იყო, როცა გუნდი პრემიერლიგაში გამოდიოდა. პირველი ლიგის გუნდების სათადარიგოთა შორის ჩემპიონატი კი არ იმართება და ფიქრობდი, სად შეიძლებოდა, მეთამაშა. და სწორედ ამ დროს მომიწვიეს საქართველოში.

**- რა პოზიციაზე თამაშობთ?**

- ცენტრალურ მცველად, თუმცა საყრდენ ნახევარმცველადაც ხშირად მითამაშია.

**- რადგან „დინამოს" აკადემიაში ხართ, ესე იგი „დინამომ" მოგიწვიათ?**

- არა, აქ ახლობელს გამოვყევი. ჩემით კი რუსთავის „მეტალურგია" დაინტერესებული.

**- ამ კლუბში თქვენი ჩარიცხვა გადაწყვეტილია?**

- ეს საკითხი ახლა წყდება და იმედია, კონტრაქტს გავაფორმებ.

**- საქართველოს ჩემპიონატზე რაიმე წარმოდგენა თუ გაქვთ?**

- ყველა შემთხვევაში, ეს ჩემთვის საინტერესო გამოცდილება იქნება. ვიცი, რომ საკმაოდ რთული ჩემპიონატია.

**მერაბ მამულაშვილი**



ვიტალი შუმეიკო

## პირველი ლიგა

### B. ზონა. VI ტური

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-სასკო | 2:1 |
| სამტრედია-ჭიათურა | 4:1 |
| დილა 2-ბახმარო | 1:1 |
| კოლხეთი (ხ)-მაჭახელა | 0:2 |
| სულორი-ბეთლემი | 1:0 |
| სტუ-სამგურალი | 3:5 |
| საბურთალო-დინამო (ბთ) | გადაიდო |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 6 | 5 | 1 | 0 | 10-2 | 16 |
| 2. მაჭახელა | 6 | 5 | 0 | 1 | 14-4 | 15 |
| 3. დინამო (ბთ) | 5 | 4 | 0 | 1 | 9-4 | 12 |
| 4. ჭიათურა | 6 | 4 | 0 | 2 | 12-10 | 12 |
| 5. სამგურალი | 6 | 3 | 1 | 2 | 14-10 | 10 |
| 6. ლოკომოტივი | 6 | 3 | 1 | 2 | 9-8 | 10 |
| 7. საბურთალო | 5 | 3 | 0 | 2 | 9-7 | 9 |
| 8. სტუ | 6 | 2 | 1 | 3 | 13-12 | 7 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 6 | 2 | 1 | 3 | 8-12 | 7 |
| 10. დილა 2 | 6 | 1 | 2 | 3 | 6-14 | 5 |
| 11. ბეთლემი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-7 | 4 |
| 12. სასკო | 6 | 1 | 1 | 4 | 5-9 | 4 |
| 13. სულორი | 6 | 1 | 1 | 4 | 3-11 | 4 |
| 14. ბახმარო | 6 | 0 | 2 | 4 | 4-12 | 2 |

ტრანსფერი



ვახტანგ კვარაცხელია სატრანსფერო სერტიფიკატს ელოდება

# კვარაცხელია ისრაელში წავიდა

**ვახტანგ კვარაცხელია** კარიერას ისრაელში გააგრძელებს. ეს ამბავი 25 წლის თავდამსხმელმა „ლელოს" თავად გაუმხილა.

*„კონტრაქტი უმ ალ-ფაჰმის „მაკაბისთან" გავაფორმე. ეს გუნდი რანგით მეორე ლიგაში (ლეუმითლიგა) გამოდის. კონტრაქტი 8-თვიანია და ამის მიუხედავად, გვაქვს შეთანხმება, რომ იანვრამდე საინტერესო წინადადება თუ გამომიჩნდა, წასვლის უფლება მექნება",* - ამბობს კვარაცხელია.

ქართველი თავდამსხმელი საკითხის იურიდიული მხარის მოგვარებას ელოდება, რათა გუნდში სადებიუტო შეხვედრა ჩაატაროს:

*„თუ ფეხბურთელის ტრანსფერის საერთაშორისო სერტიფიკატის საქმე დროულად მოგვარდა, უკვე 11 ოქტომბერს ახალი გუნდის ფორმით პირველად ვითამაშებ. წესით, ეს აქამდეც უნდა მოგვარებულიყო და 7-ში ფეთახ თიკვას „ჰაპოელთან" უნდა მეთამაშა კიდეც, მაგრამ ვერ მოესწრო".*

სხვათა შორის, 25 წლის თავდამსხმელს ევროპალიგის მონაწილე ებრაულ კლუბში ჩარიცხვის რეალური იმედიც ჰქონდა:

*„ორი თვეა, რაც ისრაელში ვარ. თავიდან რამათ-განის „ჰაპოელში" ვვარჯიშობდი. ეს გუნდი ისრაელის თასის მფლობელია და წლეულს ევროპალიგაზე გამოდიოდა, საიდანაც პორტუგალიურმა „ეშტორილმა" გამოაგდო. თითქოს, იქ დარჩენა გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ ცალკე - ლეგიონერზე გადასახადის პრობლემამ და ცალკე - უცხოელებზე დაწესებულმა ლიმიტმა თამაში უფლება საკმაოდ შემიზღუდა. ჩემ გამო, ერთი ლეგიონერის გაშვებაც სურდათ. მაგრამ ისრაელის ფეხბურთის ფედერაციამ „ჰაპოელს" ამ ლეგიონერთან კონტრაქტის გაწყვეტის უფლება არ მისცა და მეც ახალი კლუბის მოძებნა მომიხდა".*

ლეუმითლიგაში 5 ტურია გასული და უმ ალ-ფაჰმის „მაკაბის" ჯერ ქულაც არ აქვს, ოღონდ... უცნაური ისაა, რომ ამ გუნდმა 5 ტურიდან მხოლოდ 2-ში ითამაშა.

იყო დრო, ვახტანგ კვარაცხელია ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ თავდამსხმელად მიიჩნეოდა. სხვათა შორის, უმაღლესში პირველად 15 წლის ასაკში ითამაშა - ქუთაისის საფეხბურთო სკოლის აღზრდილი „თბილისში" გამოჩნდა; 17 წლისა, **ბაჩანა ცხადაძესთან** ერთად, „ლიონში" სტაჟირებაზე იმყოფებოდა; შემდეგ იყო ლიტვური „ვეტრა", რუსთავის „ოლიმპი"... კარიერის საუკეთესო წლები „ვიტ ჯორჯიასა" და ბათუმის „დინამოში" გაატარა, სადაც სტაბილურად თამაშობდა და გოლებიც მრავლად გაჰქონდა. კვარაცხელიამ ითამაშა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც და პირველივე ოფიციალურ შეხვედრაში ირლანდიას გოლიც გაუტანა.

2010 წლის ზაფხულში კვარაცხელია მშობლიურ ქუთაისის „ტორპედოში" გადავიდა, მაგრამ არ გაუმართლა - უმძიმესი ტრავმის გამო, თითქმის ერთი წელი გაუცდა და ორი სეზონის განმავლობაში სულ 28 ოფიციალური მატჩი (3 გოლი) ჩაატარა.

სარეაბილიტაციო კურსის შემდეგ ტანმაღალი ფორვარდი რამდენიმე გუნდში ისინჯებოდა, თუმცა ტრანსფერამდე საქმე არ მისულა. წლეულს კი „ტორპედოსთან" ერთად ესპანურ შეკრებაზეც იყო, მაგრამ ფორმა სრულად ვერ აღიდგინა და კლუბთან კონტრაქტი გაწყვიტა.

მარტში კვარაცხელიამ დროებით რუსთავს მიაშურა, მაგრამ საქართველოში გაჩერება არ სურდა. სხვათა შორის, ყოფილმა ვიტჯორჯიელმა პირველი სერიოზული ტრავმა 2010 წელს... ისრაელში მიიღო - ერთ-ერთ ებრაულ კლუბში სინჯებზე წავიდა და ფეხმოტეხილი დაბრუნდა. არადა, ერთი დღის შემდეგ კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა...

**მერაბ მამულაშვილი**

U21

# სტაიფენბერგი: ჭანტურიას და ყაზაიშვილს კარგად ვიცნობთ

## ჰოლანდიის ნაკრებს თბილისში ადამ მაჰერი უკაპიტნებს

10 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჰოლანდიის ნაკრებს უმასპინძლებს. ამ თამაშში მეტოქის კაპიტანი „პსვ ეინდჰოვენის" 20 წლის ნახევარმცველი **ადამ მაჰერი** იქნება. „იონგ ორანიეს" (ასე უწოდებენ ჰოლანდიის ახალგაზრდულ ნაკრებს) კაპიტანი „ჩელსის" ნახევარმცველი **მარკო ვან გინკელია,** მაგრამ ამ უკანასკნელს სერიოზული ტრავმა აქვს. ამიტომ, კაპიტნის სამკლავური მწვრთნელმა **ალბერტ სტაიფენბერგმა** მაჰერს გადასცა. ახლახან, ახალგაზრდა ჰოლანდიელების დამრიგებელმა ჰოლანდიურ „დიხტბეის" კომენტარი მისცა მომავალ მატჩზე:

*„ამ გუნდის წინააღმდეგ თამაში ჩვენთვის ნამდვილი ტესტი იქნება. ქართველები ძნელ მეტოქეებად ითვლებიან. მათ ჰყავთ ისეთი კარგი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ვალერი ყაზაიშვილი და გიორგი ჭანტურია. მაგალითად, ვიცით, რომ ჭანტურიას მაინცდამაინც არ უყვარს უკან ჩასვლა და ჩვენ ამის გამოყენებას შევეცდებით, როცა კონტრშეტევის შანსი მოგვეცემა. თბილისური მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტია და თუ გავიმარჯვებთ, გამოცდას წარმატებით ჩავაბარებთ".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონერი

## ბრაიან სტეენ ნილსენი:

# ახლა ყველაფერი სხირტლაძეზეა დამოკიდებული

## ქართველი ფორვარდი ორჰუსის პირველ გუნდში დააბრუნეს

დანიის ჩემპიონატის XI ტურში გამოჩნდა 20 წლის ფორვარდი **დავით სხირტლაძე,** რომელსაც 15 სექტემბრის შემდეგ იქაურ სუპერლიგაში არ უთამაშია. ამის მიზეზი ტრავმა არ ყოფილა. უბრალოდ, მწვრთნელი **პეტერ სორენსენი** მას აღარ ენდობოდა. დანიურ „ბოლდს" (ბურთი) ქართველ ფორვარდზე „ორჰუსის" სპორტული დირექტორი **ბრაიან სტეენ ნილსენი** ესაუბრა. კლუბის ხელმძღვანელობას კვლავ სჯერა ქართველის, მაგრამ მან ეს ნდობა მოედანზე უნდა გაამართლოს. შაბათს სხირტლაძე ისევ დააბრუნეს პირველ გუნდში, მას მერე, რაც „ოლბორგთან" მატჩის განაცხადშიც კი არ შეუყვანიათ. პეტერ სორენსენი ახალგაზრდა ფეხბურთელს სწორედ მონდომებას უწუნებს, რის გამოც სხირტლაძეს საქმე კლუბის ხელმძღვანელობასთანაც კი ჰქონდა. ამ შეხვედრის დროს მან გაფრთხილება მიიღო იმის გამო, რომ ბოლო პერიოდებში ვარჯიშებისადმი გულგრილობას ამჩნევდნენ.

*„დავითი ძალიან კარგი ბიჭია და მართლაც ძლიერ სურს, რომ კარგი ფეხბურთელი დადგეს. მაგრამ მას თავისებური მიდგომა აქვს საკითხებისადმი. იმას არ აკეთებს მოედანზე და საწვრთნელ ბაზაზე, რასაც ფეხბურთელებისგან ვითხოვ. ქართველს რომ ტალანტი აქვს, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ ბევრი უნდა იშრომოს, რომ კარიერაში წინ წავიდეს. იმედია, დავითმა კარგად გაიგო, რაც შეხვედრის დროს ვუთხარით",* - აცხადებს წარსულში ცნობილი დანიელი ფეხბურთელი ბრაიან სტეენ ნილსენი.

„ბოლდის" ჟურნალისტის კითხვაზე, თუ რამდენ ხანს დაელოდება კლუბის ხელმძღვანელობა ქართველს, რომ ძველებურად ათამაშდეს, ნილსენმა უპასუხა:



დავით სხირტლაძე

*„რთული საკითხია. თუ შევამჩნევთ, რომ ის პატარა ნაბიჯებით წინ მიდის, შეიძლება ნახევარი წელი ან თუნდაც მთელი სეზონი ვადროვოთ. ის ხომ 93-იანია, ჯერ ახალგაზრდაა. რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს ძველ დროს, როცა მართლაც ბრწყინვალედ თამაშობდა. ისეთი პოტენციალი აქვს, სხირტლაძე მუდამ უნდა იყოს მთავარ გუნდში. ეს ეჭქვეშ არ უნდა დგებოდეს".*

„ორჰუსის" სპორტულ დირექტორს მიაჩნია, რომ თავად კლუბსაც შეუძლია ქართველის დახმარება:

*„ჩვენც შეგვიძლია მისი დახმარება, მაგრამ ყველაფერი მაინც მასზეა დამოკიდებული. ერთი წუთითაც არ მეეჭვება, რომ დავითი ამას შეძლებს",* - ამბობს სტეენ ნილსენი.

20 წლის სხირტლაძე უკვე მესამე სეზონია „ორჰუსში" თამაშობს. პირველ გუნდში მის ანგარიშზე 46 მატჩი და 2 გოლია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# რიგითი ჰარტის დასაცავად




ჯონ რადი (მარჯვნივ) თანაგუნდელის გამხნევებას ცდილობს

სეზონი ახალი დაწყებული იყო, როცა პრესამ „მანჩესტერ სიტისა“ და ინგლისის ნაკრების გოლკიპერის **ჯო ჰარტის** კრიტიკა დაიწყო. ბოლო ხანს კი ეს პროცესი უკვე იმდენად მონოტონური და აუტანელი გახდა, რომ 26 წლის ფეხბურთელის დაცვა უკვე მის კოლეგებს უწევთ და არა მხოლოდ „სიტიდან“. მაგალითად, ჟურნალისტებს ზომიერებისკენ მოუწოდა „ნორვიჩის“ კარის დარაჯმა **ჯონ რადიმ**, ვინც „სამი ლომის“ ძირითადში სწორედ ჰარტის გამო ვერ ხვდება. ხმა აღიმაღლა ნაკრების კაპიტანმა **სტივ ჯერარდმაც**, ვინც განაცხადა, რომ როცა ზურგს უკან ჯო ეგულება, თავს ყველაზე მშვიდად მაშინ გრძნობს. აი, რას წერს „ინდეპენდენტი“:

- რადი, ვისაც ინგლისის ნაკრებში აქამდე მხოლოდ ერთხელ უთამაშია და ისიც ამხანაგურ შეხვედრაში იტალიასთან, აცხადებს, რომ მას არ აქვს პრეტენზია და არც უნდა ჰქონდეს ეროვნული ნაკრების პირველ ნომრობაზე, რადგან მისი აზრით, ჯო ჰარტი ამ მხრივ უკონკურენტოა: *„ბოლო წლებში ჯომ ყველას დაუმტკიცა, რა შეუძლია. მას ნაკრები ერთხელაც არ დაუღალატებია. მსგავსი ეტაპი კარიერაში მეც გადამიტანია და მესმის, რომ ძალიან უსიამოვნო გრძნობაა. არ მინდა, ვინმემ სხვანაირად გამიგოს, მაგრამ ვწუხვარ, რომ ამის გადატანა უწევს. არადა, ახლა სწორედ მასზეა მიპყრობილი ყველას მზერა. ის უმაღლესი დონის მეკარეა. ამაში ალბათ ეჭვი არავის ეპარება. ჩვენი პრესა უცნაურად იქცევა, ფეხბურთელს ჯერ გაალმერთებს, მერე კი ზურგში ხელს ჰკრავს. სანამ ფეხბურთელების მიმართ მსგავსი დამოკიდებულება იქნება, ტურნირებზე გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდება“.*

### ტრადიციული დანაკლისი

ორშაბათს საღამოს ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ვებგვერდმა ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა, სადაც ვკითხულობთ: „ჩელსის“ მცველი **ეშლი კოული** ჩერნოგორიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრაში ვერ ითამაშებს. შესაბამისად, უახლოესი დღეების განმავლობაში ის კლუბის ბაზაზე დარჩება სამკურნალოდ. **როი ჰოჯსონის** გუნდის განაცხადში მის ადგილს არსენალელი **კირან გიბსი** დაიკავებს“.

ვარსკვლავი

# ახალი კონტრაქტი მორისონს

20 წლის **რაველ მორისონის** სახელი ინგლისურ საფეხბურთო საზოგადოებას შარშან ზაფხულს პირზე ეკერა. მაშინ ჯერ კიდევ თინეიჯერმა ფეხბურთელმა სერ **ალექს ფერგიუსონსა** და „მანჩესტერ იუნაიტედს“ საკუთარი საკონტრაქტო პირობები წაუყენა, უარის მიღების შემდეგ კი „ეშმაკებში“ თამაშზე უარი თქვა. ჩემპიონშიპის ბირმინგემში მას საშუალოზე საშუალო სეზონი გამოუვიდა. აი, მიმდინარე სეზონში კი „ვესტ ჰემში“ უკვე მაღალ დონეზე ათამაშდა. რაველმა სეზონში 8 შეხვედრაში უკვე 4 გოლი გაიტანა და მათ შორის ერთი უკანასკნელ ტურში „ტოტენჰემთან“. „ჩაქუჩები“ მას მოქმედი 2-წლიანი ხელშეკრულების ნაცვლად პირობების გაუმჯობესებასა (ხელფასის 12 ათასი ფუნტიდან 65 ათასამდე გაზრდას) და თანამშრომლობის გაგრძელებას სთავაზობენ. დასავლეთლონდონელებს ისიც აფიქრებთ, რომ მოქმედი კონტრაქტის თანახმად საკომპენსაციო თანხა წინასწარ არის განსაზღვრული. მორისონის წაყვანა მსურველს 19 მილიონ ფუნტად შეუძლია. აქვე გეტყვით იმასაც, რომ გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად მორისონი სექტემბერში „ვესტ ჰემის“ საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.




რაველ მორისონს ინგლისში თავისი თაობის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფეხბურთელად მიიჩნევენ

არსენალი

# მეთოფეთა აღიარება




აარონ რემსი და არსენ ვენგერი კუთვნილი პრიზებით ხელში

„ტვიტერზე“ პრემიერლიგის ოფიციალური გვერდის ცნობით, **აარონ რემსი** და **არსენ ვენგერი** სექტემბრის საუკეთესო ფეხბურთელად და საუკეთესო მწვრთნელად არიან დასახელებულნი. ჩრდილოლონდონელთა მიღწევა ლოგიკურად გვეჩვენება. სხვა თუ არაფერი, „არსენალი“ ჩემპიონატშიც პირველ ადგილზეა, ჩემპიონთა ლიგაშიც დამაჯერებლად ლიდერობს თავის ჯგუფს და ლიგის თასზეც აგრძელებს ასპარეზობას. რაც მთავარია, ის მთელი თვის განმავლობაში ბრწყინვალედ თამაშობდა. ვენგერის გუნდმა სექტემბერში პრემიერლიგის 4 ტური მოილია, რომელთაგან 4-ვე მოიგო. საერთო ჯამში „მეთოფეებმა“ 6-დან 5-ჯერ იმარჯვეს და ერთხელ ფრედ დაასრულეს დაპირისპირება. ამ შეხვედრებში უელსელმა ნახევარმცველმა 4 გოლი გაიტანა და 1 საგოლე გადაცემა მიითვალა. გეტყვით იმასაც, რომ რემსისთვის მსგავსი აღიარება პირველი იყო კარიერაში, ვენგერს კი აქამდე თვის მწვრთნელის ტიტული 12-ჯერ ჰქონდა მოგებული.

### როსიცკი ლონდონში რჩება

ჩეხეთის ნაკრებს 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის შანსი ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე პრაქტიკულად დაკარგული აქვს. მეორეადგილოსან ბულგარეთს ის 4 ქულით ჩამორჩება. ჩეხებს 11 ოქტომბერს მალტასთან, 15-ში კი ბულგარეთთან გასვლითი თამაშები აქვთ დარჩენილი. ერთი შეხედვით უმოტივაციო შეხვედრებში გუნდს კაპიტანი **ტომაშ როსიცკი** დააკლდება, ვინც ფეხის ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა და რეციდივის შანსი ჯერ კიდევ დიდია. ლონდონელებმა შესაბამისი თხოვნა ჩეხეთის ფეხბურთის ფედერაციას რამდენიმე დღის წინ გაუგზავნეს და თანხმობაც მიიღეს. 33 წლის ვეტერანი სანაკრებო პაუზას კლუბის ბაზაზე გაატარებს და საერთო გუნდურის გარდა ინდივიდუალურ დავალებებსაც შეასრულებს. ინფორმაცია ფედერაციის ერთ-ერთი ფუნქციონერმა, როსიცკის დიდი ხნის მეგობარმა **ვლადიმირ შმიცერმა** დაადასტურა.

ამბები



ანდროს ტაუსენდი

### ტაუსენდის მიზანი

„ტოტენჰემის“ ნახევარმცველ **ანდროს ტაუსენდს** რთული მისია აკისრია, 22 წლის ფეხბურთელს **გარეთ ბეილის** შეცვლა დაევალა. ჯერჯერობით, ის მძიმე ფსიქოლოგიურ ტვირთს უმკლავდება. 8 შეხვედრაში მის ანგარიშზე 1 გოლი და 3 საგოლე გადაცემაა. მართალია, მისი თამაშით ყველა კმაყოფილია, თუმცა ამაზე გაჩერებას არ აპირებს და მიზნად ისახავს, იმავე ბეილის, **აარონ ლენონისა** და **არიენ რობენის** დონის გარემარბად ჩამოყალიბდეს. *„კარგია, როცა ხალხი კომპლიმენტებს გეუბნება, თუმცა ფეხბურთი რთული პროფესიაა. იოლია, რომ სულ რაღაც ერთ თვეში ფორმა დაკარგო ან პირიქით, კიდევ უფრო კარგად ათამაშდე. უმაღლესი დონის ფეხბურთელები ფორმის პიკს ეტაპობრივად აღწევდნენ. მინდა, ოდესმე მათნაირად მეც ვითამაშო. ვოცნებობ, ისეთივე სიმაღლეებს შევწვდე, როგორსაც ჩემმა კერპებმა ბეილმა, ლენონმა და რობენმა მიაღწიეს. თუკი ჩემი განსაკუთრებული სტილის შექმნას მოვახერხებ, ჩემი სახელი ხალხს კიდევ დიდხანს ემახსოვრება,“* - აცხადებს ფეხბურთელი.

### ფინკე: საჯაროობა საქმეს ვნებს

8 სექტემბერს ლიბიასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ კამერუნის ნაკრების თავდამსხმელი **სამუელ ეტოო** ნაკრების გერმანელ მწვრთნელ **ფოლკერ ფინკეზე** გაბრაზებული იყო და განაცხადა, რომ საერთაშორისო კარიერას წერტილს უსვამდა. ფეხბურთელს ცხელ გულზე მსგავსი რამ უკვე რამდენჯერმე აქვს ნათქვამი, ასე რომ, როგორც ჩანს, სერიოზულად მისი მუქარა არავის აღუქვამს. 32 წლის ეტოო ტუნისთან 13 და 17 ოქტომბერს ორრაუნდიანი დაპირისპირებისთვის ისევ გამოძახებულია. *„მთავარია, რომ მსგავსი საკითხები გაზეთების ფურცლებზე განსახილველი არ გახდეს. საჯაროობა ურთიერთობებს მხოლოდ ვნებს. პრობლემის გადაწყვეტა ყველაზე იოლად დახურულ კარს მიღმა ხდება,“* - ამბობს ფინკე.



ფინკე და ეტოო შერიგდებიან?

### მორიგი გერმანელი გრანდების რადარებზე

„დეილი სტარის“ ინფორმაციით, იანვარში „არსენალი“ და „ჩელსი“ „შალკეს“ 20 წლის გერმანელი ტალანტის **იულიან დრაქსლერის** ტრანსფერისთვის შეებმებიან ერთმანეთს. გადაუჭარბებლად შეიძლება იმის თქმა, რომ მიუხედავად ასაკისა, ფეხბურთელმა შარშან საოცარი სეზონი ჩაატარა, 46 შეხვედრაში 14 გოლი გაიტანა და 7 საგოლე გადაცემა მიითვალა. ის წელსაც არანაკლებ ეფექტურია, 12 თამაში, 3 გოლი, 3 პასი. ინგლისელი საფეხბურთო ექსპერტები დრაქსლერს უნივერსალ ნახევარმცველად მიიჩნევენ. ის იგებს ორთაბრძოლათა 60%-ს, კარის მიმართულებით დარტყმების 78% ჩარჩოში ხვდება და რაც მთავარია, 82%-იანი სიზუსტით იძლევა პასებს. ასე რომ, იულიანის მიმართ ინტერესი ლოგიკურია. ამ ზაფხულს მისი ყიდვა „რეალს“ სურდა, თუმცა ფეხბურთელმა მწვერვალზე ასვლა ნაბიჯ-ნაბიჯ გადაწყვიტა და „შალკესთან“ ახალ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. ვნახოთ, ამჯერად თუ მოინდომებს მისამართის შეცვლას.

### ახლა უკვე ოფიციალურად

უკვე ვწერდით, რომ „სანდერლენდის“ მთავარ მწვრთნელად 45 წლის **გუსტავო პოიეტის** დანიშვნა პრაქტიკულად გადაწყვეტილი იყო. ინფორმაცია „შავი კატების“ ოფიციალურ ვებგვერდსა და კლუბის „ფეისბუკის“ საშუალებით ერთდროულად გავრცელდა. ურუგვაელმა სპეციალისტმა, ვინც ივნისის შემდეგ უქმად იჯდა, თავისი პირველი პრემიერლიგური კონტრაქტი 2016 წლის ზაფხულამდე გააფორმა. შეგახსენებთ, რომ ამ პოსტზე სამხრეთამერიკელი კომმარული სტარტის გამო გათავისუფლებულ **პაოლო დი კანიოს** შეცვლის.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**




გუსტავო პოიეტის პრეზენტაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა. ტორნეო ინისიალი. X ტური

# სუპერბოკა

**რივერი-ბოკა 0:1**

**გოლი:** 0:1 ჟიგლიოტი (23)

**რივერი (4-1-2-1-2):** ბაროვერო - მერკადო, მაიდანა (46. პონსიო), ე. ალვარესი, ვანხიონი - კ. ლედესმა - კარბონერო, როხასი (64. ო. ფერეირა) - ლანსინი - ტეო გუტიერესი, ანდრადა (56. მორა)

**ბოკა (4-3-1-2):** ორიონი - ხ. მენდესი, კატა დიასი, კ. პერესი, ნ. სარატე - ერბესი, გაგო (86. ბრავო), სანჩეს მინიო - რიკელმე (58. ესკალანტე) - ხ. მარტინესი, ჟიგლიოტი (68. რიანიო)

**გაფრთხილება:** ანდრადა, ვანხიონი, პონსიო - ჟიგლიოტი, ხ. მენდესი, ესკალანტე, ნ. სარატე, ორიონი

**კუთხური:** 10-4; **ჯარიმა:** 14-15; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 18-5 (4-4); **ბურთის ფლობა:** 68%-32%

**მაყურებელი:** 60 000

**არ. ხუნიორსი-ბელგრანო 1:3**

**გოლები:** 0:1 ს. პერეირა (38), 1:1 ბოიერო (43), 1:2 ლოლო (48-პენ), 1:3 ფარე (63)

**გაძევება:** ხ. ველასკესი (50. ბელგრანო), რ. გომესი (77. არ. ხუნიორსი)

**ოლიმპო-ესტუდიანტესი 1:1**

**გოლები:** 0:1 აუსკი (54), 1:1 სარულიტე (90)

**კილმესი-ნიუელსი 0:2**

**გოლები:** 0:1 მაქსი როდრიგესი (37), 0:2 მატეო (56)

**რასინგი-ატლ. რაფაელა 0:1**

**გოლი:** 0:1 დ. ვერა (38-პენ)

**კოლონი-არსენალი 0:1**

**გოლი:** 0:1 ფურჩი (77)

**გოდოი კრუსი-ოლ ბოისი 2:0**

**გოლები:** 1:0 რამისი (61), 2:0 გარო (88)

**ხიმნასია-ველესი 2:1**

**გოლები:** 0:1 მ. სარატე (5), 1:1 ლიხტი (64), 2:1 მესა (75)

**გაძევება:** ს. დომინგესი (45. ველეს სარსფილდი)

**როსარიო-ლანუსი 2:1**

**გოლები:** 1:0 ნიელი (64), 1:1 ბლანკო (69), 2:1 ლაგოსი (76)

**გაძევება:** მარჩეზინი (23. ლანუსი)

**სან ლორენსო-ტიგრე 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნიუელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 16-7 | 23 |
| 2. სან ლორენსო | 10 | 6 | 2 | 2 | 15-7 | 20 |
| 3. არსენალი | 10 | 5 | 5 | 0 | 11-4 | 20 |
| 4. ბოკა | 10 | 6 | 1 | 3 | 13-11 | 19 |
| 5. ხიმნასია | 10 | 5 | 2 | 3 | 11-12 | 17 |
| 6. ატლ. რაფაელა | 10 | 5 | 1 | 4 | 13-14 | 16 |
| 7. ბელგრანო | 10 | 4 | 3 | 3 | 16-12 | 15 |
| 8. გოდოი კრუსი | 10 | 4 | 3 | 3 | 8-4 | 15 |
| 9. რივერი | 10 | 4 | 2 | 4 | 8-6 | 14 |
| 10. არ. ხუნიორსი | 10 | 4 | 2 | 4 | 9-12 | 14 |
| 11. ლანუსი | 10 | 3 | 4 | 3 | 14-7 | 13 |
| 12. ველესი | 10 | 3 | 4 | 3 | 12-10 | 13 |
| 13. ესტუდიანტესი | 10 | 2 | 7 | 1 | 9-7 | 13 |
| 14. ტიგრე | 10 | 3 | 2 | 5 | 7-10 | 11 |
| 15. როსარიო | 10 | 3 | 2 | 5 | 9-13 | 11 |
| 16. ოლ ბოისი | 10 | 2 | 4 | 4 | 9-9 | 10 |
| 17. კოლონი | 10 | 3 | 1 | 6 | 6-11 | 10 |
| 18. კილმესი | 10 | 3 | 1 | 6 | 5-14 | 10 |
| 19. ოლიმპო | 10 | 1 | 4 | 5 | 9-15 | 7 |
| 20. რასინგი | 10 | 0 | 2 | 8 | 3-18 | 2 |

**ბომბარდირები:** 5 - კაუტერუჩიო (სან ლორენსო), მატოსი (ოლ ბოისი), მაქსი როდრიგესი (ნიუელს ოლდ ბოისი); 4 - კარილიო (ესტუდიანტესი), ფურჩი (არსენალი), ჟიგლიოტი (ბოკა ხუნიორსი), ს. პერეირა (ბელგრანო), პრატო (ველეს სარსფილდი), რ. რამირესი (კოლონი), ს. სილვა (ლანუსი), დ. ვერა (ატლეტიკო რაფაელა)

**ტორნეო ინისიალის მე-10 ტურში რამდენიმე საინტერესო შედეგი დაფიქსირდა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, „სუპერკლასიკო" იყო, რომელიც ამჯერად „მონუმენტალზე" გაიმართა...**

## სუპერკლასიკო

პრიმერას ისტორიაში 191-ე „სუპერკლასიკო" „ბოკა ხუნიორსის" გამარჯვებით დასრულდა. შეხვედრის ერთადერთი გოლი 23-ე წუთზე საკმაოდ ლამაზი კომბინაციის შემდეგ გავიდა - **ხუან სანჩეს მინიოს, ემანუელ ჟიგლიოტის, ხუან რომან რიკელმეს** და **ხუან მანუელ მარტინესის** კომბინაცია ჟიგლიოტის შედეგიანი დარტყმით დასრულდა. გოლის შემდეგ, „ბოკამ" მეტოქეს ბურთი დაუთმო და მთელი ყურადღება დაცვაზე გადაიტანა. შედეგად, **რამონ დიასის** შეგირდები ტერიტორიულ უპირატესობას დაეუფლნენ, მაგრამ გოლის გატანა „რივერმა" ვერაფრით შეძლო. გუნდის დაცვაზე გადაწყობის გამო, დაიკარგა რიკელმე, რომელიც საერთოდ უბურთოდ დარჩა და მეორე ტაიმის დებიუტში **ბიანკიმ** გუნდის ერთ-ერთი ლიდერი საყრდენი ნახევარმცველით (**ესკალანტე**) შეცვალა.

მეორე ნახევარში გუნდებს რამდენიმე მომენტი ჰქონდათ - ხუან მანუელ მარტინესმა ბურთი **მარსელო ბაროვეროს** კარის ძელს გაარტყა. რამდენიმე შანსი „რივერმაც" ვერ გამოიყენა, თუმცა, საბოლოო ჯამში, მასპინძლები საკმაოდ უნიათოდ და უფანტაზიოდ უტევდნენ. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრის ბოლოს „ბოკამ" კონტრშეტევებზეც უარი თქვა, რამონ დიასის შეგირდებმა თამაშის გადარჩენა ვერ შეძლეს.

„რივერს" ამ სეზონში გოლების გატანა საკმაოდ უჭირს, „ბოკა" კი პირიქით - გოლებს იტანს, მაგრამ დაცვის ხაზის მოქმედებები ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. „სუპერკლასიკოში" გამოჩნდა, რომ „ლოს მილიონარიოსის" შემტევი ხაზი უფრო ცუდ ფორმაშია, ვიდრე „ლა ბოკელთა" დაცვა და ეს მიუხედავად იმისა, რომ სტუმრებს არ ჰყავდათ **გილერმო ბურდისო** და **რიბაირ როდრიგესი**. მართალია, ეს უკანასკნელი საყრდენი ნახევარმცველია, მაგრამ ბიანკი ბურდისოს არყოფნაში, დაცვაში სწორედ ურუგვაელს ენდობოდა.

„ბოკამ" მეტოქე ისტორიაში 70-ედ დაამარცხა და ურთიერთშეხვედრებში საკუთარი უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა - „რივერის" ანგარიშზე 62 გამარჯვებაა, 59 შეხვედრა კი ფრედ დასრულდა.

## ნიუელსი ლიდერობას ინარჩუნებს

ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგო „ნიუელს ოლდ ბოისმა". საკუთარი გუნდის გამარჯვებაში კვლავ დიდი წვლილი შეიტანა **მაქსი როდრიგესმა**, ვინც მორიგი გოლი გაიტანა. ვეტერანმა თავის გამოჩენა მიჯრით მეოთხე შეხვედრაში შეძლო და ახლა, მაქსი 5 გატანილი ბურთით ბომბარდირთა დავის ერთ-ერთი ლიდერია. „ატლეტიკოს" და „ლივერპულის" ყოფილი ფეხბურთელი ამით არ დაკმაყოფილდა და მეორე ტაიმში უკვე საგოლე პასიც გააკეთა, გოლი კი 35 წლის **დიეგო მატეომ** გაიტანა, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა - ბოლო 6 წლის განმავლობაში საყრდენმა ნახევარმცველმა თავის გამოჩენა მხოლოდ მეორედ შეძლო, სულ კი კარიერაში მატეოს ანგარიშზე 7 ბურთია.

ლიდერს სამი ქულით ჩამორჩა „სან ლორენსო", ვინც შინ „ტიგრეს" ვერ მოუგო. **ხუან ანტონიო პიცის** შეგირდებს 6 მატჩია, არ წაუგიათ. თანაც, ამ 6 შეხვედრაში „სან ლორენსოს" გოლი არ გაუშვია!

კვლავ დაუმარცხებელია სარანდის „არსენალი", რომელმაც რთულ შეხვედრაში „კოლონს" სტუმრად მოუგო. მიუხედავად იმისა, რომ მასპინძლებს წინა ტურში გაძევებული სამი ფეხბურთელი (**რუბენ რამირესი, მაქსიმილიანო კაირე, ლუკას ლანდა**) არ ჰყავდათ, მატჩი მაინც მათი უპირატესობით წარიმართა, თუმცა გოლი სტუმრებმა გაიტანეს - **ხულიო ფურჩმა**, მაქსი როდრიგესის მსგავსად, თავი მეხუთედ გამოიჩინა.

თუ „არსენალს" არ წაუგია, ჯერ მოგება არ აქვს „რასინგს", ვისაც უკვე 4 მატჩია, გოლიც კი არ გაუტანია. მორიგ ტურში **კარლოს ისკიას** შეგირდები „ატლეტიკო რაფაელასთან" დამარცხდნენ. **სებასტიან სახა, მატიას კააისი, ლეონარდო მილიონიკო, ივან პილუდი, ფერნანდო ორტისი, აგუსტინ პელეტიერი,** დიეგო **ვილიარი, მაურო კამორანეზი, ლუსიანო აუდი, ბრუნო სუკულინი, როდრიგო დე პაული, ლუსიანო ვიეტო, ვალენტინ ვიოლა, გაბრიელ აუჩე, მარიო რეგეირო** - უბრალოდ გასაოცარია, როგორ ახერხებს ასეთი შემადგენლობის მქონე გუნდი 10-მატჩიანი მოუგებელი და 4-მატჩიანი უგოლო სერიის „გამოცხობას"...

მოულოდნელად წააგეს „ლანუსმა" და „ველეს სარსფილდმა". ორივე გუნდი პირველივე ტაიმში კაცნაკლული დარჩა - „ველესს" გამოცდილი **სება დომინგესი** გაუძევეს, „ლანუსს" კი მეკარე **მარჩეზინი**. ამ მარცხის შემდეგ, ორი ყოფილი ბოკელის, **რიკარდო გარეკას** და **გილერმო ბაროს** შელოტოს გუნდებს 13-13 ქულა დარჩათ და ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსიც აღარ შერჩათ.



„ბოკას" ფეხბურთელები ემანუელ ჟიგლიოტის (შუაში) გოლს ზეიმობენ

ჰოლანდიის ნაკრები



გრეგორი ვან დერ ვილი

# ჰოლანდიის ნაკრებს ვან დერ ვილი გამოაკლდა

„პარი სენ ჟერმენის" მარჯვენა მცველმა **გრეგორი ვან დერ ვილმა** ტრავმა მიიღო და ჰოლანდიის ნაკრების შეკრებას გამოაკლდა. 25 წლის ფეხბურთელი საკუთარ ქვეყანას მუნდიალის შესარჩევი ეტაპის ბოლო ორ შეხვედრაში, უნგრეთთან (შინ) და თურქეთთან (სტუმრად) ვერ დაეხმარება. მის ადგილს „აუგსბურგის" 30 წლის მცველი **პოლ ვერჰეგი** დაიკავებს.

**ლუის ვან გაალმა** ნაკრებში „ნორვიჩის" ნახევარმცველი **ლეროი ფერი** და „პსვ ეინდჰოვენის" ფორვარდი **მემფის დეპაიც** გამოიძახა. 23 წლის ფერს ეროვნულ გუნდში სულ 2 მატჩი აქვს ჩატარებული, დეპაის კი ქვეყნის მთავარ გუნდში ჯერ არ უთამაშია.

შეგახსენებთ, რომ „ორანიეს" მუნდიალის საგზური უკვე მოპოვებული აქვს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვან გაალი ექსპერიმენტებს მოერიდა და საბრძოლო შემადგენლობა გამოიძახა.

ჰოლანდიის ნაკრების სრულ სია კი ასეთია:

**მეკარეები: მიხელ ვორმი** (სუონსი), **ტიმ კრული** (ნიუკასლი), **იასპერ სილესენი** (აიაქსი)

**მცველები: რონ ვლაარი** (ასტონ ვილა), **ბრუნო მარტინს ინდი** (ფეიენოორდი), **დერილ იანმაატი** (ფეიენოორდი), **ჯეტრო ვილემსი** (პსვ ეინდჰოვენი), **სტეფან დე ვრეი** (ფეიენოორდი), **ჯეფრი ბრუმა** (პსვ ეინდჰოვენი), **დელი ბლინდი** (აიაქსი), **პოლ ვერჰეგი** (აუგსბურგი)

**ნახევარმცველები: რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ჰამბურგი), **ვესლი სნეიდერი** (გალათასარაი), **ნაიჯელ დე იონგი** (მილანი), **კევინ სტროოტმანი** (რომა), **იორდი კლასი** (ფეიენოორდი), **ლეროი ფერი** (ნორვიჩი)

**თავდამსხმელები: დირკ კუიტი** (ფენერბაჰჩე), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), **არიენ რობენი** (ბაიერნი), **ჯერმეინ ლენსი** (დინამო კიევი), **მემფის დეპაი** (პსვ ეინდჰოვენი)

ამბები

## რუბენ კასტრო 6 კვირა ვერ ითამაშებს

სევილიის „ბეტისის" 32 წლის ფორვარდმა **რუბენ კასტრომ** მორიგი ტრავმა მიიღო და მწყობრიდან დაახლოებით თვე-ნახევრით გამოვიდა. ბოლო ორი სეზონის განმავლობაში 34 გოლის გამტანმა ფორვარდმა მიმდინარე ლა ლიგაში მხოლოდ ერთი მატჩი ჩაატარა - კასტრომ პირველ ტურში, „სელტასთან" 21 წუთი ითამაშა და გოლიც გაიტანა. იქიდან მოყოლებული, სევილიელთა ერთ-ერთი ლიდერი ზურგის ტრავმას უჩიოდა, ახლა კი კასტრომ მუხლის მყესიც დაიზიანა, რის გამოც მას ოპერაცია ელის.

## რამის შეძენა მილანს და რომას სურთ

კლუბის ხელმძღვანელობისგან დასჯილი **ადილ რამის** შეძენა იტალიურ კლუბებს, „მილანს" და „რომას" სურთ. „მარკას" ინფორმაციით, „ვალენსიას" 27 წლის მცველის იჯარით გაშვება სურს, იმ პირობით, რომ კონტრაქტში გამოსასყიდი თანხა 10 მილიონი ევროთი განისაზღვრება და იმ გუნდს, რომელიც რამის თავისთან წაიყვანს, სეზონის ბოლოს მისი შეძენა სწორედ ამ თანხად შეეძლება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ, „ღამურების" მცველმა კლუბის ხელმძღვანელობა და მთავარი მწვრთნელი **მიროსლავ ჯუკიჩი** გააკრიტიკა, რის გამოც რამი დასაჯეს და მას ორკვირიანი დისკვალიფიკაცია მისცეს. როგორც ჩანს, ჯუკიჩს „ლილის" ყოფილ მცველთან თანამშრომლობა აღარ სურს და არც ფრანგი ფეხბურთელი იწვის „ვალენსიაში" დარჩენის სურვილით.

## დონოვანი ისტორიული მიღწევის მიჯნაზე

აშშ-ის ნაკრების და „ლოს ანჯელეს გელექსის" ფეხბურთელი **ლენდონ დონოვანი** მალე MLS-ის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდება. 31 წლის შემტევმა ბოლო ტურში „ჩივასს" 2 გოლი გაუტანა და ახლა, მის ანგარიშზე 134 ბურთია. ლევერკუზენის „ბაიერის" და „ევერტონის" ყოფილმა მოთამაშემ ბოლივიელ **ხაიმე მორენოს** (133 გოლი) გადაასწრო და **ჯეფ კანინგემს** გაუთანაბრდა. ამ უკანასკნელმა კარიერის დიდი ნაწილი „კოლამბუსის" და „დალასის" რიგებში გაატარა და 134 გოლი 361 შეხვედრაში გაიტანა, დონოვანს კი ამ შედეგის გასამეორებლად 301 მატჩიც ეყო.

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარსელონა

# ტატა: ლა ლიგის მოგება სამ კლუბს შეუძლია


ტატა მარტინომ კლუბის რეკორდი უკვე დაამყარა

„ბარსელონას" არგენტინელი თავკაცი **ტატა მარტინო** აცხადებს, რომ წლების განმავლობაში პირველად ესპანეთის ჩემპიონის ტიტულისთვის არა ორი გრანდი იბრძოლებს, არამედ სამი კლუბი - „ბარსელონას" და „რეალის" „პირად დუელში" მადრიდის „ატლეტიკოც" ჩაებმება.

ძნელია, „როხიბლანკოს" რეკორდული სტარტის მერე არ დაეთანხმო კატალონიელთა თავკაცს - **დიეგო სიმეონეს** გუნდს 8-დან 8 მოგება და აქტივში ისეთი გამარჯვება აქვს, როგორიც „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სამეფო კლუბის" დამარცხებაა. აღსანიშნავია, რომ „ატლეტიკომ" მადრიდულ დერბიში ამ საუკუნეში პირველად იმარჯვა.

„ბარსელონას" ანალოგიური სტარტი აქვს და ესეც სარეკორდოა კლუბის ისტორიაში, თუმცა ნაკლებად მოულოდნელია. ეს გუნდები ერთმანეთს 11 იანვრამდე არ ხვდებიან.

*„ლა ლიგის მოგება სამ კლუბს შეუძლია. ეს ჩემი აზრია, თუმცა ძალიან ცოტა მეთანხმება. არადა, „ატლეტიკოს" თამაშები ვნახე, სუპერთასზე უშუალოდაც შევხვდით და ვიცი, რასაც ვამბობ - ეს გუნდი ტიტულისთვის იბრძოლებს", - განაცხადა მარტინომ.*

ამასობაში სეზონის პირველი „ელ კლასიკო" ახლოვდება, თუმცა მარტინოს ჯერ ამ შეხვედრაზე საუბარი არ სურს:

*„მანამდე ორი მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს, „ოსასუნას" წინააღმდეგ ლა ლიგაში და „მილანთან" ჩემპიონთა ლიგაზე. ორივე თამაში ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ როგორ შეიძლება ჯერ „რეალთან" დაპირისპირებაზე ფიქრი? ჩვენ ახლა ის გვაფიქრებს, მოასწრებს თუ არა ლეო მესი პამპლონელებთან მატჩისთვის გამოჯანმრთელებას. პირადად მე ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ მაქვს. გაუმართლებელი რისკი არ იქნება, ერთი დანამდვილებით ვიცი, „ოსასუნასთან" თამაშისთვის ჟორდი ალბა და ხავიერ მასკერანო მწყობრში იქნებიან. პუიოლის მუხლს ისევ ვაკვირდებით, ყველაფერი კარგად არის, მას აქვს შანსი „ოსასუნასთან" თამაშის",* - თქვა არგენტინელმა.

## ვალდესი: გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება

ამასობაში „ბარსელონას" გოლკიპერმა **ვიქტორ ვალდესმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სეზონის დასრულების შემდეგ მისი ფეხი არ იქნება „ბარსელონაში". ესპანეთის ნაკრების გოლკიპერი სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება და სადაც უნდა იქ წავა, თანაც სრულიად უფასოდ. რატომ უნდა, რეალურად 31 წლის გოლკიპერს კატალონიური გრანდის დატოვება, ალბათ მხოლოდ მას მერე გახდება ცნობილი, როცა ვალდესი „ბარსას" დატოვებს.

*„ჩემი დრო „ბარსელონაში" ამოიწურა. კლუბის ხელმძღვანელობამ აქ დარჩენის შანსი კი მომცა, მაგრამ კატეგორიული უარი ვთქვი. ახალი თავგადასავლები მინდა, ახალი გამოწვევები, მინდა ჩემს ოჯახთან ერთად სადღაც სხვაგან წავიდე",* - განაცხადა ვალდესმა „ანტენა 3"-თან ინტერვიუში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ამბები


უვე ზეელერი

## ზეელერს ლასოგა მოსწონს

„ჰამბურგისა" და ზოგადად გერმანული ფეხბურთის ცოცხალმა ლეგენდამ, **უვე ზეელერმა** ჩრდილოგერმანული კლუბის ხმაურიანი გამარჯვებით (5:0 „ნიურნბერგთან") ისიამოვნა და მატჩის შემდეგ ჰამბურგელთა თავდამსხმელი **პიერ-მიშელ ლასოგა** საუკეთესო ეპითეტებით შეამკო.

*„8 წუთში სამი გოლის გატანას მოხერხება უნდა - გამოჩნდა, რომ ლასოგა ძალიან მაგარი თავდამსხმელია,* - უთხრა 76 წლის ზეელერმა „ჰამბურგერ მორგენპოსტს" და დასძინა, - *მან იცის, რა დროს სად უნდა გაჩნდეს. ლასოგას შესანიშნავი საგოლე ალღო აქვს."*

შეგახსენებთ, რომ ლასოგამ „ნიურნბერგთან" სარეკორდო, ბუნდესლიგის ისტორიაში ყველაზე სწრაფი ჰეთთრიკი (7 წუთსა და 22 წამში) შეასრულა, რითაც **გერდ მიულერის** რეკორდი დაამხო. ზეელერს სჯერა, რომ ბერტ ვან მარვეიკის ხელში „ჰამბურგი" პროგრესს განიცდის.

## ლიოვი როისის ნაცვლად არავის გამოიძახებს

გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მოახლოებულ მატჩებში ტრავმების გამო **მიროსლავ კლოზეს, მარიო გომესს, ლუკას პოდოლსკის, ილქაი გიუნდოგანს** და **ტყუპ ბენდერებს** ვერ დაიხმარს. გაირკვა, რომ ბუნდესგუნდს ირლანდიასთან და შვედეთთან ვერც **მარკო როისი** დაეხმარება. ბენდერების გამოკლების შემდეგ ლიოვმა ნაკრებში ჰამბურგელ **ჰაიკო ვესტერმანს** უხმო, რაზეც გუშინდელ ნომერშიც ვწერდით. როისის გამოკლების შემდეგ კი ბუნდესმწვრთნელი ახალი მოთამაშის დამატებას აღარ აპირებს. გერმანიის ნაკრები მატჩებისთვის მზადებას 20 ფეხბურთელით განაგრძობს.

**გოტფრიდ ლენცი**

## ბელამი ნაკრებს ემშვიდობება

BBC-ის ცნობით, „კარდიფის" 34 წლის თავდამსხმელმა **კრეიგ ბელამიმ** 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე მაკედონიასა და ბელგიასთან დარჩენილი ორი შეხვედრის შემდეგ ეროვნული გუნდიდან წასვლა გადაწყვიტა. უელსელებს სატურნირო ამოცანები გადასაჭრელი უკვე აღარ აქვთ, რადგან ბრაზილიაში წასვლის შანსი რა ხანია, დაკარგეს. საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ ფეხბურთელმა უელსელთა თავკაც **კრის კოულმენსა** და ფეხბურთის ფედერაციას წინასწარ აცნობა. შეგახსენებთ იმასაც, რომ ბელამი მაისში სულაც აქტიური საფეხბურთო კარიერის დასრულებას გეგმავს.

## ფელაინი რისკზე მიდის

„მანჩესტერ იუნაიტედის" 25 წლის ნახევარმცველი **მარუან ფელაინი**, ბელგიის ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, რისკზე წასვლას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელმა უქმეებზე „სანდერლენდთან" მაჯის ტრავმის გამო ვერ ითამაშა. ექიმებმა სასწრაფო ოპერაციის ჩატარება ურჩიეს, რაზეც უარი თქვა. მიზეზად კი ხორვატიისა და უელსის ნაკრებებთან დარჩენილი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები დაასახელა. როგორც ამბობენ, ქირურგიული ჩარევის შემდეგ მარუანი მოედანზე გასვლას, როგორც მინიმუმ, სამი თვე ვერ შეძლებს.

## იოზილის ახალი შეყვარებული

„არსენალში" გადასვლის შემდეგ **მესუთ იოზილმა** მანქანა, რომლითაც ის მადრიდში დადიოდა, იქვე დატოვა. არადა, ლაპარაკია „ლამბორგინი გალიარდოზე", რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ძვირად ღირებულ და გამორჩეულ ავტომობილად არის აღიარებული. ფეხბურთელმა ლონდონში ჩასვლის შემდეგ ახალი „სიყვარული" გაიჩინა. ამჯერად წითელი „ფერარი 458", რომელშიც 400 ათასი ფუნტი გადაიხადა.

**ლევან ბიბილაშვილი**

ბაიერნი

# პატარა დავიდი უკვე გოლიათია?
## ახალი კონტრაქტი და 6 მილიონი ალაბას


დავიდ ალაბას ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

ავსტრიული მედიის ინფორმაციით, მიუნხენის „ბაიერნი" **დავიდ ალაბას** ახალ კონტრაქტს და წელიწადში 6 მილიონი ევროს ოდენობის ხელფასს სთავაზობს. ჩვენი ავსტრიელი კოლეგები იტყობინებიან, რომ მიუნხენური გრანდის შეფებს ალაბას კონტრაქტის 2019 წლამდე გაგრძელება სურთ და მზად არიან, კლუბის ერთ-ერთ მაღალანაზღაურებად მოთამაშედ აქციონ.

რეკორდმაისტერის შეფების ნერვიულობა ლოგიკურია - ალაბას არაერთი მთხოვნელი გამოუჩნდა და თანაც, მხოლოდ ტოპ-კლუბები ეპატიჟებიან. თუმცა ავსტრიელმა მარცხენა მცველმა, რომელსაც საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზეც შეუძლია თამაში, ზაფხულში თქვა, რომ პირველ რიგში „ბაიერნის" შეფებს დაელაპარაკება. შეგახსენებთ, რომ ალაბამ „ბაიერნის" ფორმით პირველად 2010 წელს, **ლუის ვან გაალის** მწვრთნელობის ხანაში ითამაშა. 21 წლის ავსტრიელი „ჰოფენჰაიმშიც" გახლდათ განათხოვრებული, მერე კი „ბაიერნში" დაბრუნდა და დღეს ბავარიული გრანდის ძირითადი შემადგენლობის წევრია.

## შვაინი: ლამი მაგარი საყრდენი გამოდგა

რაკი „ბაიერნის" ესპანელი ნახევარმცველები, **ხავი მარტინესი** და **ტიაგო ალკანტარა** ტრავმირებულები არიან, **ხოსეპ გვარდიოლა** 4-1-4-1 ტაქტიკურ სქემაში ერთადერთი კლასიკური ჩამშლელი ნახევარმცველის პოზიციაზე **ფილიპ ლამს** ათამაშებს და კაპიტანი, რომლის ადგილი მარჯვენა მცველის პოზიციაზეა, საქმეს თავს ნახევარდაცვის ცენტრშიც ძალიან კარგად ართმევს.

რეკორდმაისტერის ვიცე-კაპიტან **ბასტიან შვაინშტაიგერის** აზრით, ლამი შესანიშნავი საყრდენი ნახევარმცველი გამოდგა და შესაძლებელია, რომ ამ პოზიციაზე თამაშზე უფრო სერიოზულადაც *იფიქროს: „ფილიპი „ექვსიანის" ფუნქციებს იდეალურად ასრულებს. მისი გამოყენება ამ პოზიციაზე ნებისმიერ დროს თამამად შეიძლება. თუმცა გერმანიის ნაკრებში „ბაიერნის" თამაშის სტილის გადატანა არცისე ადვილია, ბუნდესგუნდს სხვანაირი ტიპის საყრდენები სჭირდება. ასე რომ, არა მგონია, ნაკრებში ლამის საყრდენად გამწესება კარგი იდეა იყოს. თანაც, თვითონ ფილიპს დაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაში ურჩევნია,"* - უთხრა შვაინშტაიგერმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს. აქვე გეტყვით, რომ თუ 29 წლის შვაინი ირლანდიასთანაც ითამაშებს და შვედეთთანაც, გერმანიის ნაკრებში 100 მატჩი დაუგროვდება.

**გოტფრიდ ლენცი**


ფილიპ ლამი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზეც გამორჩეულია



ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიის ნაკრები


ფრანჩესკო ტოტის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის კარგი შანსი აქვს

# დღეს რომ მუნდიალი ინყებოდეს...

## ტოტი სამუნდიალე განაცხადში?

იტალიურ სპორტულ პრესაში სერია A-ს განვლილ ტურზე, „რომას“ ლიდერობასა და „იუვენტუსი“-“მილანის“ ჯახზე ბევრი ისაუბრეს, ახლა კი სანაკრებო ბატალიების ჯერი დადგა. **ჩეზარე პრანდელიმ** უკვე დაასახელა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის დასკვნით ორ პაექრობაში დაეყრდნობა - შეგახსენებთ, რომ „სკუადრა აძურას“ დანიასთან და სომხეთთან მოუწევს თამაში. სენიორ ჩეზარემ 29 ფეხბურთელს უხმო, თუმცა ექსპერიმენტებს მაქსიმალურად მოერიდა - განაცხადში ნაცადი ფეხბურთელები მოხვდნენ, რომლებსაც სენიორ ჩეზარე აქამდეც აქტიურად იძახებდა. მხოლოდ ორი ფეხბურთელი შეგვიძლია გამოვარჩიოთ, რომლებიც დიდი ხნის პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ „აძურას“ - ერთი **ფედერიკო ბალცარეტი** გახლავთ, ხოლო მეორე **ჯუზეპე როსი**. ბალცარეტი პრანდელიმ რატომლაც აითვალწუნა და ევროპის ჩემპიონატის შემდეგ აღარ გამოუძახებია, აი როსიმ კი უმძიმესი ტრავმა ჯერ კიდევ ევროფორუმამდე მიიღო. თავად განსაჯეთ, ჯუზეპემ „სკუადრა აძურაში“ ბოლო მატჩი 2011 წლის ოქტომბერში გამართა. როსიმ ნაკრებში დაბრუნების უდიდესი სურვილი არაერთხელ გამოთქვა და ბუნებრივია, პრანდელის გადაწყვეტილებამ მადლიერებით აავსო - აქვე, მისი კომენტარი:

*„ეროვნულ გუნდში დაბრუნება ჩემი ოცნება იყო, რომელიც ამიხდა. კარგად მესმის, რომ ოპტიმალურ ფორმაში არ ვარ და პრანდელიმ ამ ნაბიჯით უბრალოდ წამახალისა - ამიტომ, მისი უსაზღვროდ მადლიერი ვარ და ყველანაირად ვეცდები, რომ გაცემული ნდობა გავამართლო. ჩემი მიზანი ბრაზილიაში გამგზავრება და მუნდიალზე თამაშია, რისთვისაც ყველაფერს გავაკეთებ“.*

### დე როსის ტრავმა

„ინტერთან“ შეხვედრაში **დანიელე დე როსიმ** მცირე ტრავმა მიიღო, რის გამოც დიდი ალბათობით, სანაკრებო მატჩების გამოტოვება მოუწევს. მართალია, დანიელეს მიკროტრავმა აქვს, მაგრამ არაფრისმომცემ შეხვედრებში ჯანმრთელობის გარისკვა აშკარად გაუმართლებელია. ამ თემაზე მოკლე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

*„ყველაფერს ექიმები და სამწვრთნელო შტაბის წარმომადგენლები გადაწყვეტენ. თუ თამაშის უფლებას მომცემენ, მზად ვარ, მოედანზე გავიდე და ეროვნული გუნდისთვის ყველაფერი გავაკეთო. როგორც მითხრეს, მძიმე ტრავმას გადავურჩი და ეს უკვე კარგია“.*

### გაკვირვებული კონტე

როგორც აღვნიშნეთ, ჩეზარე პრანდელი ექსპერიმენტებს მოერიდა და ეროვნულ გუნდში ყველა წამყვანი ფეხბურთელი გამოიძახა, მათ შორის 34 წლის **ანდრეა პირლო**. ამან „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი **ანტონიო კონტე** გააკვირვა და ცოტა გააბრაზა კიდეც:

*„პრანდელის უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ვერაფრით ვხვდები, რატომ გამოიძახა ანდრეა პირლო. იტალიის ნაკრებმა უკვე მოიპოვა მუნდიალის საგზური და შანსი მოგვეცა, 34 წლის ანდრეას ცოტა დასვენების საშუალება მივცეთ. მიმდინარე სეზონში, პირლომ სერია A-ს ექვს შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და პლუს, ორჯერ იასპარეზა ჩემპიონთა ლიგაზე. იმედია, პირლო ორივე სანაკრებო მატჩს თავიდან ბოლომდე არ ითამაშებს - ეს მეტისმეტი იქნება“.*

### პრანდელი ტოტის შესახებ...

და ყველაზე მთავარი, რამაც მთელი იტალიური საფეხბურთო სამყარო აალაპარაკა - ჩეზარე პრანდელის თქმით, მუნდიალი რომ ხვალ ინყებოდეს, **ფრანჩესკო ტოტი** აუცილებლად მოხვდებოდა 23-კაციან განაცხადში. უმჯობესია, სიტყვა თავად ჩეზარეს გადავცეთ:

*„ფრანჩესკო ტოტი უდიდესი ფეხბურთელია, რომლის ნიჭზეც დიდხანს შეიძლება ლაპარაკი. დღეს რომ სამუნდიალე განაცხადს ვაკეთებდე, ტოტი ამ სიაში აუცილებლად მოხვდებოდა. დიახ, ასეა, რადგან ამ მომენტისთვის ფრანჩესკო საუკეთესოა იტალიაში. თუმცა, მისი ასაკის გათვალისწინებით, არაა აუცილებელი შესარჩევ და ამხანაგურ მატჩებში გამოვიძახოთ - ფრანჩესკოს ვაკვირდები, მისი მუნდიალზე გამგზავრების საკითხი კი ჩემპიონატის დაწყებამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე გადაწყდება. იგივე შემიძლია ვთქვა ანტონიო კასანოსა და ანტონიო დი ნატალეზე. განვიხილე თუ არა ეს საკითხი ტოტისთან? - არა, ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ. ტოტიმ იცის, რომ მას აქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობის შანსი“.*

**ლაშა ნიკლაური**

მოსაზრება

# სკუდეტოსთვის იუვე და ნაპოლი იბრძოლებენ

## მილანელები სამეულს მიღმა...

„სამპდორიას“, „იუვენტუსის“, „ჩელსის“ და იტალიის ნაკრების ექსფეხბურთელმა ჯანლუკა ვიალიმ „გაძეტა დელო სპორტს“ ინტერვიუ მისცა და კალჩოში მიმდინარე პროცესებზე საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, სიტყვა პირდაპირ ვიალის გადავცეთ...

### სკუდეტო

*ჩემი პირადი აზრით, სკუდეტოსთვის ორი გუნდი იბრძოლებს: „იუვენტუსი“ და „ნაპოლი“. „ვეკია სენიორა“ მოქმედი ჩემპიონია, სამხრეთელები კი აშკარად მზად არიან იმისთვის, რომ ტურინულ გრანდს ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიონ. ვფიქრობ, ნეაპოლურ გუნდში ცვლილებებიც დროულად მოხდა - რაფაელ ბენიტესმა გუნდს ახალი ენერგია შთაბერა და ეს აუცილებლად მოიტანს შედეგს. ვფიქრობ, „იუვეს“ და „ნაპოლის“ სკუდეტოს მოპოვების თანაბარი შანსები აქვთ.*

*„რომა“? - რომაელებმა ჩემპიონატი ბრწყინვალედ დაიწყეს, მაგრამ მეეჭვება, რომ ჩემპიონატის ბოლომდე ასე გაგრძელდეს. რუდი გარსია სწორ გზას ადგას და „ჯალოროსი“ დიდ მიზნებს შეეჭიდება, მაგრამ ამავე სეზონში სკუდეტო, მეტისმეტია. ვფიქრობ, „რომა“ სამეულისთვის იბრძოლებს.*

### სამეული

*დიახ, „რომა“ აუცილებლად იბრძოლებს მესამე ადგილისთვის, მის მთავარ კონკურენტებად კი „ლაციო“ და „ფიორენტინა“ უნდა მივიჩნიოთ. საერთოდ, პროგნოზების კეთება მიყვარს და ჩემი მოსაზრების დაფიქსირებას არ მოვერიდები. რაც შეეხება მილანურ გუნდებს, კარგს ვერაფერს ვიტყვი - „ინტერმა“ კარგად დაიწყო სეზონი, მაგრამ თუ ზამთარში არ გაძლიერდა, ლიდერთა შორის დარჩენა გაუჭირდება. რაც შეეხება „მილანს“, ვეჭვობ ამ გუნდმა თუნდაც სამეულისთვის იბრძოლოს. შავ-წითლებს ტიაგო სილვას შემცვლელი უნდა ეყიდათ, მათ კი ფული ალესანდრო მატრის შეძენაში გადაიხადეს. მატრის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ აშკარაა, რომ ლომბარდიელებს კარგი ცენტრალური მცველი უფრო სჭირდებოდათ.*

### იტალიის ნაკრები

*იტალიის ნაკრებს მუნდიალზე წარმატების მიღწევის კარგი შანსი აქვს, რადგან ჩეზარე პრანდელის ხელში გუნდი მუდმივად პროგრესირებს. ევროპის ჩემპიონატსა და კონფედერაციათა თასზე „სკუადრა აძურამ“ შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, მსოფლიოს ჩემპიონატზე კი უკეთ უნდა წარმოჩნდეს. რაც მთავარია, ჩეზარეს სწორი საკადრო პოლიტიკა აქვს და მათ აძლევს ეროვნულ ნაკრებში ასპარეზობს შანსს, ვინც ნამდვილად იმსახურებს. მას არ ჰყავს გამორჩეული ფეხბურთელები, რომლებსაც განაცხადში ადგილი დაბევებული აქვთ. ეს ყველაფერი „აძურას“ აუცილებლად მიიყვანს წარმატებამდე.*

**ლაშა ნიკლაური**


ჯანლუკა ვიალი

კომენტარი

# სტროოტმანი: მეტი შემიძლია



კევინ სტროოტმანი

„რომამ“ ახალი სეზონი ბრწყინვალედ დაიწყო, ყველა შეხვედრა მოიგო და სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგა. ჯერჯერობით, ამ წარმატებაში არცთუ დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის ახალწვეულ **კევინ სტროოტმანს**. არადა, 23 წლის ჰოლანდიელი ნახევარმცველი იტალიელებმა სოლიდურ თანხად, 17.5 მილიონ ევროდ შეიძინეს და ბუნებრივია, მისგან გაცილებით მეტს ელიან. ამ თემაზე კომენტარი თავად კევინმა გააკეთა:

*„იტალიაში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ერთი წუთითაც არ მინანია, რომ კარიერის გაგრძელება „რომაში“ გადავწყვიტე. სეზონი შესანიშნავად დავიწყეთ და დღეს, მთელი ქვეყანა ჩვენს წარმატებებზე საუბრობს. რაც შეეხება ჩემს თამაშს, კმაყოფილი ნამდვილად ვერ ვიქნები - ბევრად მეტი შემიძლია და ამას აუცილებლად დავამტკიცებ. ჩემი სურვილია, რომ „რომას“ ერთ-ერთი ლიდერი გავხდე და გუნდის წარმატებებში დიდი წვლილი შევიტანო“.*

**ლაშა ნიკლაური**

ამბები

### ნაპოლი-რომას თარიღი შეუცვალეს

იტალიის ჩემპიონატის მომდევნო ტურის ცენტრალურ მატჩს თარიღი შეუცვალეს „ნაპოლი“-“რომა“ „სან პაოლოზე“ შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ ახალი დადგენილებით, პარასკევს, 18 ოქტომბერს შედგება. საქმე იმაშია, რომ შაბათს ნეაპოლში საპროტესტო მიტინგია დაგეგმილი, რომელიც საკმაოდ დიდი მასშტაბის იქნება, ამიტომაც პოლიციასთან კონსულტაციის შემდეგ, „ლეგა კალჩომ“ მატჩის თარიღის გადმოწევის გადაწყვეტილება მიიღო.


ადნან იანუზაი

### ბარსას იანუზაი მოუნდა

„დეილი მეილის“ ინფორმაციით, „ბარსელონა“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ბელგიელი ტალანტით, **ადნან იანუზაით** დაინტერესდა. „ბარსელონაში“ მოუთმენლად ელიან, რას მოიმოქმედებს 18 წლის ფეხბურთელი, მას მანჩესტერში ახალ კონტრაქტს სთავაზობენ, თუკი იანუზაი ახალ ხელშეკრულებაზე უარს იტყვის, „ბარსელონა“ ამ მხრივ შესამჩნევად გააქტიურდება და ბელგიელის ხელში ჩაგდებას შეეცდება. შეგახსენებთ, რომ ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში „სანდერლენდთან“ მან პრემიერლიგაში პირველი დუბლი შეასრულა და **დევიდ მოიესის** გუნდს მოაგებინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ინტერვიუ. მაქს კრუზე

# მიონხენგლადბახში ჩემი ადგილი ვიპოვე

## კრუზე გერმანიის ნაკრებს გაუშინაურდა და მუნდიალს უმიზნებს

**ხუთი** გოლი და ხუთი საგოლე პასი რვა თამაშში - ფაქტია, რომ 25 წლის მაქს კრუზეს, რომელიც მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" ზაფხულში გადავიდა, ამ სეზონში საქმეები ძალიან კარგად მისდის. ლოგიკურია, რომ მას ბოლო დროს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იოახიმ ლიოვიც ენდობა - კრუზე ბუნდესგუნდსაც გაუშინაურდა. „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში „გლადბახის" ფორვარდი დორტმუნდის „ბორუსიასთან" გამარჯვებისა და გერმანიის ნაკრებში საკუთარი პერსპექტივის შესახებ საუბრობს.

**- ჰერ კრუზე, გერმანიის ჩემპიონატის პირველი მეოთხედი მიილია და „გლადბახი" ცხრილში მხოლოდ „დიდ სამეულს", „ბაიერნს", „დორტმუნდს" და „ლევერკუზენს" ჩამორჩება. მეოთხე ადგილი ჩემპიონთა ლიგის ზონაში ყოფნასაც ნიშნავს. როგორ ფიქრობთ, რა პერსპექტივა აქვს „გლადბახს" ამ სეზონში?**

- პროგნოზების გაკეთება ჯერ კიდევ ძალიან ადრეა. უბრალოდ, ყველას გვიხარია, რომ 13 ქულა გვაქვს და მეოთხე ადგილზე ვართ. ამ მიღწევას და „დორტმუნდთან" გამარჯვებას ველარავინ წაგვართმევს, ამის შემდეგ კი ყველაფერი მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული.

**- „დორტმუნდთან" გამარჯვება ალბათ თავდაჯერებასაც შეგმატებთ, რაც მომდევნო მატჩებში გამოგადგებათ...**

- ყველა თანხმდება, რომ ჩვენ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, რომელსაც უბრალოდ თავდაჯერება და შესაბამისად, სტაბილურობა აკლია. იმედია, „დორტმუნდთან" მოგება ამ პრობლემის მოხსნაში მართლაც დაგვეხმარება. „დორტმუნდის" დამარცხებას მოხერხება უნდა, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ეს გამარჯვება რეალურად მხოლოდ სამ ქულას ნიშნავს და მეტს არაფერს.


ხუთი გოლი და ხუთი საგოლე პასი 8 თამაშში - მაქს კრუზემ „გლადბახში" სეზონი შესანიშნავად დაიწყო

**- სულ ოთხი თამაში მოიგეთ და ოთხივე გამარჯვება საკუთარ „ბორუსია პარკზე" მოიპოვეთ. სტუმრად რატომ ვერ იგებთ?**

- აუგსბურგში გამარჯვებასთან ახლოს ვიყავით, მაგრამ ის შეხვედრა 2:2 დასრულდა. მომდევნო ტურში ბერლინში ჩავდივართ და ჩვენი მიზანი, რა თქმა უნდა, დედაქალაქიდან სამი ქულის წამოღებაა, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ბუნდესლიგაში ახლახან დაბრუნებული გუნდის კვალობაზე „ჰერტა" ძალიან კარგად თამაშობს.

**- თქვენმა მწვრთნელმა ლუსიენ ფავრმა თქვა, „დორტმუნდთან" პირველი ტაიმი 0:0 რომ დამთავრდა, ეს ნამდვილი სასწაული იყოო. დორტმუნდელები მართლაც ყველა ასპექტში გჯობდნენ და საინტერესოა, ფეხბურთელებს გჯეროდათ, რომ ამ თამაშის მოგება შეიძლებოდა?**

- სანამ ტაბლოზე 0:0 ანთია, მოგების შანსი ყოველთვის არსებობს და ფეხბურთელებსაც უნდა სჯეროდეთ, რომ გამარჯვება შეიძლება. პირველ ტაიმში დორტმუნდელებმა მართლაც ყველანაირად გვაჯობეს და ჩვენს კართან არაერთი მომენტი შექმნეს, მაგრამ აღსანიშნავია ჩვენი დამსახურებებიც - დორტმუნდელთა იერიშები ძალიან დიდხანს ავიტანეთ და ვითმინეთ. საბოლოო ჯამში, დაცვაში კომპაქტურად ვიდექით და საკუთარ შანსს ველოდებოდით. ერთი-ორი შანსი ყოველთვის გეძლევა - უბრალოდ გამოყენება უნდა. კარგია, რომ ჩვენ გამოვიყენეთ.

**- მიუნხენსა და ლევერკუზენში ფავრმა შემტევი ტაქტიკით გათამაშათ და იმ შეხვედრებში „გლადბახი" სულაც არ გამოიყურებოდა ცუდად, მაგრამ უქულოდ დარჩა. ალბათ, ამიტომაც შეცვალა სტრატეგია მწვრთნელმა...**

- არა მგონია... ფავრმა შესვენებაზე გვითხრა, დაცვაში უფრო მეტი ყურადღებით ითამაშეთ და შეეცადეთ, პრესინგს მოედნის ცენტრშივე მიმართოთო. ჩვენი მთავარი მიზანი „დორტმუნდთან" გოლის არგაშვება იყო. იურგენ კლოპის გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში მძაფრად გვიტევდა და მაგრად გვწნეხდა - ამ დროს საკუთარ შეტევებზე ფიქრი ძნელია. ჩვენ კი ვფიქრობდით, რომ დორტმუნდელები 90 წუთის მანძილზე ასე ვერ ირბენდნენ და რომ ჩვენი შანსი აუცილებლად მოგვეცემოდა, რაც მოხდა კიდეც. მთავარი ისაა, ვის დარჩება სამი ქულა და ამ შემთხვევაში სამი ქულა ჩვენ დაგვრჩა.



### დოსიე

| | |
|---|---|
| სახელი | მაქს |
| გვარი | კრუზე |
| პოზიცია | თავდამსხმელი, შემტევი ნახევარმცველი |
| ნომერი კლუბში | 10 |
| კლუბი | გლადბახი (2013 წლის ზაფხულიდან) |
| დაბადების თარიღი | 19.03.1988 |
| სიმაღლე | 180 სმ |
| წონა | 76 კგ |
| ამ სეზონში | 8 თამაში, 5 გოლი |
| ბუნდესლიგაში | 76 თამაში, 18 გოლი |
| მე-2 ბუნდესლიგაში | 63 თამაში, 20 გოლი |
| მე-3 ბუნდესლიგაში | 24 თამაში, 5 გოლი |
| ეროვნება | გერმანელი |
| გერმანიის ნაკრებში | 3 თამაში |

**კარიერა**

| | |
|---|---|
| ვერდერი (2006-2009) | 1 თამაში |
| ზანქტ პაული (2009-2012) | 96 თამაში, 22 გოლი |
| ფრაიბურგი (2012/2013) | 34 თამაში, 11 გოლი |
| გლადბახი (2013-დან) | 8 თამაში, 5 გოლი |

**- „გლადბახის" სპორტულმა დირექტორმა მაქს ებერლმა თქვა, პენალტებს კარგად მხოლოდ ის ფეხბურთელები ასრულებენ, რომლებსაც ლიდერობის ნიჭი აქვთო... ამ განცხადებით მან ფაქტობრივად გუნდის ლიდერად მოგიხსენიათ...**

- თამაშის წინ შევთანხმდით, რომ თერთმეტმეტრიანი ან მარტინ შტრანცლს უნდა დაერტყა, ანაც მე. იმ მომენტში თავს კარგად ვგრძნობდი, თავდაჯერებული ვიყავი და ამიტომაც დავარტყი. რაც შეეხება იმას, რომ პენალტისტობა ლიდერობასთან ასოცირდება - ვფიქრობ, ჩემი ლიდერობის ნიჭი სხვებმა უნდა შეაფასონ. ფაქტი ის არის, რომ მიონხენგლადბახში ჩემი ადგილი ვიპოვე - აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. ყველას ვუყვარვარ და ყველა პატივს მცემს - ეს კი ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია.

**- გერმანიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს ირლანდიასთან და შვედეთთან მატჩებით გაიფორმებს. ბუნდესგუნდში თქვენც გამოძახებული ხართ...**

- მიხარია, რომ იოახიმ ლიოვი უყურადღებოდ არ მტოვებს.

**- რაკი მიროსლავ კლოზე და მარიო გომესი დაშავებულები არიან, დიდი შანსია, რომ სასტარტო შემადგენლობაში მოხვდეთ...**

- ამაზე ბევრს არ ვფიქრობ. გერმანიის ნაკრების ყველა პოზიციაზე უდიდესი კონკურენციაა - ყველა ფეხბურთელი მაღალი დონისაა. გუნდში ბევრი ისეთი მოთამაშეა, რომელსაც 4-2-3-1 ტაქტიკურ სქემაში ყველაზე წინა პოზიციაზე ასპარეზობა შეუძლია. ახლაც, როცა გომესი და კლოზე ტრავმირებულები არიან, ამ პოზიციისთვის რამდენიმე კანდიდატია. მე ყველაფრისთვის მზად ვარ. ვნახოთ, რას მოიფიქრებს ლიოვი.

● მოსალოდნელი დანიშვნა


მიხაელ ვიზინგერი გაათავისუფლეს

# ვინ იხსნის ნიურნბერგს?

## ვიზინგერი გაუშვეს, ტოპ-კანდიდატები გროსი და შააფი არიან

„ჰამბურგთან" განადგურებით (0:5) „ნიურნბერგის" ხელმძღვანელები ისე აღშფოთდნენ, რომ გუნდის მთავარი მწვრთნელი **მიხაელ ვიზინგერი** თანამდებობიდან გაათავისუფლეს. 40 წლის სპეციალისტმა ფრანკების დამრიგებლად მხოლოდ 287 დღე იმუშავა, ახლა კი, ნიურნბერგელები ახალ მწვრთნელს ეძებენ.

*„გადაწყვეტილების მიღება გაგვიჭირდა, მაგრამ ერთობლივი მსჯელობის შემდეგ ხელმძღვანელები იმ დასკვნამდე მივედით, რომ მიხაელ ვიზინგერი და მისი ასისტენტი არმინ როიტერშანი უნდა დაგვეთხოვა,"* - აცხადებს „ნიურნბერგის" მენეჯერი **მარტინ ბადერი**. შეგახსენებთ, რომ ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონში ეს მწვრთნელის მესამე გათავისუფლებაა. ვიზინგერამდე „შტუტგარტში" **ბრუნო ლაბადია** დაითხოვეს, „ჰამბურგში" კი - **ტორსტენ ფინკი**.

ვიზინგერის გაგდების მთავარი მიზეზი არა „ჰამბურგთან" სამარცხვინო წაგება, არამედ ის არის, რომ ფრანკებს 8 ტურის შემდეგ არც ერთი მოგება არ აქვთ. მიხაელი „ნიურნბერგში" 2012 წლის 24 დეკემბერს დაინიშნა და მაშინ „ვოლფსბურგში" გადაბარგებული **დიტერ ჰეკინგი** შეცვალა. ვიზინგერის ხელში ფრანკებმა 26 შეხვედრა ჩაატარეს და საშუალოდ ერთ მატჩში 1.12 ქულას იღებდნენ.

„ბილდის" ინფორმაციით, „ნიურნბერგის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე ტოპ-კანდიდატი შვეიცარიელი **კრისტიან გროსია**. 59 წლის სპეციალისტი ბოლოს, 2012 წლის აპრილამდე ბერნის „იანგ ბოიზს" წვრთნიდა, მას მერე კი უმუშევარია. გროსს გერმანიაში მუშაობის გამოცდილება („შტუტგარტის" თავკაცი იყო) აქვს. საუბარია „ვერდერიდან" გათავისუფლებულ ღწ ასევე უმუშევარ **თომას შააფზეც**.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ქუთაისის რეგატა-2013

# რიონზე ნავები ისევ გამოჩნდნენ

ქუთაისის უძველეს უბან ჭომაში, მდინარე რიონზე ნიჩბოსნობის ბაზა ქვეყანაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო, სადაც ხშირად იმართებოდა შეჯიბრებები. თუმცა, გასული საუკუნის რთულ 90-იან წლებში, სპორტის სხვა სახეობების მსგავსად, ნიჩბოსნობაც დაზარალდა და დაღმასვლა დაიწყო. გავერანდა ბაზა, აღარ ტარდებოდა ტურნირები... ბოლო წლებში ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ძალისხმევით ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, შეიძინეს სპორტული ინვენტარი, რამაც კვლავ შესაძლებელი გახადა ქუთაისს, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, მასშტაბური და კარგად ორგანიზებული შეჯიბრებისთვის ემასპინძლა. ქუთაისის რეგატა პირველად შარშან ჩატარდა და სპეციალისტების მოწონება დაიმსახურა. ტურნირის ყოველწლიურად გამართვა გადაწყდა.

„რეგატა-2013" ქუთაისის სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების მიერ იყო ორგანიზებული. შეჯიბრებები ოლიმპიურ კანოე-კაიაკსა და აკადემიურ ნიჩნოსნობაში გაიმართა ქუთაისის, მცხეთის, ფოთის, დუშეთის, რუსთავის და მათთან ერთად აზერბაიჯანელი ნიჩბოსნების მონაწილეობით - სულ 200-ზე მეტმა სპორტსმენმა მოიყარა თავი.

**დავით აბულაძე:** „მეორე წელიწადია, რაც ამ შეჯიბრებას ვატარებთ. გვინდა მომავალი წლისთვის მონაწილეთა გეოგრაფია გავაფართოოთ, ვგეგმავთ უკრაინელებისა და ბელარუსების მოწვევას. ამ ქვეყნებში ნიჩბოსნობა განვითარებულია, კარგი სპორტსმენები ჰყავთ და მათ გვერდით ჩვენები დიდ გამოცდილებას მიიღებენ. ნიჩბოსნობა ქუთაისში ერთ დროს პოპულარული სახეობა იყო, მაგრამ მიზეზთა გამო დღეს არა მარტო ჩვენს ქალაქში, არამედ მთლიანად ქვეყანაში აღარ არის სასურველ დონეზე. ასეთ ვითარებაში ანალოგიური ტურნირების ჩატარება უპირველესად სპორტის ამ სახეობის წამოწევასა და პოპულარიზაციას ემსახურება.

**ფაზიდ მამედოვი** (აზერბაიჯანის წარმომადგენელი): „ქუთაისის „რეგატა-2013" მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, მადლობა ქართულ მხარეს გულთბილი მიღებისთვის და კარგი მასპინძლობისთვის. შედეგებითაც არ ვარ უკმაყოფილო, ორი პირველი ადგილი მოვიპოვეთ და ერთი ჩვენი სპორტსმენი ქართველთან წყვილში გახდა გამარჯვებული. უახლოეს მომავალში ქუთაისის ნიჩბოსნობის გუნდს აზერბაიჯანშიც მივიწვევთ, ჩვენ მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ნიჩბოსნობის ბაზა გვაქვს, სახელმწიფო სპორტის ამ სახეობის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს. ასეთ ტურნირებში ხშირი მონაწილეობა ორივე მხარისთვის ძალიან სასარგებლო იქნება.

**ტურნირის გამარჯვებულები**

**2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის**

**K-1 (კაიაკი) 200 მ.** ვაჟები - ლუკა ჯიშკარიანი (ქუთაისი); გოგონები - ქრისტინა მგელაძე (ფოთი).

**K-2 (კაიაკი) 200 მ.** ქუთაისი (ლუკა ჯიშკარიანი, რატი ყურაშვილი)

**C-2** (კანოე) 200მ. ფოთი (თენგო სტურუა, ავთანდილ სტურუა).

**1998-99 წლებში დაბადებულთა შორის**

**K-1 (კაიაკი) 200 მ.** მურმან გურბანოვი (აზერბაიჯანი)

**C-1 (კანოე)** 200მ. ბახრუს გაგიევი (აზერბაიჯანი)

**K-1 (კაიაკი) 200 მ.** გოგონები. რუსუდან ჯიქურაული (დუშეთი)

**K-2 (კაიაკი) 200 მ.** გოგონები. დუშეთი (ანა ჯიქურაული, რუსუდან ჯიქურაული)

**K-2 (კაიაკი) 200 მ.** ვაჟები. მცხეთა (სულიკო ირემაშვილი, ვალერი რთველიშვილი)

**C-2 (კანოე) 200 მ.** ვაჟები. ფოთი (ბორის კაკულია, გარუჩა ხიზანიშვილი)

**1995-96 წლებში დაბადებულთა შორის**

**K-1 (კაიაკი) 200 მ.** გოგონები. თეონა შაბურიშვილი (დუშეთი)

**K-1 (კაიაკი) 200 მ.** ვაჟები. გიორგი გოგელაშვილი (ქუთაისი)

**K-2 (კაიაკი)** ვაჟები. ქუთაისი (ზაურ დევიძე, ნიკოლოზ მაღლაფერიძე)

**1994 და ზევით**

**K-1 (კაიაკი) 500 მ.** გიორგი მარტოლეკი (მცხეთა)

**K-2 (კაიაკი) 500 მ.** მცხეთა (გიორგი მარტოლეკი, ლევან სოსელია)

**აკადემიური ნიჩბოსნობა**

**2001 წელს დაბადებულთა შორის**

1X 500 მ. - 1. რუსტამ მეხმანტი (აზერბაიჯანი)

**1998-99-წლიანები. 1X 1000 მ.** ფარნა კაპანაძე (მცხეთა)

**1995-97-წლიანები. 1X 1000 მ.** ნიკა კანდელაკი ( მცხეთა)

**1998-99-წლიანები. 2X 1000 მ.** მცხეთა (ნოდარ მარტოლეკი, ვასილ ჩარკვიანი)

**2000-2001-წლიანები. 2X 500 მ.** ქუთაისი-აზერბაიჯანი (აბიბოს მინდიაშვილი წყვილში აზერბაიჯანელთან)

**1995-1997-წლიანები. 2X 1000 მ.** მცხეთა-ქუთაისი (არჩილ ბაიაშვილი, გიორგი კანთელაძე)

**დავით პოხრეიძე**
**ქუთაისიდან**



ანა (წინ) და რუსუდან ჯიქურაულები — ვაჟა დანელიას ფოტო

მძლეოსნობა







„დინამო-არენაზე" ორ დღეს გრძელდებოდა 1999-2000 წლებში დაბადებულ მძლეოსანთა საქართველოს ღია პირველობა, რომელშიც 16 ქალაქისა და რაიონის 300-მდე წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. მოასპარეზეთა შორის იყო 16 ლატვიელი გოგონა და ვაჟი. ამ შეჯიბრებამ იმიტომ გამოიწვია დიდი ინტერესი, რომ სწორედ ამ ასაკის სპორტსმენები გაუწევენ ერთმანეთს მეტოქეობას 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალში. ცხადია, ყველა ქვეყანა ცდილობს, სპორტის იმ სახეობებში, რომლებიც ფესტივალის პროგრამაშია შეტანილი, კონკურენტუნარიანი გუნდები ჩამოაყალიბოს. დასტურად ლატვიის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის, მძლეოსნობასა და ათჭიდში ლატვიის მრავალგზის ჩემპიონის, ბობსლეიში სოლტ ლეიქ სითის ზამთრის ოლიმპიადის მონაწილის, ევროპის ვიცე-ჩემპიონისა და გრან პრის მეორეადგილოსან მატის ზაცმანისის სიტყვებიც კმარა: „თბილისში ჩვენი სტუმრობის მიზანია არა მარტო ქართველ და ლატვიელ ჭაბუკ სპორტსმენთა დაახლოება-დამეგობრება, არამედ 2015 წლის ოლიმპიური ფესტივალისთვის მებრძოლი, კონკურენტუნარიანი გოგო-ბიჭების მომზადება; თბილისის ღია პირველობაზე იმ შეჯიბრებაში მონაწილეობის პოტენციური კანდიდატები ჩამოვიყვანეთ. საქართველოს დედაქალაქმა ჩვენზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა. მასპინძლებმა ასპარეზობისა და აქტიური დასვენებისთვის ყველა პირობა შეგვიქმნეს. შეჯიბრებაც მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ძალიან მოგვეწონა სტადიონი. განსაკუთრებით კი თქვენმა ახალგაზრდა ათლეტებმა გაგვაოცეს სასიამოვნოდ - ნამდვილად არ ველოდით [illegible] შეჯიბრებას გაისადაც თუ ჩაატარებთ, აუცილებლად გეწვევით. სასარგებლო იქნება საქართველოს ძლიერ ნაკრებთან პაექრობა. ისეთ სპორტსმენებს ჩამოვიყვანთ, რომლებიც ფესტივალზე აუცილებლად მედლებისთვის იბრძოლებენ. არ არის გამორიცხული, თბილისში საწვრთნელი შეკრებების ჩასატარებლადაც ჩამოვიდეთ"...

რაც შეეხებათ ქართველ სპორტსმენებს, კარგი შთაბეჭდილება დატოვა 14 წლის **თეო მაჭარაშვილმა,** რომელიც 5,55 მეტრზე გადახტა, ხოლო მისი თანატოლი **ვიქტორია შიშლოვა** 161 სანტიმეტრზე გადებულ თამასას გადაევლო. კარგი შედეგით კვლავ გამოირჩა **მარი ჩაკაბერია,** რომელიც მეორე სამჭიდში პირველი იყო. 12 წლის ჭიათურელმა **მარი ფხალაძემ** 800 და 1500 მეტრზე გამოიჩინა თავი (ოღონდ მას თბილისის ფესტივალზე ასაკის გამო ასპარეზობა არ მოუწევს). იმის თქმა გვინდა, რომ საქართველოს „სპორტის დედოფალს" ღირსეული ცვლა ეზრდება და ამ ნიჭიერ ახალგაზრდებს მეტი თანადგომა სჭირდებათ.

**კვარცხლბეკი**

**გოგონები**

**I სამჭიდი (60 მ, სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომა).** 1. კრისტინა ზაცმანისი (ლატვია, 5), 2. თეო მაჭარაშვილი (7), 3. ვიქტორია შიშლოვა (ორივე-თბილისი, 9); **II სამჭიდი (60, 100 მ თარჯრბენი, 200 მ).** 1. მარი ჩაკაბერია (ზუგდიდი, 4), 2. ანა პრიეკულე (6), 3. ტერეზე გიპხლე (ორივე-ლატვია, 10); **III სამჭიდი (60 მ, ბირთვის კვრა, შუბის ტყორცნა).** 1. აივა ნიედრა (4), 2. ვიქტორია დელესკა (ორივე-ლატვია, 5), 3. ანა ჩოხელი (საქართველო, 9); **IV სამჭიდი (60, 400 და 800 მ).** 1. პატრისია კაროლინა როშოფა (3), 2. ანჟელა ოცერიტოვა (ორივე-ლატვია, 6), 3. მაკა სანიკიძე (ვანი, 10).

**ბიჭები**

**I სამჭიდი (60 მ, სიმაღლესა და სიგრძეზე ხტომა).** 1. რომან ბადრიძე (თბილისი, 5), 2. ვლადისლავ ოსიპენკო (ლატვია, 5,5), 3. ბესო სოსაძე (თბილისი, 7.5); **II სამჭიდი (60, 110 თარჯრბენი, 200 მ).** 1. დავით ლუკავა (ზუგდიდი, 3), 2. დავის ლაცისი (6), 3. ალექსანდერ კუცსი (ორივე-ლატვია, 9); **III სამჭიდი (60, ბირთვის კვრა, შუბის ტყორცნა).** 1. რობერტს გლაუდა (ლატვია, 4), 2. გიორგი კეთილაძე (ხონი, 5), 3. კრისტიანს მეფანოვსკისი (ლატვია, 9); **IV სამჭიდი (60, 400 და 800 მ).** 1. ილია პეტრუშენკო (ლატვია, 6), 2. ელგუჯა მახნიაშვილი (თბილისი, 6), 3. როჟს პუქსი (ლატვია, 7).

**გუნდური**

1. ლატვია (106,5), 2 საქართველო (133,5).

**გოგონები**

**100 მ** 1. ჟენეტ გოდაბრელიძე (თბილისი, 13,76), 2. ალიონა თათარაშვილი (ფოთი, 13,79), 3. თამარ ბუთიაშვილი (თბილისი, 14,02); **200 მ.** 1. სალომე მენთეშაშვილი (თბილისი, 28,75), 2. ნანო ჭკადუა (ზუგდიდი, 29,29), 3. ალიონა თათარაშვილი (ფოთი, 29,46); **400 მ.** 1. ნანო ჭკადუა (ზუგდიდი, 1.06,55), 2. ანა რამაზაშვილი (თბილისი, 1.10,93), 3. სვეტლანა ტოფჩიანი (ახალციხე, 1.11,43). **800 მ.** 1. მართა ჯვარიძე (ახალციხე, 2.37,94), 2. მარიამ მშვიდობაძე (თბილისი, 2.52,52), 3. მარი შონია (ხობი, 2,53,49); **1500 მ.** 1. მართა ჯვარიძე (ახალციხე, 5.26,76), 2. გვანცა რამიშვილი (ვანი, 5.46,80), 3. ირინა ფხალაძე (ჭიათურა, 5.49,54); **100 მ/თარჯრბენი.** 1. კრისტინა ზაცმანისი (ლატვია, 15,88), 2. ანნა გუგუნიშვილი (თბილისი, 21,04); **400 მ/თარჯრბენი.** 1. ანჟელა ოჩერედოვა (ლატვია, 1.05,54); **სიგრძე.** 1. ქეთი შველიძე (თბილისი, 4,30), 2. ნინი ნიქორიძე (ქუთაისი, 4,08), 3. ელისო დანელია (მარტვილი, 4,01); **სიმაღლე.** 1. მარი მნითური (თბილისი, 153); **სამხტომი.** 1. ნინი ნიქორიძე (ქუთაისი, 9,32), 2. ელისო დანელია (მარტვილი, 9,25), 3. ქეთი შველიძე (თბილისი, 9,10); **ჭოკი.** 1. დიანა ზოლოტუხინა (თბილისი, 210); **ბირთვი.** 1. გვანცა ბოჭორიშვილი (გორი, 8,07), 2. სალომე თურმანიძე (თბილისი, 7,88); **ბადრო.** 1. ნინო წიქვაძე (თბილისი, 38,01), 2. გვანცა ბოჭორიშვილი (გორი, 31,32), 3. სალომე თურმანიძე (თბილისი, 26,86); **ურო.** 1. ნინო წიქვაძე (თბილისი, 42,11)

**ბიჭები**

**100 მ.** 1. გიორგი დობორჯგინიძე (12,47), 2, გიორგი ავთენიძე (13,02), 3. გიორგი ბაციკაძე (სამივე-თბილისი, 13.20); **200 მ.** 1. გიორგი დობორჯგინიძე (თბილისი, 25,82), 2. რუბენ აბესაძე (ქუთაისი, 26,63), 3. ირაკლი ბალდავანიძე (ბორჯომი, 27,49); **400 მ.** 1. გიორგი გიორგაძე (1.00,96), 2. ირაკლი ბალდავანიძე (ორივე-ბორჯომი, 1.02,03), 3. დათო მაისურაძე (თბილისი, 1.02,60); **800 მ.** 1. სოინ გასანოვი (თბილისი, 2.17,04), 2. გიორგი გიორგაძე (ბორჯომი, 2.17,84), 3. ნიკოლოზ გიხნიაშვილი (თბილისი, 2.33,14); **1500 მ.** 1. ნიკოლოზ გიხნიაშვილი (თბილისი, 5.04,08), 2. გივი ბირჩაძე (ახალციხე, 5.06,96), 3. გიორგი გიხნიაშვილი (თბილისი, 5.33,00); **3000 მ.** 1. დავით აბესაძე (თბილისი, 10.19,19), 2. გივი ბირჩაძე (ახალციხე, 10.30,99); **110 მ/ თარჯრბენი.** 1. ვლადისლავ ოსიპენკო (ლატვია, 16,03), 2. მურად მეგენეიშვილი (19,11), 3. ლუკა კურდღელია (ორივე-ქუთაისი, 22,49); **400 მ/ თარჯრბენი.** 1. ილია პეტრუშენკო (ლატვია, 1.04,11), 2. ცოტნე რამიშვილი (1.14,38), 3. გიორგი კაზარიანი (ორივე-თბილისი, 1.20,50); **სიგრძე.** 1. ირაკლი ბერუაშვილი (გორი, 5,15), 2. ვლადიმერ ამირგულიანი (5,12), 3. მიშა ცანავა (ორივე-თბილისი, 4,43); **სიმაღლე.** 1. ზურაბ გაფრინდაშვილი (ჭიათურა, 135); **სამხტომი.** 1. ირაკლი ბერუაშვილი (გორი, 11,70), 2. რიჩარდ კუპატაძე (11,03), 3. დათო ბადრიძე (ორივე-თბილისი, 10,80); **ჭოკი.** 1. ლაშა ქარქუსაშვილი (240), 2. ალექსანდრე მალალდაძე (ორივე-თბილისი, 230); **ბირთვი.** 1. დათო ოჩიგავა (მარტვილი, 11,75), 2. ბადრი ქიმაძე (თბილისი, 11,12), 3. დათო კვანჭიანი (ოზურგეთი, 9,34); **ბადრო.** 1. გიორგი დავითაშვილი (სიღნაღი, 45,53), 2. ბადრი ქიმაძე (საჩხერე 41,47), 3. ლაშა გურგენიძე (თბილისი, 40,05); **შუბი.** 1. ჯაბა ჭოლოკავა (ხონი, 39,95), 2. ბესო ჩხაიძე (ოზურგეთი, 24,40), 3. ლადო ქარდავა (წალენჯიხა, 23,27). **ურო.** 1. გაგა ლომიძე (თბილისი, 34,93).

**ვაჟა დანელია**

ჭადრაკი

# უმედლოდ

გუშინ ბუდვაში (ჩერნოგორია) დამთავრდა 8-18 წლის მოჭადრაკეთა ევროპის პირველობა. ბოლო ტურის წინ ჩვენებურთაგან მედლების მოპოვების შანსს ორი გოგონა და ერთი ვაჟი ინარჩუნებდა. სამწუხაროდ, მათ ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. 18-წლიანებში ანა კუჭავა შავი ფიგურებით ბელარუსის ქალთა ნაკრების წევრ ნასტასია ზიაზიულკინას ეთამაშებოდა. გამარჯვების შემთხვევაში ოქროს მედალს მოიპოვებდა (2010 წლის შემდეგ ასაკობრივებში ევროპის ჩემპიონი არ გვყოლია). ანა დამარცხდა და სამეულს მიღმა აღმოჩნდა. ბოლოსწინა ტურში წაგების მიუხედავად, ბრინჯაოს შანსი რჩებოდა ნატო იმნაძეს, მაგრამ გუშინ იგი შავი ფიგურებით კრისტიანა-ანდრეა ნავრატესკუს (საფრანგეთი) დაუზავდა და მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. ამავე ასაკის ვაჟებში კვარცხლბეკთან ახლოს იყო ირაკლი ბერაძეც, მაგრამ გუშინ იგი თეთრი ფიგურებით დენის კარდიჩს (ბოსნია) დანებდა და მედალსაც დაემშვიდობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ 27 მოჭადრაკე ჩერნოგორიიდან უმედლოდ ბრუნდება, რაზეც სერიოზული დაფიქრება გვმართებს.

აქვე ბოლო ტურში ჩვენებურთა შეხვედრების შედეგებსა და საბოლოო სატურნირო მდგომარეობას:

**8-წლიანები.** მაგდალენა გაი (პოლონეთი)-**ლილე გუმბერიძე** 0:1, მარტინა ვიკარი (პოლონეთი)-**დიანა ლომაია** 1:0, **თამარ თასოშვილი**-დორინა ბრეზნიანი (უნგრეთი) 1:0.

ცხრა ტურის შემდეგ 5,5 ქულით გუმბერიძემ მე-15 ადგილი დაიკავა. 21. თასოშვილი (5), 31. ლომაია (4). ჩემპიონი გახდა ლაურა ჟერნგიკოვკა (პოლონეთი, 7,5).

**დავით სიბაშვილი**-მაქსიმ ცარუკი (ბელარუსი) 0:1, **გიორგი ლომინაძე-ლევან დალბაშვილი** 1:0.

11. სიბაშვილი (6), 36. ლომინაძე (5), 52. დალბაშვილი (4). ჩემპიონი-ელშან სულეიმანლი (აზერბაიჯანი, 8).

**10-წლიანები. თამარ ესაძე**-დარია ჩეკლეცოვა (რუსეთი) 1:0,

7. ესაძე (6,5). ჩემპიონი-ანასტასია გულერი (ისრაელი, 7,5).

**ნიკოლოზ კაჭარავა**-მიესკო მისი (პოლონეთი) 0:1; ბერატ ოზდემირი (თურქეთი)-**ნიკა კევლიშვილი** 1:0. გრიგორიოს ვარდაკასი (საბერძნეთი)-**აკაკი ლაჭავა** 0,5:0,5. 59. კაჭარავა (4,5), 63. კევლიშვილი (4,5). 70. ლაჭავა (4). ჩემპიონი კაგან აუდინჩელები (თურქეთი, 7,5).

**12-წლიანები.** ხანიმ ბალაჯაიევა (აზერბაიჯანი)-**ელენე კოსტავა** 0,5:0,5, **სალომე სანიკიძე**-იოანა კაჩმარსკა (პოლონეთი) 0,5:0,5, **ლილე ქორიძე**-ნადია შპანკო (უკრაინა) 1:0.

8. კოსტავა (6), 24. სანიკიძე (5,5), 37. ქორიძე (5). ჩემპიონი - პოლინა შუვალოვა (რუსეთი, 9).

კშიშტოფ ლუკაშევიჩი (პოლონეთი)-**ნიკოლოზ პეტრიაშვილი** 0:1, არსენს ბატაშევსი (ლატვია)-**ლუკა ობოლაძე** 0:1, **მათე თოდაშვილი**-დარიო ალივოდიჩი (ჩერნოგორია) 1:0.

64. პეტრიაშვილი (4,5), 73. ობოლაძე (4), 105. თოდაშვილი (3). ჩემპიონი - ვიქტორ მატვიშენი (უკრაინა, 7,5).

**14-წლიანები. თეა ჭოლაძე**-სოფია ტოპოლსკოვა (რუსეთი) 1:0, ლენა ჯორჯესკუ (შვეიცარია)-**ნინო ჯალალონია** 0:1.

8. ჭოლაძე (6), 40. ჯალალონია (4,5). ჩემპიონი - გუნაი მამადზადა (აზერბაიჯანი, 7,5).

დენისკან ტემიზკანი (თურქეთი)-**გიორგი თავზარაშვილი** 1:0.

77. თავზარაშვილი (4). ჩემპიონი — იორდენ ვან ფოესტი (ჰოლანდია, 7,5).

**16-წლიანები. მარიამ ჭოლაძე**-დარია როდიონოვა (რუსეთი) 1:0.

8. ჭოლაძე (6). ჩემპიონი - ანა სტიაჟკინა (რუსეთი, 8,5).

**ნიკოლოზ ქუმსიაშვილი**-დავიდ მარტინსი (პორტუგალია) 0,5:0,5, **გიორგი სიბაშვილი**-ემანუელ ვესკე (იტალია) 0,5:0,5.

35. ქუმსიაშვილი (5), 53. სიბაშვილი (4). ჩემპიონი - კირილ ალექსეენკო (რუსეთი, 7,5).

**18-წლიანები.** ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი)-**ანა კუჭავა** 1:0, კრისტინა ანდრეა ნავროტესკუ (საფრანგეთი)-**ნატო იმნაძე** 0,5:0,5, **ანა შამათავა**-მარია ნევიოსელაია (ბელარუსი) 0,5:0,5.

5. იმნაძე (6). 6. კუჭავა (6), 15. შამათავა (5). ჩემპიონი - ნასტასია ზიაზიულკინა (ბელარუსი, 7).

**ირაკლი ბერაძე**-დენის ვადრიჩი (ბოსნია) 0:1. მირან ოგანიანი (რუსეთი)-**ალექსანდრე ებრალიძე** 1:0.

9. ბერაძე (6), 26. ებრალიძე (5), ჩემპიონი - ვლადიმირ ფედოსეევი (რუსეთი, 7.5 ქულა).

**ვაჟა დანელია**

**მილოცვა**

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს საქართველოს საჭიდაო სამყაროს ბრწყინვალე წარმომადგენლებს, ცნობილ ფალავნებს, სსრ კავშირის ჩემპიონებს და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს **თამაზ მაჭავარიანს** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და **ილია ქევხიშვილს** (თავისუფალი ჭიდაობა).

ჩოგბურთი

# ვაჟები წყვილებში უფრო ყოჩაღობენ

ერევანში ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში ოთხი ქართველი ჩაება. მათგან სამი ძირითად ბადეში მოხვდა. იქ კი პირველ წრეში **გიორგი ცივაძემ** იყოჩაღა: რუს ანტონ მანეგინს პირველი ხელი 6:4 მოუგო, მეორე 2:6 დათმო, მესამე სეტს როცა ცივაძე 5:0-ს იგებდა, მეტოქემ ტრავმის გამო შეხვედრის გაგრძელება ვერ შეძლო. მე-2 წრეში ჩვენებური მე-5 ნომრად განთესილ ბენჟამინ ბალერეტს (ჩერნოგორია) შეხვდება. სტარტზევე დამარცხდა **გიორგი ჯავახიშვილი** - ქართველ ჩოგბურთელს სამ სეტში ტურნირის რეიტინგფავორიტმა ბლაუ როლამ (სლოვენია) სძლია - 4:6, 7:5, 6:1, **მიხეილ ხმიადაშვილმა** კი უკრაინელ მარატ დევიატიროვთან წააგო- 5:7, 2:6, სამაგიეროდ, ხმიადაშვილ-ცივაძის დუეტმა წყვილებში აილო რევანში - ჩვენმა ბიჭებმა უკრაინელთა ტანდემი (დენის კლოკი, მაქსიმ რატნიუკი) ჩამოიშორეს გზიდან- 6:3, 6:1. მეოთხედფინალში გავიდა გიორგი ჯავახიშვილიც - ტიმურ სალიევთან (რუსეთი) ერთად სომხებს- ჰრაჩ ხაჩატრიანსა და დავიდ მურადიანს მოუგო- 2:6, 6:2, 10:5. ასევე, მეოთხედფინალშია **დემურ დავითაძეც** - ჩვენიანსა და რუს მაქსიმ დმიტრიევს სტარზე მესამე ნომრად განთესილი ალექსანდრ კრასნორუტსკი და ანტონ მანეგინი (ორივე-რუსეთი) არ გამოუცხადდნენ. მეორე რაუნდში ისინი ხმიადაშვილსა და ცივაძეს დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**

ესპანურ სანტ გუგატში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირი (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი). თბილისელი მარგალიტა ჩახნაშვილი შეჯიბრებაში საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაება. ჩვენებურმა ზედიზედ სძლია ორნელა კარონს (არგენტინა) - 6:4, 6:3, ელეონორა მინდიაროვას (რუსეთი) - 6:1, 6:3 და ძირითად ბადეში გავიდა, სადაც გუშინ ტურნირზე „უაილდ ქარდით" მიწვეულ მასპინძელს ანდრეა ლაზარო გარსიას დაუპირისპირდა.

დაძაბულ პაექრობაში მაკამ აქაც იყოჩაღა და ორ სეტში ჩამოიშორა მეტოქე - 7:6, 7:5. მერვედფინალში იგი ესპანელ არანჩა რუსს შეხვდება. ამ

# მაკას რუსი ელის

უკანასკნელმა ანასტასია რუდაკოვას (რუსეთი) აჯობა - 6:2, 6:3.

■ ■ ■

ანტალიის 10.000-იან ტურნირში მონაწილეობენ **ეკატერინე გორგოძე** (ერთეულებში მე-8 ნომრადაა განთესილი და პირველ წრეში ესტონელ ანელი პოკრასს შეხვდება) და **სოფიო ქვაცაბაია** (კვალიფიკაციიდან აღზევებული ბელარუს ირინა შიმანოვიჩთან გაარკვევს ურთიერთობას). სოფიომ გუშინ წყვილებში იასპარეზა თურქ ესენ კოკჩესთან ერთად და ორ სეტში დამარცხდა მე-4 ნომრად განთესილ მარტინა კუბიჩიკოვას (ჩეხეთი) და ბარბარა სობასკიევიჩის (პოლონეთი) დუეტთან - 4:6, 1:6.

**ვაჟა დანელია**



მარგალიტა ჩახნაშვილი

ხელბურთი

# ეროვნულში რვა გუნდი იასპარეზებს

ხვალ სასპორტო კომპლექს „არენაში" სტარტს აიღებს საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც რვა გუნდი იასპარეზებს. ორგანიზატორებმა ისინი ორ - აღმოსავლეთ (სტუ, იმედი, პეგასი, თელავი) და დასავლეთ (სამტრედია, ბათუმი, ქუთაისი, ჭაბუკთა ნაკრები) ქვეჯგუფში გაანაწილეს. შეჯიბრება დაიწყება საერთო ტურით, რომელშიც ერთმანეთს აღმოსავლეთი და დასავლეთი ქვეჯგუფების გუნდები დაუპირისპირდებიან. პირველი წრის დანარჩენი შეხვედრები ზონების მიხედვით თბილისსა და სენაკში გაიმართება. მედალოსნები გაისად გაზაფხულზე სამწრიანი ტურნირის შემდეგ გამოვლინდებიან.

ჩემპიონატში ცალკე გუნდად მონაწილეობს 1998-99 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრები. ამ ასაკის ბიჭები სპეციალური პროგრამით ემზადებიან ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალისთვის, რომელსაც 2015 წელს თბილისი უმასპინძლებს. ამიტომ უფროსებთან პაექრობაში მიღებული გამოცდილება თანატოლებთან ორთაბრძოლებში გამოადგებათ.

ეროვნული პირველობის სასტარტო შეხვედრები საქართველოს ნაკრების დასაკომპლექტებლადაც არის მნიშვნელოვანი. შეგახსენებთ, რომ ჩვენი გუნდი 30 ოქტომბრიდან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში (საქართველო, ლიტვა, თურქეთი, ფინეთი) ჩაებმება. ევროპული ზონის პლეი ოფში ჯგუფიდან მხოლოდ გამარჯვებული გადის. პირველ მატჩს ქართველი ხელბურთელები სტუმრად ლიტვასთან გამართავენ. მანამდე ბელარუსებთან ორი სპარინგია დაგეგმილი. შესარჩევი ტურნირისთვის ჩვენს ნაკრებს სერბი ჯორჯე რასიჩი წვრთნის.

ახლა კი ეროვნული ჩემპიონატის თბილისური ბატალიების კალენდარს გაგაცნობთ:

**10 ოქტომბერი.** იმედი - ჭაბუკთა ნაკრები, ქუთაისი - თელავი, სტუ - სამტრედია, ბათუმი - პეგასი.

**11 ოქტომბერი.** თელავი - ბათუმი, სამტრედია - იმედი, პეგასი - ქუთაისი, ჭაბუკთა ნაკრები - სტუ.

**12 ოქტომბერი.** პეგასი - ჭაბუკთა ნაკრები, ბათუმი - იმედი, სამტრედია - თელავი, სტუ - ქუთაისი.

**13 ოქტომბერი.** სტუ - ბათუმი, სამტრედია - პეგასი, ქუთაისი - იმედი, ჭაბუკთა ნაკრები - თელავი.

**ვაჟა დანელია**







ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. ქართველი NBA-ში

# ოცდაშვიდი

სამამოფენო მატჩების წინ „მილუოკი ბაქსიმ" ღია ვარჯიში გამართა, რომელიც ამ ტიპის ქართული ვარჯიშებისგან მეტად განსხვავებული იყო. ამერიკაში ღია წვრთნას „ფანფესტი", ანუ ფანების ფესტივალი ჰქვია. დასახელებიდანვე ჩანს, რომ ყველაფერი გულშემატკივრების გართობისთვის კეთდება. ასეთი შეხვედრა ერთგვარი ცდაა კალათბურთელებსა და ქომაგებს შორის კონტაქტის გაღრმავებისა.

მილუოკელები ორ გუნდად გაიყვნენ და საჩვენებელი თამაშიც ჩაატარეს. ამ შეხვედრაში **ზაზა ფაჩულიას** მონაწილეობა არ მიუღია. მოგეხსენებათ, მას ექიმებმა სრული დატვირთვით ვარჯიშის




უფლება ჯერ არ მისცეს. როგორც თავად ქართველი ცენტრი ვარაუდობს, თამაშს ოქტომბრის ბოლოდან შეძლებს.

„ფანფესტზე", მატჩის ერთ-ერთი შესვენებისას კომენტატორმა ფაჩულია მიკროფონთან იხმო და მთავარ მწვრთნელ **ლარი დრიუზე** ჰკითხა.

*- პირველ რიგში მივესალმები „მილუოკის" ფანებს, - დაიწყო ზაზამ, - რომლებსაც დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მომავალ სეზონში. გულშემატკივრის მხარდაჭერის გარეშე რთული იქნება დასახული მიზნის მიღწევა, პლეი ოფში თამაში. მოხარული ვარ, რომ 2005 წლის შემდეგ კიდევ მომიწევს „მილუოკი ბაქსის" ღირსების დაცვა. გუნდში მთავარმა მწვრთნელმა ლარი დრიუმ მიმიწვია, რომელთანაც „ატლანტაში" 8 წელი ვიმუშავე. ძლიერი სპეციალისტია და მისი რომ არ მჯეროდეს, შეთავაზებასაც არ დავთანხმდებოდი.*

ზაზა ფაჩულია „მილუოკიშიც" 27-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. გუნდის პირველ ოფიციალურ მატჩამდე 27 დღით ადრე 29 წლის ქართველმა ცენტრმა მოედნის ცენტრში ფურცელზე დაბეჭდილი რიცხვი 27 გამოიტანა. დავაზუსტებთ და გეტყვით, რომ „ბაქსი" წლევანდელ NBA-ში პირველ მატჩს 30 ოქტომბერს „ნიუ იორკის" წინააღმდეგ ჩაატარებს.

**ვაჟა სიმონიშვილი**




კალათბურთი. ტრანსფერები

# ცივილიზაციის აკვანთან




ორი ქართველი კალათბურთელი უძველესი ცივილიზაციის დაბადების ადგილისკენ გაეშურა. 224 სმ სიმაღლის **სერგო ათუაშვილი** ქუვეითში გააგრძელებს კარიერას, ხოლო **ნიკოლოზ ცქიტიშვილი** - არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

## დუბაიში

საქართველოს ნაკრების ფორვარდი ნიკა ცქიტიშვილი ახალ სეზონშიც აზიაში ითამაშებს. იგი არაბთა გაერთიანებული საამიროების კლუბ „ან ნაჰლ შარიაჰში" ჩაირიცხა. ეს დუბაის გუნდია და ახალ სეზონში მაღალი მიზნებისთვის აპირებს ბრძოლას, ბოლოს საამიროების ჩემპიონი 2004 წელს გახდა.

ნიკა 2011 წლიდან აზიაში გამოდის, ჯერ ირანის „მაჰრამთან" ერთად სპარსეთის ჩემპიონი გახდა, შემდეგ „მაჰანში" დაიწყო და ლიბანურ „ჩამპვილში" განაგრძო. ახალ სეზონში კი, როგორც უკვე ნაიკითხეთ, მისთვის ახალ ქვეყანაში გაერთიანებულ საამიროებში ითამაშებს.

## ქუვეითში

ტანმაღალი ქართველი ცენტრი სერგო ათუაშვილი გასული სეზონის დასაწყისში ირანში გამოდიოდა, ხოლო იანვრიდან სუპერლიგურ „სოხუმში" ჩაირიცხა და გუნდთან ერთად მეოთხედფინალიც ითამაშა.

ახალი სეზონის წინ სერგომ კარიერის უცხოეთში გაგრძელება გადაწყვიტა და ქუვეითის „ალ არაბის" ვარიანტი შეარჩია. იგი შუამდინარეთისკენ 10 ოქტომბერს გაემგზავრება.

**ვაჟა სიმონიშვილი**

## დოსიე



**ნიკოლოზ ცქიტიშვილი**

**დაიბადა:** 14.04.1983
**სიმაღლე:** 216 სმ
**ამპლუა:** ფორვარდი

**საკლუბო კარიერა**

სოხუმის „კოლხა" - 1997-98
თსუ - 1998
„სტუ-ჯეოსელი" - 1999
სლოვენიის „სლოვანი" - 1999-01
იტალიის „ბენეტონი" - 2001-02
„დენვერ ნაგეთსი" (NBA) - 2002-04
„გოლდენ სტეიტი" (NBA) - 2004
„მინესოტა" (NBA) - 2005
„ფინიქს სანსი" (NBA) - 2006
„ნიუ იორკ ნიქსი" (NBA) - 2006
ესპანეთის „კახასოლი" - 2007
იტალიის „ტერამო" - 2007-08
ესპანეთის „ფუენლაბრადა" - 2008-09
საბერძნეთის „პანიონიოსი" - 2009
ესპანეთის „ფუენლაბრადა" - 2009-10
ესპანეთის „ლაგუნ არო" - 2010-11
ირანის „მაჰრამი" - 2011-12
ირანის „მაჰანი" - 2012
ლიბანის „ჩამპვილი" - 2012-13

**მიღწევები**

იტალიის ჩემპიონი - 2002
სლოვენიის ჩემპიონატის ბრინჯაო - 2001
ირანის ჩემპიონი - 2012
დასავლეთ აზიის თასის მფლობელი - 2012

კალათბურთი. დუდუ დადიანის მემორიალი

# შსს მესამეა, ქუთაისი – მეხუთე

**დუდუ დადიანის სახელობის თასზე გუშინ მესამე-მეექვსე პოზიციები გადანაწილდა. III ადგილისთვის მატჩში „შსს აკადემიამ" „ოლიმპი" დაამარცხა, ხოლო V ადგილი „ქუთაისმა" „რუსთავს" აართვა. დარჩა ერთადერთი თამაში - ფინალი, რომელიც დღეს 18 საათზე დაიწყება. ერთმანეთის პირისპირ „არმია" და „სოხუმი" წარდგებიან.**

**8 ოქტომბერი**

**V ადგილისთვის**

თბილისი, აკადემიას დარბაზი

| ქუთაისი–რუსთავი | 103:77 |
| --- | --- |

31:27, 30:16, 25:20, 17:14

**ქუთაისი:** ფაშაევი (10ქ, 5პ), გრძელიძე (17ქ), დიდია (6ქ, 6მ, 3პ), ცეკვავა (8ქ, 6პ), დ. დვალიშვილი (5ქ), მესხი, ცირეკიძე (4ქ, 3პ), დ. ბარბაქაძე (6ქ), ლომინაშვილი (17ქ, 5მ), გ. ბარბაქაძე (17ქ), ა. დვალიშვილი (11ქ), ქორიძე (2ქ).

**რუსთავი:** მაჭავარიანი (11ქ, 3პ), გ. არაბული (3ქ), არწივიძე (2ქ), ხმელიძე (7ქ, 6პ), აბაიშვილი (6ქ, 3პ), ჩაჩანიძე (12ქ), ალხანაიძე (17ქ), ყველაშვილი (2ქ), ჯ. არაბული, გუგავა (13ქ, 3პ), გაგნიძე (4ქ).

როგორც წესი, ფინალის საგზურის დაკარგვის შემდეგ გუნდები თავისუფლად თამაშობენ. ლაღი გამოდგა რეგიონული გუნდების დაპირისპირებაც და შედეგიც სახეზეა - ჯამში 180 ქულა.

აღსანიშნავია ქუთათური ახალგაზრდების ეფექტური გარჯა: **ავთო ლომინაშვილმა** და **ლევან გრძელიძემ** 17-17 ქულა მიითვალეს. ბომბარდირობა კი ოთხ კალათბურთელზე გადანაწილდა - **ირაკლი ალხანაიძემ** და **გიგი ბარბაქაძემაც** 17-17 ჩააგდეს.

**8 ოქტომბერი**

**III ადგილისთვის**

თბილისი, აკადემიას დარბაზი

| შსს აკადემია–ოლიმპი | 88:68 |
| --- | --- |

24:21, 16:13, 24:14, 24:20

**შსს აკადემია:** ქიტოშვილი, ჩიკვილაძე (20ქ, 10მ, 8პ), ბოქოლიშვილი (5ქ, 4პ), ლონდარიძე (25ქ, 10მ), კვანტალიანი (1ქ), მირზიაშვილი (2ქ), ლოლიშვილი, ლომოური (11ქ, 7მ), გელაზონია (8ქ), როგავა (11ქ, 5მ, 4პ), ტომარაძე (5ქ), ლორთქიფანიძე.

**ოლიმპი:** გულისაბედაშვილი (10ქ), ბაქრაძე, მიქელაძე (9ქ, 3პ), თავართქილაძე, გოგოძე (2ქ), ხანიაშვილი (4ქ), თენიეშვილი (7ქ), ათანელიშვილი (11ქ, 5მ), ფხაკაძე, ხიზანიშვილი (12ქ), ლომიძე (2ქ), ფარლალავა (11ქ, 6მ, 3პ).

დისკვალიფიცირებული **რიჩარდ მათიაშვილის** გარეშე „ოლიმპს" „შსს აკადემიას" შეჩერება გაუჭირდა. თავად განსაჯეთ: აკადემიელებმა მოხსნებში 41:26 იმარჯვეს, ხოლო სამწამიანი ზონიდან ჩაგდებულ ქულებში 44:22.

25 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა „აკადემიკოსთა" მეფარე **ილია ლონდარიძე**, ხოლო **ბექა ჩიკვილაძეს** სეზონის პირველ სამმაგ დუბლამდე ორი პასი დააკლდა - 20 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი.

**ვაჟა სიმონიშვილი**



ბექა ჩიკვილაძე

ჭიდაობა. მსოფლიოს ჩემპიონატი

# ვეტერანული მედლები

ბოსნიურ სარაევოში დასრულდა ვეტერან მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელშიც წარმატებით გამოვიდნენ ქართველი მოჭიდავეები.

ჩვენებმა „თავისუფალთა" ტურნირში ერთი ოქრო, ამდენივე ბრინჯაო და ორი ვერცხლი მოიპოვეს, ბერძენ-რომაელთა მონაგარი კი ორი ოქრო და თითო ვერცხლ-ბრინჯაოა. „თავისუფალთაგან" ჩემპიონი **აკაკი კუნჭულია** (63) გახდა, **გივი ქენქაძე** (69) და **ახმედ არაქიძე** (76) მეორეზე გავიდნენ, **ბორის ფიცხელაური** (63) – მესამეზე. ბერძენ-რომაელთა ოქროები **ზურაბ ნიქარიძის** (97) და **თამაზ გოგელიას** (130) დამსახურებაა, ვერცხლი **ესტატე გოგლიჩიძემ** (130) ირგუნა, ბრინჯაო - **ლევან მეკეშიძემ** (69).

აკაკი კუნჭულია 63 კილოგრამში ყველაზე ახალგაზრდებში, A ჯგუფში გამოდიოდა და პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი ამერიკელი **რაიან უვარი** 8:0, ხოლო ბელარუსი **ვადიმ ტოზიკი** 7:0 დაამარცხა. მას ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერც ფინალში გაუწია რუსმა **ბინეგერ ძანკეზოვმა** – ჩვენებურმა ქულებით კვლავაც წმინდად იმარჯვა, 8:1.

ამავე წონით კატეგორიაში, ოღონდ C ასაკობრივ ჯგუფში ასპარეზობდა ფიცხელაური. მან ტურნირი მოგებით დაიწყო - ფრანგ **როჯერ პაპოტოს** 6:4 მოუგო, მაგრამ მერე მომავალ ჩემპიონთან, მოლდოველ **ბორის სავასთან** 0:8 დამარცხდა, შემდეგ კი რუს **მასიჯევ საიდმაგომედთანაც** წააგო – 3:9 და მესამეზე დარჩა.

ქენქაძე D ასაკში სამკაცა ჯგუფში გამოდიოდა. ის რუსთა მომავალ ჩემპიონ **ზაკლი ბიკბულატოვთან** 0:10 დამარცხდა, მეორე რუს **კარიბ აშურალიევს** კი 5:2 მოუგო. ასევე D ასაკში მოასპარეზე არაქიძემ ტურნირზე ოთხი შეხვედრა გამართა და მხოლოდ ფინალური წააგო უკრაინელ **სოსლან ადირხაიევთან** – 0:7. მანამ ჩვენებურმა თურქი **ისმაილ გურლერი** და ფრანგი **იასქუე ფოურესი** ერთნაირი ანგარიშით, 7:0 დაასრულა, ნახევარფინალში კი გერმანელ **მათიას დარნსტედტს** 6:0 აჯობა.

ბერძენ-რომაელებში ორივე ჩემპიონი – ნიქარიძემ და გოგელიაც ყველაზე ახალგაზრდებში, A ჯგუფში გამოდიოდნენ. ნიქარიძეს კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად ოთხი შეხვედრა მოიგო. აქედან ერთში შვედი **ტომას ლარსენი** არ გამოუცხადდა, ორში ქულებით წმინდად, 7:0 იმარჯვა – რუს **სერგეი უსტინოვთან** და ამერიკელ **ოქტავიუს ბელამისთან**, პოლონელ **რაფალ კოზცოვსკის** კი 6:0 სძლია. მძიმე წონის ახალგაზრდებში გოგელიამაც იოლად გაიმარჯვა და იმანაც – ოთხი მოგებით. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ნიქარიძემ სუფთა მოგებები ბოლოს თუ მიითვალა, ამან თავიდანვე ასე დაიწყო ტურნირი – პირველ წრეში მონღოლ **ბაიანმუნკ შურას** 9:2 აჯობა, რასაც თურქ **აჰმეტ დერესთან** 7:0 მიაყოლა. რუს **სერგეი ფონარევს** ჩვენებურმა 4:0 აჯობა, უნგრელ **გიულა პაპს** კი 6:0 მოუგო.

ესტატე გოგლიჩიძე მძიმეწონოსანთა შორის F-ში გამოდიოდა, სადაც სულ ორი მონაწილე იყო. ჩვენებურმა რუს **ალექსანდრ კრასანოვთან** 0:6 წააგო. მეკეშიძემ E ჯგუფში პირველი შეხვედრა წააგო რუსთა მომავალ ფინალისტ **ილგიზ შაიდულინთან**. რადგან ბადის ამ მხარეს სხვა მონაწილე არ იყო, ჩვენებურმა სანუგეშოში უბრძოლველად მოიპოვა ბრინჯაო.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი



ჯვაროსნები-დევები
გიორგი ბარბაქაძის ფოტო

# თიბისიმ ლიდერობა განიმტკიცა

უმაღლესი ლიგის პარალელურად გრძელდება პირველი ლიგის გათამაშებაც, სადაც მეექვსე ტურის მატჩები მიილია და კიდევ უფრო დაიძაბა სატურნირო მდგომარეობა. გათამაშების უდავო ფავორიტი-„თიბისი" თავის უახლოეს მდევარ „დინამოს" დაუპირისპირდა და მეტოქეს წარმატებაზე ფიქრის შანსი არ დაუტოვა -18:3. „თიბისიმ" კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა და 29 ქულით ცხრილის სათავეში იმყოფება.

„ხულიგანას" სეზონის სტარტი არცთუ ისე წარმატებული გამოუვიდა, პატარძეულის „ვეფხვებთან" გასამართ პრინციპულ მატჩში წყდებოდა, იბრძოლებდნენ თუ არა ისინი რეალურად თუნდაც მეორე ადგილისათვის. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „ხულიგანამ" უდიდესი მონდომების და თავდადების ხარჯზე მოახერხა დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვება 30:18 და კვლავ დიდი დოზით დააბრუნა ინტრიგა მეორე ადგილისათვის ბრძოლაში. ახლა „დინამოს" და „ვეფხვებს" 21-21 ქულა აქვთ და მეორე-მესამე ადგილს იყოფენ. თუმცა, იქვეა „ხულიგანა" და „სტუ", რომლებსაც 19-19 ქულა დაუგროვდათ.

„დევები" და ჯვაროსნები" ცხრილში ერთმანეთის მეზობლად იმყოფებოდნენ, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდიდა მათ დაპირისპირებას და თითოეულ მოპოვებულ ქულას ოქროს ფასს მატებდა. შეხვედრა „ჯვაროსნებმა" გაცილებით უფრო აქტიურად დაიწყეს და ზუსტად დარტყმული არეკნის ხარჯზე ანგარიშიც გახსნეს 0:3.

თუმცა, „დევები" დროულად გამოფხიზლდნენ, დაეუფლნენ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას, შედეგად ათიოდე წუთში მეტოქეს ორი საჯარიმო გაუტანეს - 6:3. ტაიმის მინურულს „ჯვაროსნებმა" ჯერ ანგარიში გაათანაბრეს, ხოლო მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე მათმა ცხრა ნომერმა **გიგა შერაზადაშვილმა** მშვენიერი კონტრშეტევა წამოიწყო. მან ჯერ ფეხით ზუსტად შეიცურა ბურთი მეტოქის ზურგში, რომელსაც თვითონვე შეჰყვა, აიტაცა და გადამწყვეტ მომენტში **ოთარ ლვინიაშვილს** გადააწოდა, რომელსაც ალარ გასჭირვებია ბურთის ჩათვლის მოედანში დამიწება. გარდასახვაც ზუსტი გამოდგა - 6:13.

მატჩის მეორე ნახევარში „დევებმა" მეტოქეზე ზეწოლა გაზარდეს, რაც მალევე ლელოდ დაუფასდათ. მორკინალები ხუთი წუთის განმავლობაში აგრესიულად უტევდნენ „ჯვაროსნების" 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან. ისინი უარს ამბობდნენ მოპოვებული საჯარიმოს კარში დარტყმაზე და ჯიუტად ლელოზე გახლდნენ დაგეშილნი.

53-ე წუთზე **მიხეილ ბარაბაძემ** მშვენიერი კონტაქტის ხარჯზე გაიარა მოწინააღმდეგის დაცვის ხაზი და კარის ძელთან ახლოს გაიტანა ლელო, რომელიც **ჯაბა კიზირიამ** გარდასახა და ანგარიშიც გათანაბრდა 13:13. სათამაშოდ ჯერ კიდევ ბევრი დრო რჩებოდა. ორივე გუნდს არაერთხელ მიეცა ანგარიშის სათავისოდ შეცვლის შესაძლებლობა. თუმცა, საბოლოოდ ფრე დაფიქსირდა, რომლითაც გაცილებით უფრო კმაყოფილნი „ჯვაროსნები" დარჩნენ, რომელთაც მოპოვებული ორი ქულის ხარჯზე სატურნირო ცხრილში მეექვსე პოზიციამდე ალზევდნენ.

ტურის დარჩენილ ორ შეხვედრაში ფავორიტებმა იოლად იმარჯვეს. „ივერიამ" „წიქარა" დაამარცხა - 42:3, ხოლო „სტუ-მ" გარდაბნის „მგლებს" სძლია - 43:5.

**აღმოსავლეთი ზონა**

**VI ტური**

დინამო-თიბისი 3:18, ხულიგანა-ვეფხვები 30:18, დევები-ჯვაროსნები 13:13, ივერია-წიქარა 42:3, სტუ-მგლები 43:5;

**სატურნირო მდგომარეობა**

1. თიბისი - 29ქულა, 2. ვეფხვები- 21, დინამო - 21, 4. ხულიგანა - 19 5. სტუ - 19 6. ჯვაროსნები - 12, 7. ივერია - 12, 8. დევები - 11, 9. მგლები - 0 10. წიქარა - 0;

**VII ტური**

ჯვაროსნები-დინამო, სტუ-დევები, წიქარა-მგლები, ვეფხვები-ივერია, თიბისი-ხულიგანა

დასვლეთ ზონაში აღმოსავლეთისგან განსხვავებით გამოკვეთილი ლიდერი ორია, ფოთის „რაინდები" და ქუთაისის „ბაგრატი", რომლებიც ჯერაც დაუმარცხებლად ასპარეზობენ. პლეი ოფის საგზურს, სავარაუდოდ, სორედ ეს გუნდები დაეუფლებიან. მეხუთე ტურში ორივე ლიდერმა შინ ითამაშა, „რაინდებმა დიდიანგარიშით დაამარცხეს ბათუმის „დელფინები" - 51:5, ხოლო „ბაგრატმა" დაძაბულ ბრძოლაში სძლია ოზურგეთის „არწივებს" - 12:0.

სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა და, სავარაუდოდ, შესაძლოა ლიდერების დავაში ჩაერიოს წყალტუბოს „დინოზავრი", რომელმაც სტუმრად დაამარცხა საჩხერის „ჯრუჭი" - 30:8.

**დასავლეთი ზონა**

**V ტური**

ჯრუჭი-დინოზავრი 8:30, რაინდები-დელფინები 51:5, ბაგრატი-არწივები 12:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. რაინდები - 20 ქულა, 2. ბაგრატი - 18, 3. დინოზავრი - 12, 4. არწივები - 11, 5. ჯრუჭი - 5, 6. ბათუმი XV - 4, 7. დელფინები - 1.

**VI ტური**

დელფინები-ბაგრატი, არწივები-ჯრუჭი, დინოზავრი-ბათუმი XV.

სათადარიგო გუნდების შეჯიბრებაში დაუმარცხებელი მხოლოდ ქუთაისის „აია" დარჩა. ქუთათურები დამაჯერებლად ასპარეზობენ და ამტკიცებენ, რომ ამ ქალაქის რაგბის შესანიშნავი მომავალი აქვს. „აიამ" მე-5 ტურში შინ დიდი ანგარიშით დაამარცხა თბილისის „არმაზი" - 52:7.

ქუთაისურ გუნდს კვალში უდგას და კონკურენციას უწევს მხოლოდ ერთი გუნდი, თბილისის „ჯიქები", რომელმაც თავის მხრივ „არმიას" მოუგო დიდი ანგარიშით - 41:7. საგულსიხმოა, რომ სატურნირო ცხრილში მესამე საფეხურზეა აუტსაიდერის, „ბათუმის" სათადარიგო გუნდი, რომელმაც სტუმრად სძლია თბილისის „აკადემიას" - 17:36.

**სათადარიგო გუნდები**

**V ტური**

ყოჩები-ხარები 13:12, აია-არმაზი 52:7, არმია-ჯიქები 7;41, ლელო-ლოკომოტივი 25:34, აკადემია-ბათუმი 17:36.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. აია - 23 ქულა, 2. ჯიქები - 20, 3. ბათუმი - 16, 4. ლელო - 14, 5. არმაზი - 13, 6. ლოკომოტივი - 10, 7. ყოჩები - 9, 8. ხარები - 7, 9. აკადემია - 6, 10. არმია - 0.

**VI ტური**

ჯიქები-ლელო, აია-ყოჩები, ლოკომოტივი-აკადემია, არმაზი-არმია, ბათუმი-ხარები.

**გიორგი ბარბაქაძე**
**ბესიკ ჯანგავაძე**

ისტორია

# საუკეთესო მხტომელები მსოფლიოს რაგბიში

მხტომელი თამაშისას შერკინების მეორე ხაზში იკავებს ადგილს და უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს საკუთარი გუნდის წარმატებაში. მათი გამორჩევა (№4 და №5) გულშემატკივარს არ გაუჭირდება, რადგან ტრადიციულად ისინი ყველაზე ტანმაღალი მოთამაშეები არიან. სწორედ მათ ევალებათ დერეფანში ბურთის მოგება, ხოლო შერკინებისას პირველ ხაზს უდიდეს დახმარებას უწევენ მეტოქეზე მიწოლისას. მეორეხაზელთა მიერ გაწეული სამსახური ძალიან ხშირად შავ სამუშაოდ ფასდება ხოლმე, რადგან ისინი ძირითადად რაქსა და მოლში არიან ჩართულნი და არ ჩანან სალელოვე კომბინაციებისას. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც მხტომელები თითქოს არ ბრწყინავენ მატჩში, თუმცა ვიდეოანალიზის მიერ ყველას ერთხმად ულიარებია მათ მიერ გაწეული უდიდესი სამუშაო. წარმოგიდგენთ საუკეთესო მხტომელებს მსოფლიო რაგბის ისტორიიდან.

### ფრიკ დუ პრი
### (სამხრეთ აფრიკა)

**ფრედერიკ კრისტოფერ ჰენდრიკ დუ პრი** 1935 წელს სამხრეთ აფრიკის ერთ-ერთ ყველაზე განუვითარებელ რეგიონში დაიბადა. მისმა მშობლებმა მალევე დატოვეს აფრიკა და საცხოვრებლად საფრანგეთში გადაბარგდნენ, სადაც გაიზარდა და რაგბის ეზიარა პირველად ახალგაზრდა ფრიკი. საფრანგეთის რაგბის ფედერაციის უდიდესი მონდომების მიუხედავად, დუ პრიმ „ბოკეს" კვართი მოირგო და ლეგენდარული მოთამაშის სახელით შევიდა სამხრეთაფრიკული რაგბის ისტორიაში.

მისი დებიუტი სანაკრებო დონეზე 1961 წელს შედგა „თვიქნემზე" ინგლისელთა წინააღმდეგ და ამ მოვლენის შემდეგ შეუცვლელი ფიგურა გახდა ეროვნული გუნდისათვის. დუ პრი იმ ფენომენთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომელთაც მოედანზე ყველანაირი სამუშაოს კეთება შეუძლიათ: ფრიკი ერთნაირი წარმატებით თამაშობდა მხტომელად და მღლეტავად, შესანიშნავად ურტყამდა კარში არეკნს და საჯარიმო დარტყმებს, გააჩნდა შესანიშნავი „ბურთის გრძნობა" და მუდამ ლელოზე იყო დაგეშილი. მან კარიერის პიკს 1968 წელს მიაღწია, როდესაც „ბრიტანელ ლომებთან" გადამწყვეტ მატჩში შესანიშნავი სლალომი მოაწყო საკუთარი ხუთმეტრიანი ზონიდან. მაღალი სისწრაფის ხარჯზე არაერთი მეტოქე ჩამოიშორა და გადამწყვეტი ლელო დადო.

ფრედერიკი „ბოკეს" 10 წელი ერთგულად ემსახურა და მის შემადგენლობაში 38 კეპი მოიხვეჭა. მადლიერმა სამხრეთაფრიკელმა ხალხმა იგი მეოცე საუკუნის საუკეთესო მორაგბედ აღიარა.

### მარტინ ჯონსონი
### (ინგლისი)

**მარტინ ჯონსონი** 205 სმ სიმაღლის გოლიათი იყო, რომელიც აუარებელ სამუშაოს ასრულებდა სარაგბო მოედანზე. იგი ლიდერად გახლდათ დაბადებული და საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე ამას ყოველ თამაშში ამტკიცებდა. მან „ლესტერ ტაიგერზის" რიგებში ხუთჯერ მოიპოვა ინგლისის ჩემპიონის ტიტული, ხოლო „ჰაინეკენის თასი" ორგზის ალმართა. ინგლისის ნაკრებთან ერთად ჯონსონმა ხუთჯერ გაიმარჯვა ექვსი ერის გათამაშებაში და 2003 წელს ტრიუმფით მოიარა მსოფლიოს თასის გათამაშება.

რაგბის ისტორიაში მარტინი გახდა ერთადერთი მოთამაშე, რომელმაც „ბრიტანელ ლომებს" ორ ტურნირზე უკაპიტნა და რვა გამარჯვება მოიპოვა.

აქტიური მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ „დიდი ჯო" რამდენიმე წელი წარუმატებლად წვრთნიდა ინგლისის ნაკრებს, თუმცა ეს ვერანაირად ვერ მიაყენებს მცირე ჩრდილსაც კი მის დამსახურებას საკუთარი ქვეყნის წინაშე.

### ჯონ ილზი
### (ავსტრალია)

**ჯონ ილზი** ავსტრალიური რაგბის ცოცხალი ლეგენდაა. მას მეტსახელად „მისტერ არავინ" შეარქვეს, რომელიც წარმომდგარია გამონათქვამიდან „არავინაა უნაკლო". დიახ, სწორედ ჯონი გახდათ უნაკლო თავისი სათამაშო სტილიდან გამომდინარე. მან ეროვნული ნაკრების რიგებში 86 კეპი მოიხვეჭა, აქედან 56 შემთხვევაში კაპიტნის სამკლავურით გახლდათ მოედანზე. მისი ხელმძღვანელობით „ვოლაბებმა" ორგზის გაიმარჯვეს მსოფლიოს თასზე 1991 და 1999 წლებში.

სანაკრებო დონეზე ჯონის ანგარიშზე 173 ქულაა, აქედან მხოლოდ 10 ქულაა ლელოებით მოგროვილი, დანარჩენი მისი ფეხბურთინობის შედეგია. ლეგენდარულმა მეორეხაზელმა 99 საჯარიმო და 69 გარდასახვა გაიტანა მეტოქეთა კარის ძელებს შუა და დღემდე რაგბის ისტორიაში არავინ ჩანს მხტომელთა შორის ისეთი, რომელიც თუნდაც მიუახლოვდება დაგროვილი ქულებით ილზის მონაგარს.

### ილია ზედგინიძე

თანამედროვე ქართულ რაგბიში ბევრი კარგი მეორეხაზელი გვყავდა. მათ შორის ყველა პარამეტრით გამორჩეული **ილია ზედგინიძე** გახლდათ. ის 1977 წელს თბილისში დაიბადა და დიდი ხნის განმავლობაში წყალბურთით იყო გატაცებული. რაგბის თამაში მას შემდეგ დაიწყო, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. ის აქ საერთაშორისო სამართალს სწავლობდა.

ილია თავდაპირველად მესამე ხაზში, შემკვრელის პოზიციაზე თამაშობდა (№8). მან საფრანგეთს 1999 წელს მიაშურა და თამაში ფედერალ 1 დივიზიონის „შამბერიში" დაიწყო. მერე კლუბებს ხშირად იცვლიდა. ზედგინიძე სხვადასხვა დროს „ბეზიეს", „ტულონის", „ორლეანის", „ექსის", „ოშის" და „კარკუირანის" ღირსებას იცავდა. 2003-2004 წლების სეზონში კი, იტალიურ „როვიგოში" თამაშობდა **აქვსენტი გიორგაძესთან** და **ბესიკ ხამაშურიძესთან** ერთად.

მისი დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 1998 წელს შედგა ირლანდიასთან მატჩში, რომელიც 1999 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი დაპირისპირება იყო. ილიამ მსოფლიოს თასის სამ გათამაშებაში იასპარეზა (2003, 2007 და 2011 წლებში), აქედან ორში (2003 და 2007 წლებში) „ბორჯღალოსნების" კაპიტანი იყო.

2007 წლის ბოლოს მან მძიმე ტრავმა მიიღო და რაგბიდან წასვლა გადაწყვიტა. თუმცა, ერთწლიანი შესვენების შემდეგ ისევ დაბრუნდა და ეროვნულ გუნდში 2011 წლის მსოფლიოს თასზე კარიერის საუკეთესო თამაში აჩვენა. ილია ზედგინიძემ ეროვნულ გუნდში 64 კეპი მოიხვეჭა და 13 ლელო გაიტანა. ის ამჟამად საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის მილტონ ჰეიგის ასისტენტია.

**გიორგი ბარბაქაძე**
**ბესიკ ჯანგავაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის ოლიმპიადების ისტორია 1924-2010.
II ოლიმპიური თამაშები. 11-19 თებერვალი. 1928. სანქტ მორიტცი (შვეიცარია)

# თითქმის უთოვლო ოლიმპიადა




## სანქტ მორიტცი

ზამთრის კურორტი მდებარეობს შვეიცარიაში, კანტონ გრაუბინდენში ამავე სახელწოდების ტბის სანაპიროზე. მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 6 ათას ადამიანს.

სანქტ მორიტცი ორჯერ იყო ზამთრის ოლიმპიადების მასპინძელი - 1928 და 1948 წლებში. მის გარდა, ორ-ორჯერ "თეთრი" ოლიმპიადის მასპინძლები იყვნენ ინსბრუკი და ლეიკ-პლესიდი.

ეს კურორტი მიიჩნევა ბობსლეის სამშობლოდ. სანქტ მორიტცის ტრასაზე იმართება მსხვილი შეჯიბრებები ბოსბლეიში, ციგაობასა და სკულეტონში. თანაც ტრასა აქ ბუნებრივია და ყოველ ზამთარს, ფაქტობრივად, თავიდან იგება.

წინა თამაშებისგან განსხვავებით, მასპინძელი ქალაქის არჩევა კონკურსის გზით ხდებოდა. 1926 წელს, ლისაბონში სოკ-ის სესიაზე სამ შვეიცარიულ ქალაქს - დავოსს, ენგელბერგსა და სანქტ მორიტცს შორის არჩევანი ამ უკანასკნელზე გააკეთეს.

საინტერესოა, რომ თავდაპირველად, 1928 წლის ოლიმპიადის მასპინძლობაზე პრეტენზიას ჰოლანდიელებიც აცხადებდნენ, მაგრამ მათ მოხსნეს კანდიდატურა, რადგან დარწმუნებული არ იყვნენ, რომ თებერვალში კლიმატი თამაშების ღირსეულად ჩატარების საშუალებას მისცემდა. შვეიცარიელები კი პირიქით, დარწმუნებული იყვნენ ამაში, მაგრამ სულ ტყუილად. თამაშების დღეებში მთებში ერთი კვირის ნალექის ნორმა მოვიდა, მაგრამ შემდეგ ტემპერატურა 20 გრადუსამდე ავიდა და სპორტსმენები, ფაქტობრივად გუბეებში იძირებოდნენ.

## მონაწილე ქვეყნები და სპორტის სახეობები

1928 წლის თამაშებში მონაწილეობა მიიღო 464-მა სპორტსმენმა (26 ქალი) 25 ქვეყნიდან. დებიუტანტებს შორის აღმოჩნდნენ გერმანია, ჰოლანდია, რუმინეთი, ლიტვა, ესტონეთი, იაპონია, არგენტინა და მექსიკა.

თამაშების პროგრამაში შეიტანეს სათხილამურო სპორტი, ტრამპლინიდან ხტომა, ორჭიდი, ბობსლეი, სკელეტონი, ციგურებით სირბილი, ფიგურული სრიალი და ჰოკეი.

დატოვა თამაშები ქიორლინგმა, რომელიც წინა თამაშებზე სადემონსტრაციო სახეობებში გადიოდა. სადემონსტრაციოდან ძირითად სახეობებში გადაიყვანეს სამხედრო პატრულების რბოლა (ბიატლონის წინამორბედი). დებიუტი ჰქონდა სკელეტონს.

## გახსნის ცერემონია

გახსნის საზეიმო ცერემონია გაიმართა 11 თებერვალს, "ბადრუტც პარკის" საციგურაო მოედანზე. ღამით ძალიან მოთოვა, ამიტომაც ორგანიზატორებს ცერემონიის ნახევარი საათით გადატანამ მოუწიათ მოედნის თოვლისგან გასაწმენდად. ცერემონია სოკ-ის წევრებისა და შვეიცარიის მაღალჩინოსნების მობრძანებით დაიწყო.

ამის შემდეგ სტარტი აიღო სპორტსმენების აღლუმმა. საინტერესო მომენტი - ბევრი სპორტსმენი სპორტულ ფორმაში გამოწყობილი, ინვენტარით აღჭურვილი მიაბიჯებდა. მოთხილამურეებს თხილამურები მიჰქონდათ, ჰოკეისტები მთლიანად იყვნენ ეკიპირებულნი, რადგან პირველი მატჩები გახსნის ცერემონიის დასრულებისთანავე ჩატარდა.

შვეიცარიის კონფედერაციის პრეზიდენტი **ედმუნდ შულტსი** დამსწრეებს სიტყვით მიესალმა და ზამთრის II ოლიმპიური თამაშები გახსნილად გამოაცხადა. ამის შემდეგ, სტადიონზე აღმართეს ოლიმპიური მოძრაობის დროშა, შვეიცარიელმა ორჭიდელმა **ჰანს აიდენბენცმა** კი ყველა სპორტსმენის სახელით ოლიმპიური ფიცი დადო.

## სტარტები სკანდალების თანხლებით

მოციგურავეებს შორის 10 ათას მეტრზე გარბენის წინ, ცხელმა მზემ სარბენი ბილიკები გაათბო და ყინულმა დნობა დაიწყო, მაგრამ ორგანიზატორებმა შეჯიბრების გაუქმებაზე უარი თქვეს. ტურნირი გახსნეს ამერიკელმა **ირვინგ ჯეფრიმ** და ნორვეგიელმა **ბერნტ ევენსენმა**. ყინული დნობას აგრძელებდა და ყოველი გარბენის შემდეგ შედეგები უარესდებოდა. მეხუთე წყვილმა დისტანცია საერთოდ ვერ დაასრულა და საბოლოოდ, მოედანი საცურაო აუზს დაემსგავსა. შეჯიბრება დასრულებულად გამოცხადდა და ორგანიზატორებმა მედლები იმათ შორის გადაანაწილეს, ვინც გამოსვლა მოასწრო. საუკეთესო შედეგები პირველ წყვილს ჰქონდა - ოქრო მისცეს ირვინგ ჯეფრის, ვერცხლი - ბერნტ ევენსენს. ფინელებმა და ნორვეგიელებმა პროტესტი შეიტანეს, რადგან ბევრმა ათლეტმა, მათ შორის, ერთ-ერთმა ფავორიტმა, ნორვეგიელმა **ივარ ბალანგრუდმა** სტარტზე გასვლა ვერ მოასწრო. გადაწყდა ტურნირის გაუქმება და ამ სახეობაში მედლები არ გათამაშებულა. მაგრამ აშშ-ის დელეგაციამ ჯეფრისთვის მედლის დაბრუნება მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანქტ მორიტცის დატოვებით დაიმუქრა. საორგანიზაციო კომიტეტმა კომპრომისის მიღწევა სცადა და განმეორებითი სტარტის ჩატარება გადაწყვიტა, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნებოდა. მაგრამ ეს გადაწყვეტილება სრული სიურპრიზი აღმოჩნდა ნორვეგიელი მოციგურავეებისთვის, რომლებმაც უკვე დატოვეს შვეიცარია, რადგან არ ჰქონდათ განმეორებითი სტარტის იმედი. თუმცა კლიმატმა ხელმეორე სტარტის ჩატარების საშუალება არ მისცა. ამ დისციპლინაში მედლები ოფიციალურად გაუთამაშებელი დარჩა.

500 მეტრზე სირბილშიც ბევრი სიურპრიზი იყო. იმ დროს, შედეგები მხოლოდ წამის მეათედებში ფიქსირდებოდა, ამიტომაც გამოავლინეს ორი გამარჯვებული და ბრინჯაოს მედლის ოთხი (!) მფლობელი. ორგანიზატორები არ ელოდნენ მოვლენათა ამგვარ განვითარებას, ამიტომაც მედლები გაუთამაშებელი დისციპლინებიდან "ისესხეს", შემდეგ კი სწრაფად დაამზადეს დამატებითი მედლები.

■ ■ ■

სათხილამურო სპორტსა და ციგურებით სირბილში წინა ოლიმპიადასთან შედარებით მეტოქეობა უფრო მძაფრი გახდა, მაგრამ შედეგი დაახლოებით იგივე იყო, რაც 1924 წელს. ნორვეგიელმა მოთხილამურეებმა ოთხიდან მხოლოდ ერთი ოქრო დათმეს. შამონიში ხუთი მედლის (მათ შორის სამი ოქრო) მფლობელი **კლას ტუნბერგი** სანქტ მორიცში ორგზის ჩემპიონი გახდა 500 და 1500 მეტრ დისტანციებზე ციგურებით სირბილში. სპორტის ამ სახეობაში მედლების სრული კომპლექტი მიიღო ბერნტ ევენსენმა. შამონიში სამივე სინჯის მედლის მფლობელმა, ფინელმა **იულიას სკუტნაბმა** ვერცხლი მოიგო 5000 მეტრზე, ხოლო ციგურებით სირბილში ნორვეგიული სპორტის ამომავალი ვარსკვლავი **ივარ ბაალანგრუდი** 5000 მეტრზე ჩემპიონი გახდა და მესამე იყო 1500 მეტრზე. მისი თანამემამულე, მოთხილამურე **იოჰან გროტუმსბროტენი** ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, როცა მოიგო 18 კილომეტრზე რბოლა და სათხილამურო ორჭიდი. ამ უდიდესმა სპორტსმენმა ორჭიდელთა შეჯიბრება ოთხი წლის შემდეგ, ლეიკ-პლესიდშიც მოიგო.

თბილმა ამინდმა მხოლოდ მოციგურავეებს არ შეუშალა ხელი. ასე, მაგალითად, სათხილამურო რბოლაში 50 კილომეტრზე გარბენი ნულოვან ტემპერატურაზე იწყებოდა, რბოლის ბოლოს კი ტემპერატურა 25 გრადუსამდე გათბა და ბევრმა დისტანციის დასრულება ვერ მოახერხა. ამავე მიზეზით, ბობსლეიში ოთხის ნაცვლად ორი ცდა შესრულდა.

შვედმა მოციგურავემ ზედიზედ მესამე თამაშებზე მოიგო ოქრო ფიგურულ სრიალში მამაკაცებს შორის. სპორტულ წყვილებში პირველ ოლიმპიურ გამარჯვებას მიაღწიეს ფრანგებმა - **ანდრე და პიერ ბრიუნეებმა**. ოლიმპიადამდე ერთი წლით ადრე, ფიგურული სრიალის მსოფლიო ვარსკვლავმა **სონია ჰენიმ** მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა ქალებს შორის, სანქტ მორიტცში კი თავისი პირველი ოლიმპიადა მოიგო, შემდეგ კიდევ ორჯერ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი (1932 და 1936 წლებში), მსოფლიოს ჩემპიონატებზე კი 1936 წლამდე იმარჯვებდა.

## ჰოკეის ტურნირი

ტრადიციულად, ყველაზე ძლიერები კანადელები იყვნენ - მათ მეტოქეებს არც ერთი შაიბის გატანის საშუალება არ მისცეს და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. იმის გამო, რომ იმ წლებში კანადის უპირატესობა კონკურენტებზე უდიდესი იყო, ისინი ოლიმპიადაზე ყოველთვის ახალ გუნდს გზავნიდნენ, თანაც ესენი იყვნენ კლუბები. ასე რომ, ყველა კანადელი ჰოკეისტი თითოჯერ იყო ოლიმპიური ჩემპიონი.

თუმცა ეს გამარჯვება კანადამ აშშ-ის არყოფნაში მოიპოვა. როცა ჩემპიონები შინ დაბრუნდნენ, ამერიკელებმა მათ ამხანაგური მატჩის ჩატარება შესთავაზეს. ადრე მსგავს შეხვედრებში კანადელები იმარჯვებდნენ, მაგრამ, ამჯერად, აშშ-ის ნაკრები უფრო ძლიერი აღმოჩნდა - 1:0. ეს იყო კანადელთა პირველი წაგება საერთაშორისო არენაზე.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**


გახსნის ცერემონია


კანადის ჰოკეისტთა ნაკრები

### ბობსლეი

**ხუთადგილიანი, მამაკაცები.** 1. აშშ II (კლიფორდ გრეი, ჯეფრი მეისონი, რიჩარდ პარკი, ნოინ ტაკერი, უილიამ ფისკი); 2. აშშ I (დევიდ გრეინჯერი, ტომას დოი, ჯეი ო'ბრაიენი, ლიმან ნინი, ჯენისონ ჰიტონი); 3. გერმანია II (ჰანს კილიანი, ვალენტინ კრემპლი, ჰანს ნეგლი, ჰანს ჰესი, სებასტიან ჰუბერი)...

### ციგურებით სირბილი

**500 მ. მამაკაცები.** 1. კლას ტუნბერგი (ფინეთი); 1. ბერნტ ევენსენი (ნორვეგია); 3. როალდ ლარსენი (ნორვეგია); 3. ჯონ ფერელი (აშშ); 3. იაკო ფრიმანი (ფინეთი)...

**1 500 მ. მამაკაცები.** 1. კლას ტუნბერგი (ფინეთი); 2 ბერნტ ევენსენი (ნორვეგია); 3. ივარ ბალანგრუდი (ნორვეგია)...

**5 000 მ. მამაკაცები.** 1. კლას ტუნბერგი (ფინეთი); 2. იულიუს სკუტნაბი (ფინეთი); 3. ბერნტ ევენსენი (ნორვეგია)...

### სათხილამურო ორჭიდი

**ინდივიდუალური. მამაკაცები.** 1. იოჰან გროტუმსბროტენი (ნორვეგია); 2. ჰანს ვინიარენსენი (ნორვეგია); 3. იონ სნერსრუდი (ნორვეგია)...

### თხილამურებით სირბილი

**18 კმ. მამაკაცები.** 1. იოჰან გროტუმსბროტენი (ნორვეგია); 2. ოლე ჰეგე (ნორვეგია); 3. რაიდერ ედეგარდი (ნორვეგია)...

**50 კმ. მამაკაცები.** 1. პერ ერიკ ჰედლუნდი (შვედეთი); 2. გუსტავ იონსონი (შვედეთი); 3. ვოლგერ ანდერსონი (შვედეთი)...

### ტრამპლინიდან ხტომა

**K90 ინდივიდუალური (70 მ). მამაკაცები.** 1. ალფ ანდერსენი (ნორვეგია); 2. სიგმუნდ რუუდი (ნორვეგია); 3. რუდოლფ ბურკერტი (ჩეხოსლოვაკია)...

### სკელეტონი

**კაცები.** 1. ჯენისონ ჰიტონი (აშშ). 2. ჯონ ჰიტონი (აშშ). 3. დევიდ ნორტექსი (ბრიტანეთი)...

### ფიგურული სრიალი

**მამაკაცები.** 1. გილის გრაფსტრიომი (შვედეთი); 2. ვილი ბიოკლი (ავსტრია); 3. რობერტ ვან ზეებრიოკი (ბელგია)...

**ქალები.** 1. სონია ჰენი (ნორვეგია); 2. ფრიტც ბიურგერი (ავსტრია); 3. ბეატრის ლოგრანი (აშშ)...

**სპორტული წყვილები.** 1. ანდრე ბრიუნე/პიერ ბრიუნე (საფრანგეთი); 2. ოტო კაიზერი/ლილი შოლცი (ავსტრია); 3. მელიტა ბრუნერი/ლუდვიგ ვრიდი (ავსტრია)...

### ჰოკეი

**მამაკაცები.** 1. კანადა (ჩარლზ დელაჰეი, ნორბერტ მიულერი, როჯერს პლექსონი, ჰერბერტ პლექსონი, ჰიუგ პლექსტონი, ჯონ პორტერი, ჯოზეფ სალივანი, ფრანკ სალივანი, დევიდ ტროტერი, როს ტეილორი, ფრანლინ ფიშერი, ჰენრი ჰადსონი); 2. შვედეთი (კარლ აბრაჰამსონი, ემილ ბერგმანი, ერნსტ კარლბერგი, ერიკ ლარსონი, ბერტილ ლინდე, ზიგფრიდ ობერგი, ვილჰელმ პეტერსენი, კურტ სუკსდორფი, ბირგერ ჰოლმკვისტი, გუსტან იოჰანსონი, ნლს იოჰანსონი, ჰენრი იოჰანსონი); 3. შვეიცარია (ჯინინ ანდრეოსი, მეცი ანდრეოსი, რობერტ ბრაიტერი, ალბერტ გერომინი, ლუი დუფური, ფრიტც კრაატცი, არნოლდ მარტინიოლი, ჰაინი მენგი, ანტონ მოროსანი, ლუციუს რიუდი, რიჩარდ ტორიანი, ჩარლზ ფაზელი)...

### ყველა მედალი

| | ო | ვ | ბ | ს |
|---|---|---|---|---|
| 1. ნორვეგია | 6 | 4 | 5 | 15 |
| 2. აშშ | 2 | 2 | 2 | 6 |
| 3. შვედეთი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 4. ფინეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 5. კანადა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 5. საფრანგეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 7. ავსტრია | 0 | 3 | 1 | 4 |
| 8. ბელგია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 8. ბრიტანეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 8. გერმანია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 8. შვეიცარია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 8. ჩეხოსლოვაკია | 0 | 0 | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის სამი ვარსკვლავი

ახალი რეგულარული ჩემპიონატის პირველი ლაურეატი გახდა „ვაშინგტონ კეპიტალზის" რუსი ვარსკვლავი **ალექსანდრ ოვეჩკინი** - ის გასული კვირის პირველი ვარსკვლავია.

ოვეჩკინი განვლილ შვიდ დღეში ლიგის ლიდერი იყო გოლების (4), ქულების (6), რიცხობრივ უპირატესობაში გოლებისა (3) და რიცხობრივ უპირატესობაში ქულების (5) რაოდენობით. გარდა ამისა, მან ყველაზე მეტი დარტყმა შეასრულა (24).

რუს ფორვარდს კარიერაში 604 მატჩი აქვს ჩატარებული და 741 ქულა (375 გოლი+366 პასი) დაგროვებული.

მეორე ვარსკვლავი გახდა „მონრეალ კანადიენსის" ფორვარდი **ლარს ელერი**. მისმა გუნდმა საწყის ორ მატჩში შვიდი გოლი გაიტანა და ელერმა ხუთში მიიღო მონაწილეობა. ის მეორეა ლიგაში გოლებისა (3) და ქულების (5) მაჩვენებლით. ლარს ელერი დანიელია, NHL-ში 211 მატჩი ჩაატარა და 82 ქულა (36+46) და 165 საჯარიმო წუთი დააგროვა.

კვირის მესამე ვარსკვლავი მეკარეა - „პიტსბურგ პინგვინზის" კარის დარაჯი **მარკ-ანდრე ფლერი**. მან თავის გუნდს ორიდან ორი მატჩი მოაგებინა, საშუალოდ 0.5 გოლი გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 97.9 პროცენტი მოიგერია. „ნიუ ჯერსისთან" რეგულარულის პირველ მატჩში ფლერიმ სეზონში პირველი და კარიერაში 24-ე შათაუტი შეასრულა.

ფლერის ამჟამად 251 მოგება აქვს კარიერაში და ყველა დროის სიაში 45-ე ადგილს იყოფს „კოლორადოს" მეკარე **ჟან-სებასტიან ჟიგერთან**.

**ედმონტონი-ნიუ ჯერსი 5:4 (ბ)**

0:2, 0:1, 4:1, 0:0

**გოლები:** 0:1 იაგრი-1 (ჟიდლიცკი-2), 0:2 ბრუნერი-3 (ზეიჯაკი-1, ენრიკე-1), 0:3 რაიდერი-2, 1:3 ნიუჯენტ-ჰოპკინსი-1 (პერონი-2, გორდონი-1), 2:3 ფერენსი-1 (შულცი-2, ებერლე-2), 3:3 პერონი-1 (არკობელო-2), 4:3 ტ. ჰოლი-1 (ჰემსკი-3), 4:4 ელიაში-1 (ბრუნერი-1, ჟიდლიცკი-3).

**ბულიტები გაიტანეს:** ებერლე (ედმონტონი), პერონი (ედმონტონი).

**ლოს ანჯელესი-რეინჯერსი 1:3**

0:1, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 ბ. რიჩარდსი-1 (ნეში-2, სტეპანი-2), 0:2 ბ. რიჩარდსი-2 (ნეში-3), 1:2 მუზინი-1 (მ. რიჩარდსი-1), 1:3 მაკდონაჰი-1 (ბ. ბოილი-1).



ალექსანდრ ოვეჩკინი

## ველოსპორტი

# ჯირო ირლანდიაში დაიწყება

იტალიური ველომარათონის ჯირო დ'იტალიას ორგანიზატორებმა წარმოადგინეს 2014 წლის რბოლის მარშრუტი. გაისად ჯირო 9 მაისს დაიწყება და პირველ ივნისს დასრულდება.

მთავარი სიახლე ის არის, რომ პირველად ამ ველომარათონის ისტორიაში, სტარტი ირლანდიის ტერიტორიაზე შედგება, კერძოდ, ჩატარდება სამი ეტაპი დუბლინსა და ბელფასტში. პირველი ეტაპი იქნება დროზე გუნდური რბოლა (21.7 კმ). გარდა ამისა, 2014 წლის ჯიროზე გაიმართება დროზე განცალკევებითი ინდივიდუალური ორი რბოლა: მე-12 (46.4 კმ) და მე-19 ეტაპებზე (26.8 კმ, სამთო).

ველომარათონის მარშრუტში შესულია ხუთი სამთო ეტაპი. სამი მწვერვალი მიეძღვნება ლეგენდარული იტალიელი ველომრბოლის **მარკო პანტანის** ხსოვნას: მონტე კარპენია (მე-8 ეტაპი), ოროპა (მე-14) და მონტეკამპიონე (მე-15).

ყველაზე მოკლე იქნება მე-16 ეტაპი (139 კმ), მაგრამ ის მოიცავს სამ მწვერვალს, მათ შორის, სტელვიო (2758 მ) და გავია. ბოლოსწინა, მე-20 ეტაპზე (167 კმ) მარშრუტში შეტანილია ლეგენდარული მწვერვალი ძონკოლანი.

ეტაპების საშუალო სიგრძე შეადგენს 183 კილომეტრს. 2014 წლის ჯიროზე გათვალისწინებულია სამი დღე დასვენება – 12, 19 და 26 მაისი.

## ამბები

**ველოსპორტი**

### ფრუმმა სეზონი დაასრულა

ველოსაჯინიბო Vacansoleil-ის ესპანელმა წევრმა **ხუან ანტონიო ფლეჩამ** პეკინის ტურის შემდეგ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. ეს ველორბოლა 11-15 ოქტომბერს გაიმართება.

35 წლის სპორტსმენმა კარიერა 2000 წელს დაიწყო. მას მოგებული აქვს ტურ დე ფრანსის ერთი ეტაპი, არაერთხელ იყო პრიზიორი და ასევე ტოპ-ათეულში შედიოდა კლასიკურ რბოლაში "პარიზი-რუბე".

*"ახლა შემიძლია ვთქვა, რომ პეკინის ტურის შემდეგ დავასრულებ კარიერას. შემდეგ გავემგზავრები ჰავაიზე და ასფალტს ზღვის ქაფითა და ტალღებით შევცვლი, ველოსიპედს – სერფინგის დაფით"*, - ამბობს ფლეჩა.

ამასობაში, ტურ დე ფრანსის წლევანდელმა ტრიუმფატორმა, "თიმ სქაის" წევრმა **კრისტოფერ ფრუმმა** ზურგის ტრავმის გამო სეზონისნაადრევად დასრულება გადაწყვიტა. ბრიტანელმა განაცხადი გამოიტანა პეკინის ტურიდან, რომელიც 11 ოქტომბერს აიღებს სტარტს.

### ლენსს ტვიტერმა ვერ უშველა

„ტვიტერის" სოციალურ ქსელში საკუთარი გვერდის გახსნა ვერ დაეხმარა **ლენს არმსტრონგს** საზოგადოების წინაშე რეაბილიტაციაში მას შემდეგ, რაც დოპინგის მიღება აღიარა.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ამერიკელი მეცნიერები, რომელთა კვლევა გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალ Communication & Sport-ში.

კვლევის დროს, მეცნიერებმა გააანალიზეს 859 „ტვიტი", აგრეთვე მათთვის დართული კომენტარები და დაადგინეს, რომ არმსტრონგმა მიიზიდა ახალი მკითხველები, მაგრამ ვერ შეაცვლევინა მათ აზრი მისი ცნობილი აღიარების შესახებ.

კერძოდ, რესპონდენტთა 90 პროცენტს არ სჯერა, რომ სპორტსმენი ნანობს დოპინგის გამოყენებას, 60 პროცენტი კი კვლავაც ეჭვის თვალით უყურებს ყოფილ ამერიკელ ველომრბოლს.

**ჭადრაკი**

### კასპაროვი და ილუმჟინოვი იბრძოლებენ

მსოფლიოს 13-გზის ჩემპიონმა **გარი კასპაროვმა** საკუთარი კანდიდატურა წამოაყენა ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე. ამ პოსტზე ბრძოლაში მისი კონკურენტი იქნება ამჟამინდელი პრეზიდენტი **კირსან ილუმჟინოვი**, რომელიც 1995 წლიდან ხელმძღვანელობს FIDE-ს.

არჩევნები 2014 წლის აგვისტოში, ნორვეგიის ქალაქ ტრომსიოში საჭადრაკო ოლიმპიადის დროს გაიმართება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## კალათბურთი. NBA საკონტროლო მატჩები

**ბოსტონი-ტორონტო 89:97**

27:28, 21:25, 25:22, 16:22

ბ: ულასი (16), სალინჯერი (14+6 მოხსნა), ბრედლი (12+3 ჩაჭრა), პემფრიზი (11).

ტ: პენსბრო (17+9 მოხსნა), გეი (17), დეროზანი (13), როსი (12+4 ჩაჭრა), ვალანჩუნასი (10+10 მოხსნა).

**მაიამი-ატლანტა 92:87**

25:16, 24:14, 23:26, 20:31

მ: ბოში (21+5 მოხსნა), მეისონი (14+6 მოხსნა), ლუისი (11).

ა: სკოტი (13+6 მოხსნა), მილსეპი (12), პორტერფილდი (10+9 მოხსნა), კეროლი (10+3 ჩაჭრა).

**ჩიკაგო-მემფისი 106:87**

20:28, 24:17, 37:22, 25:20

ჩ: ბუზერი (16), ჰაინრიხი (15), გიბსონი (15+6 მოხსნა), დენგი (13), როუზი (13+3 ჩაჭრა).

მ: ბეილესი (15), დევისი (13+5 მოხსნა).

**მინესოტა-ცსკა 106:108 (ო)**

17:25, 33:28, 19:24, 27:19, 10:12

მ: უილიამსი (21+9 მოხსნა), მარტინი (16), პრაისი (14), რუბიო (10), ლავი (9+7 მოხსნა+5 პასი).

ც: ტეოდოშიჩი (26+9 პასი+5 მოხსნა), ფრიძონი (13+5 მოხსნა), კრსტიჩი (13+7 მოხსნა), კაუნი (12+9 მოხსნა+3 დაფარება), ხრიაპა (11+8 მოხსნა+6 პასი), პარგო (11+6 პასი), მიკოვი (10+5 მოხსნა).

**დალასი-ნ. ორლეანი 92:94**

20:21, 22:18, 25:23, 25:32

დ: რაიტი (14), ელისი (13+7 პასი), კრაუდერი (10).

ნ-ო: დევისი (25+7 მოხსნა), რობერტსი (17), ჰოლიდეი (13+6 პასი), ანდერსონი (12+6 მოხსნა), მოროუ (11).

**ფინიქსი-მაკაბი (ა) 130:89**

32:16, 37:31, 30:19, 31:23

ფ: ბლედსოუ (22+5 ჩაჭრა), დრაგიჩი (16+5 პასი), გუდვინი (13), მარკუს მორისი (10), მარკიფ მორისი (10), კრავცოვი (10).

მ: ივზური (14), სმიტი (13+8 მოხსნა), რენდლი (12), როტი (12), კუბილანი (11).

**პორტლენდი-კლიპერსი 81:89**

16:20, 26:35, 22:20, 17:14

პ: ბატუმი (12), ლილარდი (11+6 პასი), ლეონარდი (10+6 მოხსნა), ლოპესი (8+10 მოხსნა).

კ: ჯორდანი (16+8 მოხსნა+4 დაფარება), პოლი (15+8 მოხსნა+5 პასი), გრიფინი (14), გრინი (14).

**გ. სტეიტი-საკრამენტო 94:81**

21:26, 18:18, 23:18, 32:19

გ-ს: კარი (23+6 პასი), ტომპსონი (17), ლი (14+13 მოხსნა).

ს: ტომასი (15+6 მოხსნა), მაკლემორი (13), ტორნტონი (11).

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| ხორვატია-ჩერნოგორია | 1:0 |
| პორტუგალია-ბოსნია | 2:0 |
| **ევრო 2014** | |
| **UNDER 17** | |
| იტალია-ისრაელი | 0:2 |
| დანია-ლიხტენშტაინი | 2:0 |
| **ინგლისი** | |
| **JP Trophy** | |
| ძროული-ნიუპორტი | 2:3 |
| ლეიტონი-ძოვენთრი | 0:0 პენ. 4:2 |
| პიტერბრო-ბრენტფორდი | 2:1 |
| პორტ ვეილი-როჩდეილი | 0:1 |
| ფლიტვუდი-ძრიუ | 4:0 |
| მენსფილდი-ჩესტერფილდი | 0:1 |
| მორეკამბი-კარლაილი | 0:0 პენ. 3:4 |
| ოქსფორდი-პორტსმუთი | 1:2 |
| პრესტონი-ოლდჰემი | 0:2 |
| შეფილდი-ჰარტლპული | 0:1 |
| საუთენდი-დაგენჰემი | 2:5 |
| სტევენეიჯი-მილტონი | 2:1 |
| სუინდონი-პლიმუტი | 2:1 |
| ვულვზი-ნოტსი | 0:0 პენ. 1:3 |
| უიკომბი-ბრისტოლი | 2:1 |
| იორკი-როტერჰემი | 0:3 |
| **კონფერენსი** | |
| ალდერშოტი-ლუტონი | 3:3 |
| ალფრეტონი-ჩესტერი | 0:1 |
| ბრენტრი-უელინგი | 2:3 |
| დარტფორდი-სალისბერი | 1:1 |
| გრიმსბი-კემბრიჯი | 0:1 |
| ჰალიფაქსი-ნანიტონი | 2:2 |
| ჰაიდი-გეიტშიდი | 0:2 |
| კიდერმინსტერი-ფორესტ გრინი | 4:1 |
| ლინკოლნი-ტამუორტი | 0:0 |
| მაკლსფილდი-ჰერეფორდი | 1:0 |
| უოკინგი-ბარნეტი | 0:0 |
| რექსჰემი-საუთპორტი | 1:0 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ბაიერნი)** | |
| ბამბერგი-მემინგენი | 1:4 |
| **რეგიონალლიგა (დას)** | |
| იურდინგენი-ვიქტორია | 1:1 |
| **პორტუგალია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ბეირა მარი-ავეში | 1:1 |
| **ჩრ. ირლანდიის თასი** | |
| ბალიმენა-ბალინამალარდი | 3:0 |
| ბანგორი-ლურგანი | [illegible] |
| კლიფტონვილი-დუნდელა | 5:0 |
| კრუზეიდერსი-კოლრეინი | 1:1 დ.დ. 4:1 |
| დუნგანონი-არდსი | 1:1 პენ. 3:4 |
| გლენავონი-ინსტიტუტი | 4:1 |
| გლენტორანი-ლინფილდი | 0:0 პენ. 2:4 |
| პორტდაუნი-ლისბურნი | 6:0 |
| **უნგრეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| მტკ-ვარდა | 0:0 |
| აიკა-ჰალადაში | 1:2 |
| **ლიტვა** | |
| დაინავა-ბანგა | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **საფრანგეთი** | |
| ნანსი-ნანტი | 68:72 (ო) |
| ვილერბანი-სტრასბური | 82:86 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-დინამო (მ) | 0:6 |
| ავტომობილისტი-ტორპედო | 2:4 |
| ბარისი-ვიტიაზი | 3:2 (ბ) |
| იუგრა-აკ ბარსი | 3:4 (ო) |
| სპარტაკი-დონბასი | 2:1 |

| | |
|---|---|
| **ავსტრია** | |
| ზნოიმო-ლინცი | 5:2 |
| ვილახი-ინსბრუკი | 3:2 |
| დორნბირნი-ბოლცანო | 1:3 |
| ზალცბურგი-გრაცი | 5:0 |
| კლაგენფიურტი-ფეჰერვარი | 2:3 |
| ოლიმპია-ვენა | 1:2 |
| **დანია** | |
| როდოვრე-ესბერგი | 2:5 |
| ფრედრიკშავნი-ჰერნინგი | 1:2 (ო) |
| ოლბორგი-სონდერიისკი | 1:3 |
| რუნგსტედი-ჰერლევი | 0:6 |
| **ნორვეგია** | |
| სტავანგერი-სტიორნენი | 9:0 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-პელიკანსი | 2:3 (ო) |
| იოკერიტი-იუვიასკიულა | 1:3 |
| კაიპა-ჰიფკ | 1:2 |
| ლუკო-კერპეტი | 1:4 |
| ესეტი-ჰპკ | 3:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ლიბერეცი | 6:5 (ბ) |
| **შვეიცარია** | |
| ბერნი-ფრიბურგი | 3:5 |
| დავოსი-ციურიხი | 4:3 |
| ლოზანა-სერვეტი | 2:1 |
| ლუგანო-ბილი | 1:3 |
| რაპერსვილი-კლოტენი | 2:3 (ბ) |
| ცუგი-ამბრი პიოტა | 1:3 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფრიოლუნდა | 3:5 |
| ვექსიო-ლინჩოპინგი | 2:1 (ბ) |
| ლულეა-ორებრო | 4:5 |
| მოდო-შელეფტეო | 0:1 |
| ფერიესტადი-ბრინასი | 3:5 |
| ჰვ71-ლექსანდი | 3:4 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. შანხაი** | |
| კოლშრაიბერი-გონგი | 7:5, 6:2 |
| ფ. ლოპესი-ნიემინენი | 7:6, 4:6, 6:3 |
| ჰანესკუ-ანდერსონი | 6:4, 6:7, 6:7 |
| ჰიუიტი-სეპი | 4:6, 2:6 |
| ლორენცი-ფონინი | 6:4, 6:7, 4:6 |
| გასკე-პოსპიშილი | 3:6, 4:6 |
| მონტანიესი-რობრედო | 4:6, 1:6 |
| პერი-სიმონი | 6:4, 6:3 |
| ფალა-ბრანდსი | 6:7, 5:7 |
| ალმაგრო-სოედა | 7:6, 6:2 |
| ნიშიკორი-დიმიტროვი | 6:3, 6:4 |
| დოლგოპოლოვი-რასელი | 6:1, 6:3 |
| ტომიჩი-შარდი | 5:7, 2:6 |
| რაონიჩი-პრსიეჟნი | 6:4, 6:4 |
| დოდიგი-მელცერი | 6:4, 3:6, 4:6 |
| ვერდასკო-ჟანგი | 7:5, 6:2 |
| **WTA. ლინცი** | |
| ბეკი-ციბულკოვა | 6:3, 2:6, 1:6 |
| ფლიპკენსი-ვეკიჩი | 2:6, 6:2, 6:2 |
| კრის. პლიშკოვა-ს. ნავარო | 2:6, 3:6 |
| გორგესი-ჯორჯი | 2:6, 3:6 |
| ბეგუ-პიტერი | 2:6, 6:4, 3:6 |
| ივანოვიჩი-ვიკმაიერი | 6:2, 6:4 |
| კრუნიჩი-ზანევსკა | 5:7, 6:2, 2:6 |
| პეტკოვიჩი-მოისბურგერი | 6:3, 7:5 |
| კირსტეა-მეირი | 6:1, 3:6, 4:6 |
| სტივენსი-რიბარიკოვა | 6:3, 6:1 |
| **WTA. ოსაკა** | |
| შმიედლოვა-კისი | 3:6, 2:6 |
| დევისი-ბენჩიჩი | 3:6, 5:7 |
| კუმხუმი-მორიტა | 6:2, 6:1 |
| ჟანგი-მ. გარიგესი | 6:0, 6:3 |
| კინგი-პენეტა | 3:6, 7:5, 6:0 |
| ჰერცოგი-ჩეტკოვსკა | 6:4, 5:7, 6:1 |
| სხეპერსი-ლისიცკი | 5:7, 6:7 |
| ფიშმანი-ჟენგი | 2:6, 1:6 |
| დატე-რობსონი | 6:4, 6:4 |
| ჰსიე-ბ. ზახვალოვა | 2:6, 2:6 |
| მლადენოვიჩი-ვოზნიაკი | 7:6, 6:4 |

## TV პროგრამა

**9 ოქტომბერი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. ხიმნასია-ველეს სარსფილდი.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ფრაიბურგი-აინტრახტი.
**14:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. IX ტური. აიაქსი-უტრეხტი.
**16:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტური. სპორტინგი-სეტუბალი.
**18:00** პორტუგალიის ჩემპიონატი. VII ტურის მიმოხილვა.
**19:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტური. რივერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი.
**21:00** არგენტინის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**22:00** ჩემპიონთა ლიგა. სტუდიური მიმოხილვა.
**23:00** გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ბორუსია (მ)-დორტმუნდი.
**01:00** ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
**01:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. დნიპრო-ფიორენტინა.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. მაიამი-კლიპერსი.
**15:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. კასტრი-ნორთჰემპტონი.
**17:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. ცსკა-პლზენი.
**22:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩემპიონის გზა. მაიამი-ლეიკერსი.
**00:15** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. საუკეთესო დამცველები - კევინ მაკჰეილი.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
**18:00** სპორტ-NEWS.
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიზმი

# მესამედ ჩაქრა


ჩირაღდანი ხშირად ქრება

სოჭის ზამთრის თამაშების ოლიმპიური ცეცხლი მესამედ ჩაქრა მოსკოვში.

შეგახსენებთ, რომ ოლიმპიური ჩირაღდნის ესტაფეტისას, პირველად ცეცხლი 6 ოქტომბერს ჩაუქრა მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონს წყალქვეშ ცურვაში **შავარშ კარაპეტიანს** და ის ხელმეორედ სანთებელის გამოყენებით აანთო დაცვის ფედერალური სამსახურის ერთ-ერთმა თანამშრომელმა. მომდევნო დღეს, ოლიმპიური ცეცხლი მდინარის სანაპიროზე ჩაქრა და აღადგინეს სათადარიგო ჩირაღდნების წყალობით.

გუშინ კი ოლიმპიური ცეცხლი კიდევ ერთხელ ჩაქრა „მოსფილმის" შენობის წინ და მოხალისეებს წუთი დასჭირდათ იმისთვის, ისევ აენთოთ ის. YouTube-ის მომხმარებლები ირწმუნებიან, რომ ბოლო დღეების განმავლობაში, ჩირაღდანი ოთხჯერ ჩაქრა, აქედან ორჯერ „მოსფილმის" ქუჩაზე.

2014 წლის ოლიმპიურ ცეცხლთან დაკავშირებით პრობლემები ჯერ კიდევ საბერძნეთში დაიწყო, როცა პირველ ჯერზე არ მოხერხდა ცეცხლის ანთება.

უფრო ადრე, ოლიმპიური ჩირაღდნის შემქმნელები ირწმუნებოდნენ, რომ ორმაგი წვის სისტემის კონსტრუქცია იმის გარანტიას იძლეოდა, რომ ცეცხლი არ ჩაქრებოდა. ჩირაღდნის შიგნით არსებულმა ცეცხლმა ყოველთვის უნდა აანთოს ჩირაღდანი გარედან. ასეთი სისტემა ცეცხლს წყალქვეშაც უნდა ინარჩუნებდეს.

■ ■ ■

ამასობაში, ოლიმპიადის მონაწილე ქვეყნებმა საკუთარი ოლიმპიური გუნდების მედროშეების დასახელება დაიწყეს. გუშინ გაირკვა, რომ სოჭის ოლიმპიადის გახსნის ცერემონიაზე იტალიის ნაკრების დროშას ციგაობაში ორგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, 39 წლის **არმინ ცოგელერს** მიანდობენ.

ორი ოლიმპიური ოქროს გარდა, ცოგელერს მოგებული აქვს ვერცხლისა და ბრინჯაოს ორი მედალი.

ფორმულა 1

# როს ბრაუნი მაკლარენში მიდის


როს ბრაუნი

სენსაციურ ინფორმაციას აქვეყნებს გერმანული გაზეთი „ბილდი". გამოცემის ცნობით, 2013 წლის სეზონის დასრულების შემდეგ, „მერსედესის" შეფი **როს ბრაუნი** დატოვებს გერმანულ საჯინიბოს და „მაკლარენში" გადავა სამუშაოდ. როგორც ირკვევა, ბრაუნმა ამის შესახებ კორეის გრანპრის დროს განუცხადა „მერსედესის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს **ნიკი ლაუდას**.

ელიან, რომ ბრაუნის „მერსედესიდან" წასვლის შემდეგ, მის ადგილს **პადი ლოუ** დაიკავებს, რომელმაც წელს დატოვა „მაკლარენი". ამასთან, გამოცემა წერს, რომ ბრაუნის ბრიტანულ საჯინიბოში გადასვლა სურს კომპანია „ჰონდას". ამ უკანასკნელის ჩანაფიქრით, სწორედ ბრაუნმა უნდა მოამზადოს იაპონური კომპანიის ფორმულა 1-ში დაბრუნება. შეგახსენებთ, რომ 2015 წლიდან სწორედ „ჰონდა" იქნება „მაკლარენისთვის" ძრავების მიმწოდებელი.

კრივი

# პოვეტკინი რეფერის უჩივის

სკანდალური გაგრძელება მოჰყვა სუპერმძიმე წონაში უკრაინელი **ვლადიმერ კლიჩკოსა** და რუსი **ალექსანდრ პოვეტკინის** შეხვედრას, რომელიც გასულ შაბათს გაიმართა და მასში ქულებით გამარჯვება კლიჩკომ მოიპოვა. პოვეტკინის გუნდი ითხოვს პუერტორიკოელი რეფერის **ლუის პაბონის** დისკვალიფიკაციას. ამის შესახებ გამოაცხადა რუსი მოკრივის მენეჯერმა **დმიტრი ივანოვმა**.

*„ჩვენ დავწერთ პროტესტს არა იმისთვის, რომ ბრძოლის შედეგი შევცვალოთ, არამედ პოვეტკინის უფლებების დასაცავად,* - განაცხადა ივანოვმა. - *რეფერის მხრიდან უამრავ დარღვევას ჰქონდა ადგილი, კერძოდ, ის საშუალებას აძლევდა კლიჩკოს შეესრულებინა აკრძალული დარტყმები ან ხელი ეკრა მეტოქისთვის. არადა, აწონის ცერემონიის დროს, ჩვენ მივუთითებდით პაბონს კლიჩკოს სავარაუდო ტაქტიკის შესახებ. მაგრამ, ბრძოლის დროს, რეფერიმ ყურადღება არ მიაქცია ჩვენს რეკომენდაციებს. მან გაფრთხილება ვლადიმერს მხოლოდ ბრძოლის ბოლოს მისცა.*

*მიგვაჩნია, რომ პოვეტკინის უფლებები დაირღვა. მოვითხოვთ, პაბონი მინიმუმ ერთი წლით ჩამოაშორონ ბრძოლებს. კლიჩკოს გამარჯვებაში ეჭვი არ გვეპარება და ბრძოლის შედეგის გადახედვას არ ვითხოვთ, მაგრამ დაუშვებელია ისე მსაჯობა, როგორც ამას პაბონი აკეთებდა".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**







დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი (599 56 17 38)**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28), გია ტუხაშვილი (555 50 05 13)**;
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13. ელფოსტა: leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge*
ხელმოწერილია დასაბეჭდად: 01:55. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ირაკლი თავაძე**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონი: **599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ტელ: **238 84 44 (შიდა ნომ. 413); 238 74 44;** ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**